საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№6 (241)
19 - 25 თებერვალი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ერმა და ბერმა «ტაბურე-ტკებით» რომ არ ვირბინოთ

7



## რამდენჯერ დაარღვია პირობა ბიძინა ივანიშვილმა?

3

8

## «მალე დაიწყება სააკაშვილის რეაბილიტაციის პროცესი აქტიურ პოლიტიკაში მის დასაბრუნებლად»



## სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს

9



## ქართული ოცნებები და მივლინება ცენტრალურ აფრიკაში

6

ჯარისკაცებმა ვერ აღკვეთეს ბრბოს მიერ მშვიდობიანი მოქალაქის ჩაქოლვა და ცოცხლად დაწვა და საქმეში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერივნენ, რაც ერთ-ერთმა მკვლელმა მსხვერპლის სხეულის ნაწილების ჭამა დაიწყო





## «საქართველო და მსოფლიო» ხუთი წლისაა

«თქვენი გაზეთის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის სიმართლეს ამბობთ»

4

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აბიტურიენტების რეგისტრაცია 20 თებერვალს დაიწყება



**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში აბიტურიენტების რეგისტრაციის პროცესი 20 თებერვალს დაიწყება და 21 მარტს დასრულდება.** ერთიანი ეროვნული გამოცდები, სავარაუდოდ, ივნისის ბოლო კვირაში დაიწყება. წელს უმაღლეს სასწავლებლებს აბიტურიენტების მისაღებად კონკურსი 45 ათასზე მეტ ადგილზეა გამოცხადებული. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საგამოცდო ბარიერი 21 ქულიდან 24 ქულამდე აიწევს. ზოგადი უნარების ტესტის ზოგიერთ ნაწილში 4 სავარაუდო პასუხის ნაცვლად, აბიტურიენტებს 5 პასუხს შესთავაზებენ. რაც შეეხება საატესტატო გამოცდებს, მე-12 კლასელები დარჩენილ ოთხ გამოცდას მაისში ჩააბარებენ. გამოცდა ქართულში, ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში ჩატარდება. ივნისში კი მე-11 კლასელები ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ფიზიკის გამოცდებს ჩააბარებენ.




## ციფრული მაუწყებლობის მიმღების ფასი 30-35 დოლარი იქნება

**ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ბიუჯეტი 20 მლნ ლარი იქნება. როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ, დიმიტრი ქუმსიშვილმა, განაცხადა, სააგენტოს პირველ ეტაპზე ნინო ქუბინიძე უხელმძღვანელებს.** ციფრული მაუწყებლობის სააგენტო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს, კერძოდ, იმუშავებს მიმღები მოწყობილობებით სოციალურად დაუცველი ოჯახების აღჭურვაზე, საინფორმაციო კამპანიის წარმოებასა და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შეძენაზე. ციფრული მაუწყებლობის სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დაფინანსდება. ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ დღეს იმ მიმღებების სავარაუდო ღირებულებაც დაასახელა, რომელიც მოსახლეობას ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ დასჭირდება. ქუმსიშვილის განმარტებით, **მიმღებების ღირებულება დაახლოებით 30-35 დოლარი იქნება.**

„ჩვენ უკვე მოძიებული გვაქვს ბაზრები, თუმცა კონტრაქტის გაფორმებამდე ჯერ მისული არ ვართ. ამასთანავე, რამდენიმე დღის წინ გავეცანი სასიამოვნო ინფორმაციას, რომლის თანახმად, ქართველი მწარმოებლები მიმღები მოწყობილობების წარმოებას გეგმავენ. ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, საჭირო სპეციფიკაციების ნახვა კი მათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე შეუძლიათ“, — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა. **ციფრულ მაუწყებლობაზე საქართველო 2015 წლის 17 ივნისიდან გადავა.**



## საარჩევნო ბარიერი 50 პროცენტამდე გაიზრდება

**საქართველოს პრემიერმინისტრის, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ბარიერი 50%-მდე გაიზრდება.** ყველა თვითმმართველ ქალაქში მერი პირდაპირი გზით, 50%-იანი ბარიერით აირჩევა. ყველა მუნიციპალიტეტში გამგებლის არჩევაც 50%-იანი ბარიერის გადალახვის გზით მოხდება. ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა კოალიციის წევრებს და ისინი ზემოაღნიშნული ინიციატივის მხარდაჭერაზე დაითანხმა. „ირაკლი ღარიბაშვილს კოალიციასთან საარჩევნო ბარიერის თემაზე ჰქონდა საუბარი. მან გვთხოვა, რომ ბარიერის გაზრდის საკითხზე გვეფიქრა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ყველა რაიონსა და ქალაქში იქნება 50%-იანი ბარიერი. ამით დავასრულებთ აურზაურს, რომელიც ბარიერის თემას მოჰყვა, თითქოს ჩვენ მიერ შემოთავაზებული ბარიერით საქმეს ვიადვილებდით. ხომ გვეუბნებიან ოპონენტები, გამარჯვებისთვის ვიბრძვითო, კი, ბატონო, შევეჯიბროთ და გაიმარჯვოს იმ სხვა კანდიდატმა, რომელსაც მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ — დავით უსუფაშვილმა.

## რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ალექსანდრე ჭაჭია საპატიო ორდენით დააჯილდოვა

**2014 წლის 13 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებულებით „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოებით უცხოელი მოქალაქეების დაჯილდოების შესახებ“, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჭაჭია დაჯილდოვდა საპატიო ორდენით (ОРДЕН ПОЧЕТА), „რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, სამეცნიერო და კულტურული**



**კავშირების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის“.**

ცნობისათვის: დაარსების დღიდან (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 1994 წლის 2 მარტის ბრძანებულება №442) რუსეთის სახელმწიფო ჯილდოთი „საპატიო ორდენით“ მხოლოდ ოცამდე უცხოეთის მოქალაქე დაჯილდოვდა.

შევახსენებთ მკითხველს, რომ რამდენიმე წლის წინათ ალექსანდრე ჭაჭიას რუსეთის ფედერაციის სხვა სახელმწიფო ჯილდოც — „მეგობრობის ორდენი“ გადაეცა.

## ბელგიაში ქართველმა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

**ბელგიაში 25 წლის ქართველმა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შემთხვევა ბელგიის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოხდა, სადაც ის დევნილთა ბანაკიდან გადაიყვანეს.**

ბანაკში ახალგაზრდა მამაკაცმა ვენები გადაიჭრა, ხოლო საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ ფეხსაცმლის თასმებით თავი ჩამოიხრჩო.

ბელგიის სამეფოში საქართველოს კონსული რუსუდან დიდებულიძე ახალგაზრდა მამაკაცის თვითმკვლელობას თავშესაფრის მიღებაზე უარის თქმას უკავშირებს.

„როგორც ჩანს, მას უარი უთხრეს თავშესაფრის მიღებაზე, მას არ უნდოდა დაბრუნება საქართველოში და შესაძლოა, სწორედ ამიტომ ჰქონდა რამდენიმეჯერ სუიციდის მცდელობა“, — განაცხადა რუსუდან დიდებულიძემ.



## საბანკო სესხების ნაწილზე საპროცენტო განაკვეთი იზრდება



**საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 12 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ კომერციული ბანკების კრედიტორების ნაწილს აღებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი 0.25%-ით გაეზრდება.**

იურისტი დავით კლდიაშვილი განმარტავს, რომ კომერციული ბანკების ზოგიერთი პროდუქტი მიბმულია ე. წ. საჯარო ინდექსზე.

„საჯარო ინდექსი არის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მონეტარული საპროცენტო განაკვეთი. კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კონკრეტული კრედიტის, გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი მიბმულია ამ განაკვეთს. იქვე არის მითითებული, რომ, თუ მოხდება ამ საჯარო ინდექსის ზრდა ან შემცირება, ეს ავტომატურად გამოიწვევს კლიენტის საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად შეცვლას. მაგალითად, თუკი კონკრეტულ კლიენტს ასეთი ხელშეკრულებით აღებული ჰქონდა სესხი 8.75%-იანი საპროცენტო განაკვეთით, ამიერიდან მისი სესხის საპროცენტო განაკვეთი იქნება 9%. ასეთი ხელშეკრულებები, ძირითადად, გაფორმებული იყო იპოთეკურ სესხებზე ლარში. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ლარში აღებული ნებისმიერი სესხი შეიძლება იყოს მიბმული ამ საჯარო ინდექსს. ბანკს უფლება აქვს, გაზარდოს 0.25%-ით მხოლოდ ის სესხები, რომელთა ხელშეკრულებებშიც მითითებული იყო, რომ ამ სესხის საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საჯარო ინდექსზე. ბანკს არ აქვს ვალდებულება, შეატყობინოს კლიენტს, რომ გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი და იგი უკვე გრაფიკის მიხედვით გაზრდილი განაკვეთით გადაიხდის“, — განაცხადა დავით კლდიაშვილმა.



## მერაბიშვილს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნათია ბარბაქაძის გადაწყვეტილებით, ყოფილ პრემიერმინისტრ ვანო მერაბიშვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, გარდა ამისა, აეკრძალა თანამდებობის დაკავება 1 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილს — 50-ათასლარიანი ჯარიმა დაეკისრა.**

მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით (ამომრჩევლის მოსყიდვა, მითვისება/გაფლანგვა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) წარუდგინეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ზურაბ ჭიაბერაშვილს წარდგენილი ბრალდება — სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება — შეეცვალა სხვა ბრალდებით, კერძოდ, სამსახურებრივი გულგრილობით, რომლისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 50 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ზურაბ ჭიაბერაშვილს დაუბრუნდება გირაოს სახით გადახდილი 20 ათასი ლარი.

ვანო მერაბიშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, საბოლოო ჯამში კი მას 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა და სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენების შედეგად, სასჯელის ზომად განუსაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან, 2013 წლის 21 მაისიდან. ამჟამინდელი მდგომარეობით, ივანე მერაბიშვილს მოსახდელი დარჩა 4 წელი, 3 თვე და 2 დღე.

## კეზერაშვილს 60 ავტოგასამართი სადგურის უკანონო ჩამორთმევაში ადანაშაულებენ



**კომპანია „სენტა პეტროლიუმი“ თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში ადანაშაულებს. საუბარია 2011 წელს 80-მილიონიანი ქონების 22 მილიონ დოლარად გადაცემაზე. „სენტა პეტროლიუმის“ ინტერესების დამცველმა სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა.**

„სენტა ჯგუფის“ დამფუძნებელ ზაალ იაკობიძის განცხადებით, ქონების დათმობა მას პირადად დავით კეზერაშვილმა მოსთხოვა. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ციხეში ჩასმით დაემუქრა. „კეზერაშვილის ულტიმატუმის მთავარი შინაარსი იყო ასეთი: უნდა დათმოთ თქვენი კომპანია და ეს საკითხი შეთანხმებულია მიშასთან, ვანოსთან და ადესთან. აქედან გამომდინარე, საკითხი გადაწყვეტილია, შეთანხმებული და, შესაბამისად, განხილვას არ ექვემდებარება — ეს იყო მისი ულტიმატუმი და ისიც დაამატა — თუ არ მიიღებთ ამ გადაწყვეტილებას, მოგიწევთ ციხეში ჩაჯდომა და იქიდან უფასოდ ამ ქონების გადმოფორმებაო“, — განაცხადა „სენტა“ ჯგუფის დამფუძნებელმა ზაალ იაკობიძემ.




## «ჯეოსელში» ფინანსური პოლიცია შევიდა

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების გამო „ჯეოსელში“ შემოწმება დაიწყო.** მუხლი, რომლითაც კომპანია „ჯეოსელის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მანამდე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჯეოსელში“ საგამოძიებო სამსახურის შესვლა კომპანიის მიერ უკანონო მოსმენებზე უარის თქმას უკავშირდებოდა, თუმცა ეს ინფორმაცია ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა უარყო.

ჯეოსელი

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენჯერ დაარღვია პირობა ბიძინა ივანიშვილმა?

**მედიაპორტალმა „ჯი-დი-ენმა“ (GDN) ინტერნეტში გაავრცელა ვიდეორგოლი სახელწოდებით „ბიძინას სიტყვის უკან წაღების ხუთეული“, მოყვანილია ხუთი შემთხვევა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა თავისი პოზიცია კონკრეტულ საკითხებზე, ანუ არათანმიმდევრული იყო — ამბობდა ერთს, შემდეგ თვალსაზრისს იცვლიდა და საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.**




**№1. თავდაპირველი პოზიცია სააკაშვილის იმპიჩმენტზე:**
„პარლამენტში უმრავლესობის მოსვლით, მყისიერად დავიწყებთ, თუ თვითონვე ვერ მოახერხებს განცხადების დაწერას, მისი (ლაპარაკია მიხეილ სააკაშვილზე — რედ.) იმპიჩმენტის საკითხის განხილვას“.
**მოგვიანებით:**
„რაც შეეხება იმპიჩმენტს, რომელზეც მე ადრე გავაკეთე აქცენტი, ძალიან ცუდი რეაქცია ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებას, და ძალიან კარგად მესმის ეს ყველაფერი. ჩემი პარტიის მხრიდან და ჩემი მხრიდან იმპიჩმენტის საკითხის დაყენება არ მოხდება“.

**№2. თავდაპირველი პოზიცია „მეცხრე არხის“ მიმართ:**
„ყველაფერს, შენობიდან დაწყებული, „პირველ არხს“ გადავცემთ უფასოდ და კარგი იქნება, რომ ეს გუნდიც მაქსიმალურად გადაიყვანონ და გადავიდეს იქით, თუ ეს არ მოხერხდა ან ვერ მოხერხდა, ან უმჯობესი გაჩნდა, ამაზე ვმსჯელობთ და დროდადრო ვახსენებთ გუნდის წევრებს, არ გამოვრიცხავ, ასეთ შემთხვევაში, „მეცხრე არხის“ ბაზაზე გაკეთდეს ჭეშმარიტად საზოგადოებრივი ტელევიზია“.
**მოგვიანებით:**
„გადაწყვეტილება მივიღე, რომ „მეცხრე არხი“ აღარ მოხდეს ისეთი ფორმით, როგორიც მე ვთქვი, ანუ, არ შეუერთდეს „პირველ არხს“.

**№3. თავდაპირველი პოზიცია ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაზე**
„არის საფრთხე იმისა, რომ პირველ ეტაპზე, როდესაც ახალი რკინიგზა დაიწყებს მუშაობას, თვითბრუნვა შეუმცირდეს ძველ რკინიგზას“.

**მოგვიანებით (აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ):**
„გავეცი, პასუხი, რომ გაშვებიდან, როდესაც დარჩება 1-2 თვე ახალი რკინიგზის, ამ საკითხებს (ეკონომიკურ საკითხებს, რომ შესაძლოა, ძველ სარკინიგზო ხაზს თვითბრუნვა შეუმცირდეს — რედ.) ჩვენვე მოვაგვარებთ შიგნით და მოლაპარაკებებით. რეალურად ასეთი კითხვა არც არსებობდა“.

**№4. თავდაპირველი პოზიცია საკითხზე — ვინ დაიწყო ომი?**
„ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედებები.“
**მოგვიანებით:**
„მე არ მითქვამს, რომ საქართველომ დაიწყო ომი!“
**„ჯი-დი-ენის“ კომენტარი:** როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის დიდი განსხვავებაა „ქართულ მხარესა“ და „საქართველოს“ შორის.

**№5. თავდაპირველი განცხადება პოლიტიკური არენიდან წასვლაზე:**
„ორი-სამი წლით, განვაცხადე, მოვდივარ პოლიტიკაში“.
**მოგვიანებით:**
„თუ გაჩნდება ეჭვი იმისა, რომ ან ჩვენი დაპირებების შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩება, ანდა ის, რომ ეს ყველაფერი წარუმატებელი იყო და ამიტომაც გავდივარ, ასეთ შემთხვევაში არსადაც არ წავალ. თუ ასეთი კითხვები დარჩება, მე ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ არსადაც არ წავალ, დავრჩები ბოლომდე და ვიბრძოლებ შემდეგი არჩევნებისთვის“.



# უკრაინის ხელისუფლება დასავლეთის წნეხის ქვეშაა

**— უკრაინის ხელისუფლების ლეგიტიმურობაში ეჭვი არავის შეაქვს, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი იანუკოვიჩი უზარმაზარი წნეხის ქვეშაა. ჩვენ ამას ორმაგ სტანდარტს ვუწოდებთ, თუმცა შეიძლება სამმაგი სტანდარტიც დავარქვათ,** — განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **სერგეი ივანოვმა.**

უკრაინის ოპოზიციის მხარდამჭერები ამბობენ, რომ რუსეთი უკრაინის საქმეებში ერევა და ხელს უშლის მას დასავლური მიმართულებით განვითარებისკენ. პრეზიდენტმა პუტინმა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ უარყვეს ეს ბრალდება, საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი, თავის მხრივ, ევროკავშირი და აშშ გააფრთხილა, რომ თავი შეეკავებინათ უკრაინის პოლიტიკურ კრიზისში ჩარევისგან.

კრემლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავაც არ აპირებს უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევას.

„გვესმის უამრავი განცხადება, რომ რუსეთი ერევა უკრაინის საშინაო საქმეებში, მაგრამ ჯერ არ მსმენია, ვინმეს მოეყვანოს ამის დამამტკიცებელი თუნდაც ერთი ფაქტი. მეორე მხრივ, ჩვენ **ყველამ ვიცით ათობით და ასობით შემთხვევა, როდესაც ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები აშკარად ერეოდნენ უკრაინის საშინაო საქმეებში.** ჩემი აზრით, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ლამაზი არ არის“, — განაცხადა **სერგეი ივანოვმა**.

# ობამას სასამართლოში იბარებენ

**სკანდალი, რომელიც აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ მოქალაქეების სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ელექტრონული მიწერ-მოწერის ხელყოფის გამო აგორდა, ახალ ეტაპზე გადადის.**




სენატორმა კენტუკის შტატიდან **რენდ პოლმა**, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი იქნება, უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა — ბარაკ ობამას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. რენდ პოლი დარწმუნებულია, სახელმწიფოს მეთაურმა და მისმა ხელქვეითებმა, სპეცსამსახურების ხელმძღვანელებმა, დაარღვიეს აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორება, რომელიც კრძალავს დაუსაბუთებელ ჩხრეკას, დაპატიმრებებს და, საერთოდ, სახელმწიფოს ჩარევას მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში.

**„ჩვენ სარჩელი შევიტანეთ აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩვენი სახელით, ორგანიზაცია Freedom Works-ისა და აშშ-ის ყველა მოქალაქის სახელით, რომელთაც ტელეფონი აქვთ. ჩვენ სასამართლოში დავსვამთ კითხვას — როგორ შეიძლება ერთადერთი ორდერი შეუზღუდავად გამოიყენებოდეს აშშ-ის ყველა მოქალაქის სატელეფონო საუბრების მოსმენის უფლებისთვის? თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო საინტერესო ფაქტს — ვერც სენატის დაზვერვის კომიტეტის წევრები და ვერც ჟურნალისტები მოქალაქეებზე თვალთვალის ამ პროგრამის წყალობით დაპატიმრებული ტერორისტის ან აღკვეთილი ტერორისტული აქტის ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაასახელებენ. მე არ ვარ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს წინააღმდეგი, მაგრამ მინდა, რომ სპეცსამსახურებმა ორდერი მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებზე მიიღონ, ისე, როგორიც კონსტიტუციის მე-4 შესწორება ითხოვს“,** — განუცხადა რენდ პოლმა ჟურნალისტებს.

სარჩელში ბარაკ ობამასთან ერთად მოპასუხედ მითითებულია ეროვნული დაზვერვის შეფი **ჯეიმს კლეპერი**, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი **კიტ ალექსანდერი** და გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი **ჯეიმს კომი**. ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, **ედუარდ სნოუდენის,** მიერ მოქალაქეებზე უკანონო თვალთვალის შესახებ დოკუმენტების გამოქვეყნებას დიდი სკანდალი მოჰყვა. სპეცსამსახურების ხელმძღვანელები და სხვა მაღალი რანგის მოხელეები არაერთხელ დაიბარეს კონგრესში ახსნა-განმარტების მისაცემად, მაგრამ მათ ყოველთვის მოჰყავდათ თავის გამამართლებელი ერთი და იგივე არგუმენტი — ეს ხდებოდა ტერორიზმთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოებისა და აშშ-ის ინტერესების დაცვის გამო(?).

სხვათა შორის, სასამართლო პროცესის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია. ამერიკულ სასამართლოებში უკვე გაიმართა ორი მოსმენა მასობრივი თვალთვალის პროგრამის საქმეზე და ორივე ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგით დასრულდა. ვაშინგტონში აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ თვალთვალის პროგრამა კანონსაწინააღმდეგოდ აღიარა, ნიუ იორკის ფედერალურმა სასამართლომ კი პირიქით — დაადგინა, რომ სპეცსამსახურები კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებდნენ. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი სარჩელის შეტანამ, საეჭვოა, ნათელი მოჰფინოს საკითხს — როგორ უნდა იქნას ბალანსი დაცული ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.

**P.S. ზემოაღნიშნული საინტერესო იმითაც არის, რომ მოქალაქეების პირად ცხოვრებაში ჩარევისა და მათი სატელეფონო საუბრების უკანონოდ მოსმენის შემთხვევა საქართველოშიც არაერთი გახმაურებულა, თუმცა ამის გამო დაისაჯა თუ არა ვინმე, უცნობია. ახლახან მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ოფისში იპოვეს მოსასმენი აპარატურა, რომელიც შტეფსელში იყო ჩამონტაჟებული. ამის შემდეგ ამ მოძრაობის ხელმძღვანელმა ზურაბ კვარაცხელიამ პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს ნაპოვნი მოსასმენი აპარატურა წარუდგინა... ვნახოთ, როგორი იქნება სამართალდამცველების რეაგირება მომხდარზე.**



# საკომუნიკაციო სისტემა, რომელსაც აშშ-ის დაზვერვა ვერ მოუსმენს

**გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ევროპის ქვეყნების მოსახლეობის საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აშშ-ის გვერდის ავლით, ევროპული საკომუნიკაციო სისტემის შექმნის იდეით გამოვიდა.** კანცლერის აზრით, ასეთი სისტემის შექმნა აუცილებელია იმისთვის, რომ ელექტრონული წერილები და სხვა მონაცემები ავტომატურად არ გადიოდეს აშშ-ის სისტემაში. ამით ევროპის მოსახლეობის საინფორმაციო უსაფრთხოება დაცული იქნება ამერიკელთა ხელყოფისგან. ანგელა მერკელი ევროპული საკომუნიკაციო სისტემის შექმნის საკითხს საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან შეხვედრისას განიხილავს.

შარშან, ოქტომბერში გაირკვა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სამსახური რამდენიმე წლის განმავლობაში უსმენდა გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, სატელეფონო საუბრებს. ამის გამო მერკელმა პირადად უსაყვედურა აშშ-ის პრეზიდენტს. ბარაკ ობამამ კი განაცხადა, რომ ამ მოსმენების შესახებ არაფერი იცოდა(?).

გეოსტავერ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ „საქართველო და მსოფლიომ" თავისი განსაკუთრებულობითა და გამორჩეულობით შეავსო და გაამდიდრა ქართული საინფორმაციო სივრცე, ზუსტად ის ფერი შეჰმატა მას, რომლის გარეშეც დღევანდელი ბეჭდური მედიის საერთო „საოჯახო" სურათი მშვენიერ იერს დაკარგავდა."

# «საქართველო და მსოფლიო» 5 წლისა

„საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას ვუსურვებ, რომ სხვა კეთილ საქმეებთან ერთად და პუბლიკაციებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას ქვეყანაში, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ ხართ ერთ-ერთი მათგანი, ვინც ყველაზე უფრო თანმიმდევრულად აშუქებს ამ საკითხებს.

**გიორგი კვესიტაძე,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

## მეამაყება თქვენთან სიახლოვე და თანამშრომლობა

თქვენი გაზეთი იმ დროს დაარსდა, როდესაც მართალ სიტყვას საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. თქვენ შეძელით შეგეკრიფათ უნიჭიერესი პუბლიცისტები, რომელთა დიდი ნაწილი საზოგადოებამ თქვენი გაზეთის მეშვეობით გაიცნო.

სიმართლის მძიმე ჯვარს დღესაც ღირსეულად ატარებთ. მეამაყება თქვენთან სიახლოვე და თანამშრომლობა.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
აკადემიკოსი

## გილოცავთ იუბილეს!

**ქვეყანაში გავრცელებული ყვითელი პრესის და ართუ იშვიათად არაპროფესიული ჟურნალისტიკის ფონზე თქვენი გაზეთი ყოველთვის გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, პრობლემების ღრმა ანალიტიკური კვლევით და საინტერესო თანამედროვეებთან გამართული საუბრებით.**

საქართველოს დღევანდელი მთავრობა სისტემატურად რომ კითხულობდეს „საქართველო და მსოფლიოს", ეს სასარგებლო იქნებოდა, უპირველესად, მისთვის და უდავოდ — ქვეყნისთვის.

**დიდი პატივისცემით,**

**ვალერი ჩხეიძე,**
გენერალ-ლეიტენანტი

მამა ელიზბარი (დიაკონიძე):

— ვულოცავ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" 5 წლის იუბილეს. ეს არის შესანიშნავი გაზეთი ინტელექტუალური მკითხველისთვის. ღვთის მადლითა და თქვენი რედაქტორისა და დამფუძნებელთა მეცადინეობით, ეს გაზეთი მალე შეიყვარა მკითხველმა. ამიტომაც არის, რომ სასულიერო პირების უმრავლესობა, მათ შორის მეუფეები (მეუფე იობი, მეუფე სერაფიმე, მეუფე ეფრემი) თქვენს გაზეთს ანიჭებენ უპირატესობას.

ერთი რჩევა მაქვს — რადგან „საქართველო და მსოფლიო" ინტელექტუალთა გაზეთია, ცუდი არ იქნება თვეში ორჯერ მაინც სასულიერო პირების პედაგოგიური ხასიათის წერილებიც დაიბეჭდოს.

## გილოცავთ!

### «თქვენი გაზეთის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის სიმართლეს ამბობთ»

**„საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გაზეთია. ხუთი წელი არც დიდი დროა, მაგრამ არც ცოტაა, ყოველ შემთხვევაში, თქვენ თქვენი ნიშა უკვე დაიკავეთ. ადამიანებს თქვენი გაზეთი საშუალებას აძლევს, სიმართლე გაიგონ; თქვენ გაქვთ ზუსტი პოლიტიკური პროგნოზები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. თქვენი გაზეთი ნათლად ასახავს ჩვენი ქვეყნის მიმართ სხვა ქვეყნების დამოკიდებულებას.**

ჩემთვის, როგორც რიგითი ქართველისთვის, „საქართველო და მსოფლიო" ქართული გაზეთია. თქვენი კოლექტივი ნამდვილად პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, მაღალკვალიფიციურები ხართ და ამას ემატება ისიც, რომ პატრიოტები ხართ — რასაც აკეთებთ, გწამთ და გჯერათ, რომ ქვეყნის სასიკეთოდ კეთდება. არის გაზეთები, რომლებშიც ტენდენციურად ქვეყნდება ესა თუ ის მოვლენა, თქვენ კი ყოველთვის ობიექტურები ხართ, მრავალმხრივ აშუქებთ მოვლენებს, ღრმად სწავლობთ საკითხს.

მინდა, ყველამ იკითხოს ეს გაზეთი და გაიგოს საქართველოს პერსპექტივების შესახებ, რომელთაც თქვენ ყველაზე უკეთ აშუქებთ. პრესა რასაც უნდა ემსახურებოდეს, თქვენ იმ დავალებას ზუსტად ასრულებთ.

**თქვენი გაზეთის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის სიმართლეს ამბობთ, ამიტომ მინდა ბევრი მკითხველი გყავდეთ.**

**ავტორებს, რომელთა ჩამოთვლასაც ახლა არ დავიწყებ, უდიდეს პატივს ვცემ, ყველა მათგანი პროფესიონალია და ესეც ერთგვარი წარმატებაა თქვენთვის. ხუთი წელი დიდი გამოცდა იყო, რომელიც წარმატებით ჩააბარეთ, რაც ბევრმა გაზეთმა ვერ შეძლო. დღეს გამომავალ უამრავ გაზეთში ქართული სული არ იგრძნობა, თქვენთან კი ეს მოჭარბებულად არის.**

**ჯუმბერ პატიაშვილი**

იური ვაზაგაშვილი,
არასამთავრობო ორგანიზაციის — „გადაარჩინე სიცოცხლე" დამფუძნებელი:

— იუბილეს გილოცავთ! ულრმესი მადლობა, რომ არსებობთ და მხარში მედექით მთელი ეს წლები! ვისურვებდი, რომ ყველა გაზეთი ისეთი ობიექტური იყოს, როგორიც „საქართველო და მსოფლიოა".

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი:

— თქვენს გაზეთს ყოველთვის ვყიდულობ და ვეცნობი. ვინაიდან, გულწრფელად გეტყვით, „საქართველო და მსოფლიო" არის გაზეთი, რომელიც კარგად იკითხება, რომელშიც ყოველთვის უამრავი ძალიან საინტერესო მასალაა დაბეჭდილი როგორც ისტორიულ, ასევე მიმდინარე მოვლენებზე.

ძალიან მომწონს, რომ თქვენს გაზეთში ბევრი ანალიტიკური მასალაა. ამას გარდა, აქ იბეჭდება 30-40-იანი წლების ისტორია, რომელსაც შესანიშნავად უძღვება არმაზ სანებლიძე. თითოეული ჟურნალისტის ინტერვიუ საინტერესოა და არ არის პრიმიტივიზმით გაჟღენთილი, ეს არის კარგად მოფიქრებული და კარგი ქართულით შესრულებული ნაშრომი.

მინდა ყველა თქვენგანს — მთავარ რედაქტორს, ჟურნალისტებს, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი კარგი გაზეთის გამოშვებისთვის. ეს დიდი საქმეა და გისურვებთ, კვლავაც ამ გზით გევლოთ.

## «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

ნება მომეცით, მოგილოცოთ გაზეთის იუბილე და გისურვოთ შემდგომი წარმატებები. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო"'თამამად ითვლება ერთ-ერთ თავისუფალ ინტელექტუალურ გამოცემად. თითქმის დაარსების დროიდან ვთანამშრომლობ გაზეთთან და ჩემი მრავალი წერილი გაქვთ გამოქვეყნებული. მე დღესაც ვრჩები თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველად და ყოველთვის ინტერესით ველოდები ყოველი კვირის ოთხშაბათს. გთხოვთ, მიულოცოთ ჩემი სახელით თქვენი გაზეთის ყველა თანამშრომელს სახელოვანი იუბილე.

**პატივისცემით,**

**გია მეფარიშვილი,**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

## «საქართველო და მსოფლიო» კვლავ საზოგადოების აზრს გამოხატავს

**„საქართველო და მსოფლიო" საქართველოს ცხოვრებაში ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდში შეიქმნა. ამ გაზეთმა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი მაგალითი აჩვენა.** სწორედ „საქართველოსა და მსოფლიოში" იბეჭდებოდა სააკაშვილის რეჟიმის მამხილებელი მასალები და ქვეყნდებოდა ინფორმაციები ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ. ბრძოლა ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მსხვერპლს მოითხოვდა და „საქართველო და მსოფლიომ" ეს მსხვერპლიც გაიღო — რედაქცია ორჯერ გაძარცვეს და დაარბიეს. მიუხედავად ამისა, ბრძოლა გაგრძელდა და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. რეჟიმზე გამარჯვებაში ამ გაზეთს დიდი წვლილი მიუძღვის. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „საქართველო და მსოფლიო" ბევრჯერ დამიდგა გვერდით, როგორც კოლეგას, რასაც უზომოდ ვაფასებ.

**გილოცავთ დაარსებიდან 5 წლის იუბილეს. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „საქართველო და მსოფლიო" კვლავ საზოგადოების აზრის გამომხატველ გამოცემად რჩება.**

**ირმა ინაშვილი,**
მედიაკავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელი

დემურ გიორხელიძე,
ეკონომიკის ექსპერტი:

— წარმატებებს გისურვებთ, ვინაიდან მინდა ქვეყანაში წარმატებული მედიასაშუალებები იყოს, რომლებმაც იციან, რომ დამოუკიდებელი მოთამაშეები არიან და, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ძალაუფლების სამ შტოს — მსხვილ ფინანსურ-ეკონომიკურ ჯგუფებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას გააკონტროლებენ. მინდა კიდევ უფრო გაძლიერდეთ და იყოთ ის მეოთხე მოთამაშე, რომელიც არის ბალანსი საზოგადოებისთვის ამ სამ, ძალიან ძლიერ ძალაუფლების შტოსთან მიმართებაში.

## გაუფრთხილდით თქვენს სახესა და სახელს! გაუმკლავდით დროის დაუნდობელ დინებას!

**ძვირფასო კოლეგებო!**

**92 წლის „ნორჩი" გაზეთი „სვობოდნაია გრუზია" გულითადად გილოცავთ პირველ იუბილეს!**

ძნელად დასაჯერებელია, რომ უკვე ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც კლუბ „ქარავანში" მოეწყო გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" პრეზენტაცია.

მართალი გითხრათ, მაშინ ეჭვის თვალით ვუყურებდი ბეჭდური მედიის გადატვირთულ ქართულ ბაზარზე ახალი გაზეთის წარმატებას. დამეთანხმებით, ამ ეჭვის საფუძველი არსებობდა, რადგან ეს იყო საშინელი დრო, როცა ქვეყანა მთლიანად აღმოჩნდა დამოკიდებული პირებზე, რომლებიც სიკეთეს განუდგნენ და გზა გაუხსნეს ბოროტებას. მათზე, ვისაც არ გააჩნდათ ზნეობრივი შეზღუდვები, ვინც პროვოკაცია და ადამიანებზე ზეწოლა პროფესიად გაიხადეს და ამ სფეროში ათასობით „სპეციალისტი" მოამზადეს.

იმ პერიოდში ახალი გამოცემის წარმატება ნამდვილად სათუო იყო.

**დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ „საქართველო და მსოფლიომ" თავისი განსაკუთრებულობითა და გამორჩეულობით შეავსო და გაამდიდრა ქართული საინფორმაციო სივრცე, ზუსტად ის ფერი შეჰმატა მას, რომლის გარეშეც დღევანდელი ბეჭდური მედიის საერთო „საოჯახო" სურათი მშვენიერ იერს დაკარგავდა.**

ნათქვამია, ყველა გაზეთი თავის რედაქტორს ჰგავსო. მიხარია, რომ უნიჭიერესმა ქართველმა ჟურნალისტმა ირაკლი თოდუამ შემოიკრიბა მაღალი კლასის პროფესიონალები და შექმნა სრულყოფილი გუნდი, რომელმაც გამორჩეული როლი შეასრულა იმ პროცესში, დროის ჯალათების წინააღმდეგ სამოქმედოდ რომ განაწყო ჩვენი საზოგადოება.

ამ გაზეთში მოღვაწეობენ სხვადასხვა თაობის ნიჭიერი, ერუდირებული ჟურნალისტები. მათ მიერ მომზადებულ მასალებს მუდამ ახასიათებს თემის სიღრმისეული ცოდნა და არასოდეს ეტყობა ზერელობის კვალი.

მეამაყება, რომ ღმერთმა მარგუნა ზოგ მათგანთან მუშაობის ბედნიერება. მომსწრე ვარ ჩემი მეგობრის — ბონდო მძინარაშვილის ჟურნალისტიკაში გადადგმული ენერგიული და ვაჟკაცური პირველი ნაბიჯების, ხოლო ბატონი არმაზ სანებლიძე იყო ჩემი, როგორც სპორტული კომენტატორის, პირველი კურატორი. ბატონ არმაზს ჩემი თაობის ახალგაზრდები დღესაც ავტორიტეტად მივიჩნევთ.

ამით ხაზი მინდა გავუსვა, რომ არ გახლავართ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რიგითი გულშემატკივარი.

**კიდევ ერთხელ გილოცავთ პირველ იუბილეს! გისურვებთ უამრავ მკითხველს, ბევრ რეკლამას და თქვენი შრომის დაფასებას!**

**გაუფრთხილდით თქვენს სახესა და სახელს! გაუმკლავდით დროის დაუნდობელ დინებას!**

**ტატო ლასხიშვილი,**
გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი







**საინტერესოა, რა არის უფრო მნიშვნელოვანი: მძიმე ინციდენტების ის სერია, რომელიც გაზეთს სააკაშვილის მმართველობის წლებში გადახდა, თუ ოპტიმიზმის ის მსუბუქი, ერთი შეხედვით ნაკლებად ლოგიკური განცდა, რომელიც ამის შემდეგ დაიბადა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იუბილე — პათეტიკის გარეშე

**„საქართველო და მსოფლიო" ხუთი წლისაა. როგორც წესი, ჩვენს ქვეყანაში იუბილე გამოიყენება, როგორც ლეგიტიმური საბაბი მძიმე ალკოჰოლური ინტოქსიკაციისთვის და ნარცისიზმის მორევში უკანმოუხედავ გადაშვებას უკავშირდება. გაცილებით იშვიათად მას განვლილი პერიოდის მშვიდი გაანალიზებისთვის იყენებენ და, ალბათ, უკეთესი იქნება, სწორედ ამ გზით წავიდეთ. კაცმა რომ თქვას, საიუბილეო სადღეგრძელო არ გამორიცხავს მცირე ექსკურსს ისტორიაში, ისევე, როგორც აქტუალური მდგომარეობის აღწერასა და პროგნოზს. საერთოდ, ძველი სკოლის თამადა „დროის მბრძანებლის" იდეალისკენ უნდა მიისწრაფოდეს და თავის მონოლოგში წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჰარმონიულ სინთეზს ისეთივე მონდომებით ეძებდეს, როგორც ალქიმიკოსი „ფილოსოფიურ ქვას". რა თქმა უნდა, ეს პათეტიკაა, თუმცა ქართული იუბილე პათეტიკის გარეშე დაახლოებით იგივეა, რაც უპატარძლო ქორწილი.**



**გაუმარჯოს «საქართველო და მსოფლიოს» კოლექტივს და მკითხველს, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ჭირსა თუ ლხინში მხარში ედგა! გაუმარჯოს იმ ჟურნალისტს, რომელიც ადრე თუ გვიან გაზეთის ამავე გვერდზე დაწერს: «საქართველო და მსოფლიო» 50 წლისაა»! გაუმარჯოს საქართველოს, რომლის გარეშე ყოველივე ზემოთქმულს არანაირი აზრი არ აქვს!**

ხუთი წელი არც ისე ხანგრძლივი პერიოდია, თუმცა, თუ დრამატული მოვლენების სიხშირეს გავიხსენებთ, ალბათ, მივალთ დასკვნამდე, რომ ეს იყო მთელი ეპოქა საქართველოს უახლეს ისტორიაში. **ის, რაც სააკაშვილის მმართველობის წლებში ჩვენი გაზეთის თავს ხდებოდა, ნებისმიერი იატაკქვეშა ტიპოგრაფიის მატიანეს დაამშვენებდა. რედაქციის დარბევა, სატელეფონო მოსმენები და მუქარები, თვალთვალი, რომელიც ხშირად დემონსტრაციულ ხასიათს ატარებდა და ა. შ. მოკლედ, „საქართველო და მსოფლიოს" ისტორიაში იყო ყველაფერი, რაც გამხეცებულ, მაგრამ ამავე დროს ძალიან მშიშარა და სულელ რეჟიმს შეეძლო დამოუკიდებელი გამოცემისთვის დაეპირისპირებინა.**

გულწრფელად რომ ვთქვათ, მაშინ, განსაკუთრებით დასაწყისში, 2009-10 წლებში, ყველას როდი სჯეროდა, რომ გაზეთი ზეწოლას გაუძლებდა. თუმცა დღეს ის საზეიმო ვითარებაში თავის იუბილეს აღნიშნავს, მათ კი, ვინც ჩამოთვლილ პრობლემებს უქმნიდა, ნამდვილად არ ეზეიმებათ. საუბარი იმ ძველ განსაცდელსა თუ განცდებზე, პრინციპში, უსასრულოდ შეიძლება, თუმცა ეს იმ ისტორიკოსებს დაგვამსგავსებს, რომელნიც ერის ისტორიას უწყვეტ ტრაგედიად წარმოაჩენენ და მოვლენების ნათელ მხარეს ყურადღებას არ აქცევენ, მეტიც, უარყოფენ მას. **საინტერესოა, რა არის უფრო მნიშვნელოვანი: მძიმე ინციდენტების ის სერია, რომელიც გაზეთს სააკაშვილის მმართველობის წლებში გადახდა, თუ ოპტიმიზმის ის მსუბუქი, ერთი შეხედვით ნაკლებად ლოგიკური განცდა, რომელიც ამის შემდეგ დაიბადა.** ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია, ერთგვარი გზაგასაყარი, რადგან გამორიცხული არ იყო, გამოცემა, ხელისუფლების ზემოქმედების საპასუხოდ, მხოლოდ ნეგატივის კონცენტრაციით, ე. წ. ჩერნუხის ტირაჟირებით დაკავებულიყო და თავისი საქმიანობა უწყვეტ სადომაზოხისტურ აქტად გადაექცია, მაგრამ მსგავსი ტრანსფორმაცია, საბედნიეროდ, არ მომხდარა.

მეორე, პირადად ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ **იმ პერიოდში „საქართველო და მსოფლიო" ნებისმიერი შეხედულების მქონე ადამიანის მიმართ, კონსერვატორი იქნებოდა ის თუ ლიბერალი, „ღია კარის" პოლიტიკას ატარებდა. სააკაშვილის რეჟიმთან აფილირებული ზოგიერთი რედაქციისგან განსხვავებით, ის არ ყოფდა მათ მოსაზრებებს მეინსტრიმულად და მარგინალურად და რესპონდენტების ნათქვამზე საბოლოო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მკითხველს უთმობდა.**

სააკაშვილის რეჟიმის კრახის შემდეგ „საქართველო და მსოფლიო", ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა გამოცემა საქართველოში, ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა (საერთოდ, მთელი ეს პროცესი ძალიან ჰგავს დაუსრულებელ სირბილს ბარიერებით). ჯერჯერობით გაუგებარია, იქნება თუ არა ახალი ხელისუფლების ურთიერთობა მასმედიასთან 100%-ით პატიოსანი და დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი; უხეში ზეწოლა შეწყდა, რაც უდავოდ კარგია, მაგრამ ეს ფაქტი ვერ ჩაითვლება სრულფასოვან გარანტიად იმისა, რომ სიტუაცია დროთა განმავლობაში უარესობისკენ არ შეიცვლება. ბევრს გაუკვირდა, როდესაც საექსპერტო საზოგადოებისა და მასმედიის ნაწილმა ძალზე ნერვულად აღიქვა ბიძინა ივანიშვილის რამდენიმე ფრაზა, რომლებიც, არსებითად, მათთვის ჭკუის დარიგების ძალიან მსუბუქ მცდელობას წარმოადგენდა. თუმცა ბოლო ათი (ალბათ, მაინც ბოლო ოცი) წლის ნეგატიური გამოცდილება სხვა ტიპის რეაქციას, უბრალოდ, ვერ წამოშობდა. **კიდევ მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში იდეალური დემოკრატიული სახელმწიფო რომც ჩამოყალიბდეს, მენტალურად არამდგრად ხელისუფლებასთან ურთიერთობაში შეძენილი ინსტინქტები მაინც შეასრულებს თავის როლს და არაერთი ჟურნალისტი ხელისუფალთა მსგავსი განცხადებების უკან დიქტატის აშკარა მცდელობას დაინახავს.** პრობლემა, ალბათ, მხოლოდ მაშინ მოიხსნება, როდესაც საქართველოში სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდება და დემოკრატია გაცილებით მყარი გახდება. იქამდე კი საფრთხისა და წინასამობილიზაციო დაძაბულობის განცდა არსად გაქრება, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება წინამორბედის რეპრესიულ ტაქტიკას აღარ მიმართავს.

**დღეს, სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა მასმედიისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის იმ ბიპოლარული, შავ-თეთრი, პირობითი სიკეთის და არანაკლებ პირობითი ბოროტების ყოვლისმომცველი დაპირისპირების იდეაზე დაფუძნებული სამყაროს აღქმის მოდელის დემონტაჟია, რომელსაც წინა ხელისუფლება ყველა სფეროში ნერგავდა და პრაქტიკულად იმავეს მისი მოწინააღმდეგეები აკეთებდნენ.** ნებისმიერი მოვლენის განხილვა კოორდინატთა პრიმიტიულ სისტემაში „ჩვენ და ისინი", ნებისმიერი კონფლიქტისთვის სამშობლოსთვის უკანასკნელი ბრძოლის, ლამის საღვთო ომის, ხასიათის მინიჭება, როგორც სრულიად საზოგადოების, ისე მისი ცალკეული წარმომადგენლების ფსიქიკისთვის ერთ-ერთ განსაკუთრებით საშიშ, დამანგრეველ ფაქტორს წარმოადგენს. ეს მოდელი მოქმედებს ყველასა და ყველაფერზე, მათ შორის მასმედიაზე — შავ-თეთრი დაყოფა, ნებისმიერ ფასად მხარეთა „დაჯახების" სურვილი მისი ფართო, ლამის საყოველთაო გავრცელების ნაყოფია. სააკაშვილის რეჟიმი და შეუწყნარებლობა, რომელიც მან დათესა, იცოცხლებს მანამ, სანამ აღქმის ეს მანიქეველური მოდელი დომინანტური იქნება. **სამყაროს აღწერა მთელ მის სირთულესა და მრავალფეროვნებაში, იმის გაცნობიერება, რომ ნებისმიერ, თუნდაც ძალიან რთულ სიტუაციაში არჩევანის ორ ვარიანტზე მეტი არსებობს** (და საერთოდ, თავისუფალი არჩევანი სამი ვარიანტიდან იწყება) **საკმაოდ მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებისთვის, ისე მასმედიისთვის და იმედია, „საქართველო და მსოფლიო" ამ პრობლემასთან დაკავშირებულ სირთულეებს ერთ-ერთი პირველი გადალახავს.**

ერთხელ, 90-იანებში, ერთმა ძალიან კარგმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ მუშაობის დაწყებამდე 5 წუთით ადრე თვალს ხუჭავს და ცდილობს, წარმოიდგინოს ის ადამიანები, რომელნიც მალე მის წერილს წაიკითხავენ. მიუხედავად იმისა, რომ დიდ აუდიტორიას მივმართავთ, თქვა მან, საგაზეთო პუბლიკაცია და ნებისმიერი მედიატექსტი არ არის გამოსვლა აუდიტორიაში ან სტადიონზე, არსებითად ის წარმოადგენს დიალოგს კონკრეტულ პიროვნებასთან. საერთოდ, მიჩნეულია, რომ ყველაზე კარგად აუდიტორიასთან ურთიერთობის ამ ნიუანსს რადიოს წამყვანები გრძნობენ, ნაკლებად — ტელევიზიის თანამშრომლები, რაც შეეხება გაზეთს... ალბათ, რაც შეიძლება ხშირად უნდა მივბაძოთ იმ ბრიტანელს და წარმოვიდგინოთ ის ადამიანები, რომელნიც ჩვენს გაზეთს კითხულობენ — პენსიონერი იქნება ის, რომელიც დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს, სტუდენტი, რომელიც ავტობუსით სასწავლებელში მიდის, დემონსტრანტი და პოლიციელი, რომელნიც ქუჩაში ერთმანეთის პირისპირ დგანან, საღამოს კი, სახლში დაბრუნებულები, გაზეთს წაიკითხავენ. ფიქრი მათზე არა მხოლოდ ზრდის პასუხისმგებლობას მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე, არამედ იმის გააზრებაში გვეხმარება, რომ ნებისმიერი პუბლიკაცია არის არა ავტორის მონოლოგი სცენიდან, არამედ დიალოგი თითოეულ მკითხველთან, რომლის აზრი განხილულ საკითხზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ნებისმიერი პოლიტიკოსის, პოპვარსკვლავის ან ჟურნალისტის.

**„საქართველო და მსოფლიოსთვის" ყველაზე მძიმე ეპიზოდებში, მაგალითად, 2009 წლის მეორე დარბევის შემდეგ, როდესაც რედაქციის მთელი კომპიუტერული ტექნიკა განადგურდა, არასამთავრობოებზე და მასმედიის წარმომადგენლებზე ადრე** (რომელთათვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის) **რედაქციაში რეკვა მკითხველებმა დაიწყეს. ისინი გამოხატავდნენ მზადყოფნას, მისულიყვნენ, სადაც კი ეტყოდნენ და შიშველი ხელებით დაეცვათ გაზეთი ხელისუფლების ზეწოლისგან.** ეს ძალიან ამაღელვებელი, გადაჭარბების გარეშე, დაუვიწყარი წუთები იყო და, სავარაუდოდ, სწორედ მაშინ დაიბადა ის ოპტიმიზმი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, განცდა იმისა, რომ სამართლიანობა ადრე თუ გვიან აუცილებლად აღდგება, და უდიდესი პატივისცემა „საქართველოს და მსოფლიოს" მკითხველების მიმართ. იმისთვის, რომ ყოველივე ეს არ გაქრეს ან არ მინელდეს, **აუცილებელია მუდმივი დიალოგი მკითხველთან ყველა აქტუალურ ან თუნდაც, ერთი შეხედვით, ნაკლებად აქტუალურ საკითხზე.**

დიქტატურის პირობებში შეძენილი გამოცდილება არ შეიძლება იყოს მხოლოდ ნეგატიური. სხვათა შორის, ყველას, ვისაც ეს თემა აღელვებს, მოწიწებით ვურჩევ, ნახოს ნახევარი წლის წინ გამოსული ფილმი „ღამის მატარებელი ლისაბონამდე" (რეჟისორი ბილე აუგუსტი, მთავარ როლში ჯერემი აირონსი), რომელიც, ერთი მხრივ, საკმაოდ მსუბუქია, მეორე მხრივ კი, სრული ფილოსოფიური სერიოზულობით აყენებს ყველა იმ საკითხს, რომლებიც ძალზე აქტუალურია როგორც სალაზარის შემდგომი პორტუგალიისთვის, ისე დღევანდელი საქართველოსთვისაც. იმ პერიოდში ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ სისატიკე, გაუტანლობა და აგდებული დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ, არამედ ამის საპირისპირო ღირებულებებიც. საბოლოო ჯამში, **საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაიგო თუ რამდენად დიდი ფასი აქვს თავისუფლებას და ღირსებას და მეორედ მათი ხელყოფის მცდელობას ასე იოლად აღარ შეეგუება.** ამასთანავე, ალბათ, **ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში თანდათან ეროვნული სოლიდარობის შეგრძნება გაძლიერდეს და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებს შევხედოთ არა როგორც მოსისხლე მტრებს, არამედ როგორც თანამემამულეებს, რომლებთანაც ვკამათობთ, მაგრამ ამავე დროს შეგვიძლია ერთად ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე გავაკეთოთ.** სასურველია, რაც შეიძლება მალე მოხდეს „საინფორმაციო სამოქალაქო ომის" ჩანაცვლება ცივილიზებული დისკუსიით და იმედია, „საქართველო და მსოფლიო" ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე გახდება და მის განვითარებას ხელს შეუწყობს.

ახლა კი, ალბათ, დროა, ტრადიციული სადღეგრძელოს ფორმას დავუბრუნდეთ (ქართულ სუფრას კონსერვატიზმი, მეტიც, ტრადიციონალიზმი უხდება). **გაუმარჯოს „საქართველო და მსოფლიოს" კოლექტივს და მკითხველს, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ჭირსა თუ ლხინში მხარში ედგა! გაუმარჯოს იმ ჟურნალისტს, რომელიც ადრე თუ გვიან გაზეთის ამავე გვერდზე დაწერს: „საქართველო და მსოფლიო" 50 წლისაა"! გაუმარჯოს საქართველოს, რომლის გარეშე ყოველივე ზემოთქმულს არანაირი აზრი არ აქვს!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართული საზოგადოება მიუახლოვდა ზღვარს, რომლის მიღმა საკმაოდ ბანალური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გავლება და ხელისუფლებისგან თუნდაც მცირე, მაგრამ ძალიან კონკრეტული წარმატებების მოთხოვნა იწყება.**

# ქართული ოცნებები და მივლინება ცენტრალურ აფრიკაში

გასულ კვირას საქართველოში მომავალზე გაცილებით მეტს საუბრობდნენ ვიდრე აწმყოსა და წარსულზე. საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს პრეზიდენტის (ან პრემიერმინისტრის) სავარაუდო შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან და ნატოს სექტემბრის სამიტი, რომლის გახსენებას და, ზოგადად, მსჯელობას ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე ბიძგი თბილისში ალიანსის სამხედრო კომიტეტის სხდომის გამართვამ მისცა. ამ თემებმა მედიასა და სოციალურ ქსელებში არანაკლები (თუ არა უფრო დიდი) ადგილი დაიკავეს, ვიდრე თბილისის ბიუჯეტთან დაკავშირებულმა ბატალიებმა ან საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხარვეზებმა, რომელნიც, დიდი ალბათობით „შენელებული მოქმედების ნაღმების“ როლს შეასრულებენ. შესაძლოა, საგარეო ფრონტზე ყურადღების გადატანის უკან კვლავინდებურად იდგა საზოგადოების სურვილი, მოძებნოს მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინთებში ისეთი ფორმულა, რომელიც საქართველოს უმძიმეს პრობლემებს მყისიერად მოაგვარებს, მიუხედავად იმისა, ყველასთვის ცხადია, რომ მსგავსი ფორმულა არ არსებობს.



**ჩვენი სამხედროები მალე, სავარაუდოდ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრებიან, სწორედ ესაა ვილნიუსში დიდი ზარ-ზეიმით ხელმოწერილი დოკუმენტების პირველი და ამ დროისთვის ერთადერთი ხელშესახები შედეგი**

### ავღანეთიდან აფრიკაში

**მიუხედავად იმისა, რომ 42 ამერიკელმა კონგრესმენმა მხარი დაუჭირა საქართველოსთვის მაპის მინიჭებას და მოსთხოვა სახელმწიფო მდივანს, ამ მიმართულებით გააქტიურდეს, კომენტატორების უდიდესი ნაწილი საკმაოდ სკეპტიკურ პოზიციას აფიქსირებს.** ნატოს „ძველევროპელი“ წევრების, უპირველესად, გერმანიის პოზიცია ალიანსში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით უცვლელია და აქედან გამომდინარე, ნატოს 2014 წლის სამიტზე საქართველო, დიდი ალბათობით, მიიღებს არა მაპს, არამედ, როგორც წინა წლებში, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის კიდევ ერთ (მერამდენე?) დადასტურებას. **ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცოს, რომ ამჯერადაც „მაპზე უკეთესი“ მივიღეთ და აქცენტს 2015 წლისთვის ნატოს რეაგირების ძალებში ქართველი სამხედროების ჩართვაზე გადაიტანს. მაგრამ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ამას, ალბათ, ენთუზიაზმის გარეშე შეხვდება — ნატოს რეაგირების ძალების შემადგენლობაში შესვლას 2015-16 წლებში ხომ ფინეთიც, შვედეთიც და უკრაინაც აპირებენ** (სხვათა შორის, უკრაინელებს ეს გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 2010-ში შესთავაზეს). ამ სახელმწიფოებს მკაცრი ნეიტრალიტეტი კანონმდებლობაში აქვს დაფიქსირებული და მათი (ისევე, როგორც საქართველოს) თანამშრომლობიდან ნატოსთან არანაირად არ გამომდინარეობს ალიანსში გაწევრიანება. ისევე, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არ ნიშნავს გაწევრიანებას ევროკავშირში — ის არაერთ ისეთ სახელმწიფოს აქვს ხელმოწერილი, რომელიც ევროკავშირის წევრი აპრიორი ვერ გახდება. ამგვარად, **ქართული საზოგადოება, დიდი ალბათობით, სკეპტიკურად შეხვდება „მაპზე უკეთესის“ ტიპის დემაგოგიას, რადგან ბოლო წლებში მან საკმაოდ კარგად ისწავლა ერთმანეთისგან დეკლარაციების, არაფრისმომცემი ჟესტებისა და რეალური საქმეების გამიჯვნა.** რეალური კი ამ ეტაპზე მხოლოდ ისაა, რომ **ჩვენი სამხედროები მალე, სავარაუდოდ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრებიან, სწორედ ესაა ვილნიუსში დიდი ზარ-ზეიმით ხელმოწერილი დოკუმენტების პირველი და ამ დროისთვის ერთადერთი ხელშესახები შედეგი.**

„როიტერის“ ცნობით, საქართველომ უკვე გამოთქვა მზადყოფნა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამხედროები გააგზავნოს. 15 თებერვალს, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში საქართველოს ელჩმა ბელგიაში **ნატალია საბანაძემ** შემდეგი განცხადება გააკეთა: **„საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ამ ეტაპზე, როგორც გითხარით, არის ჩვენი მხრიდან გამოთქმული ინტერესი, რომ წვლილი შევიტანოთ. არის ძალიან დიდი სურვილი ევროკავშირის მხრიდან, რომ ეს ასე მოხდეს და დაზუსტება ხდება დეტალების, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. საქართველომ ხელი მოაწერა ვილნიუსში ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებას და დაიწყო საუბარი იმაზე, როგორ უნდა მოხდეს ცხოვრებაში ამ ჩარჩო ხელშეკრულების გატარება. მართალია, ჯერ პარლამენტმა უნდა გააკეთოს ამის რატიფიცირება. ხელმოწერის შემდეგ პირველი ძალიან სერიოზული კრიზისული სიტუაცია შეიქმნა ცენტრალური აფრიკის ქვეყანაში“.** ბოლო ფრაზაში ელჩმა, როგორც ჩანს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა იგულისხმა, სადაც დიდი უბედურება ტრიალებს. ქრისტიანებისა და მუსლიმების შეტაკებების გამო მილიონამდე მოქალაქე დევნილად იქცა, მათ შორის მხოლოდ იანვარში 200 ათასი, დეკემბრიდან დღემდე, სულ მცირე, 2000 ადამიანი დაიღუპა. გაერომ დაახასიათა ეს, როგორც „ეთნო-რელიგიური წმენდის ტალღა“ და ქვეყანა ჰუმანიტარული კატასტროფის ზონად გამოაცხადა. სამშვიდობოებს მოქმედება ძალიან რთულ პირობებში უწევთ, დაღუპულია რამდენიმე სამხედრო საფრანგეთიდან და ჩადის რესპუბლიკიდან. **13 იანვარს ჯარისკაცებმა ბურუნდის კონტინგენტიდან ვერ აღკვეთეს ბრბოს მიერ მშვიდობიანი მოქალაქის ჩაქოლვა და ცოცხლად დაწვა და საქმეში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერივნენ, რაც ერთ-ერთმა მკვლელმა მსხვერპლის სხეულის ნაწილების ჭამა დაიწყო** (დაფიქსირდა კანიბალიზმის კიდევ რამდენიმე შემთხვევა). მოკლედ, **ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სრული ჯოჯოხეთია.**

ევროკავშირის მისია მიზნად ისახავს დახმარების აღმოჩენას ფრანგი სამხედროებისთვის, რომელნიც ყოფილ კოლონიაში, აფრიკული ქვეყნების კონტინგენტებთან ერთად, წესრიგის აღდგენას ცდილობენ. წინასწარი ინფორმაციით, ევროკავშირის დამატებითი კონტინგენტი არა იმდენად „წინა ხაზზე“, არამედ ბანგის აეროპორტის ზონაში იმოქმედებს, სადაც გარემო შედარებით უსაფრთხოა და უამრავი დევნილია თავმოყრილი, თუმცა აშკარაა, რომ იმ ქაოსში, რომელიც ქვეყანაში სუფევს, საუბარი სრულიად უსაფრთხო ზონებზე უადგილოა. **შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავეს ქვეითების გაგზავნისგან და ჰუმანიტარული ოპერაციისთვის მხოლოდ სატრანსპორტო ავიაცია გამოყვეს.** რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ გაეროს ყველა წევრი ქვეყანა ძალისხევას არ დაიშურებს, რათა ამ უბედურებას ბოლო მოუღოს, მაგრამ საქართველოში, განსაკუთრებით იმ დიდი დანაკარგის შემდეგ, რომელიც ავღანეთში განვიცადეთ, შეიძლება ბუნებრივად გაჩნდეს კითხვა: **რატომ უნდა გავაგზავნოთ იქ ჩვენი სამხედროები? საქართველო არც ნატოს წევრია და არც ევროკავშირის და მისი კონტრიბუცია ცენტრალური აფრიკის კრიზისის დაძლევაში შეიძლება გაცილებით მოკრძალებული იყოს** (მაგალითად, ჰუმანიტარული ტვირთის ან რამდენიმე ექიმის გაგზავნა და ა. შ.). **რა საჭიროა ჩვენი ჯარისკაცების გადასროლა ამ ურთულეს კლიმატურ და ეპიდემიოლოგიურ გარემოში, სამხედრო ასპექტებს თავი რომც დავანებოთ?** საზოგადოება, ალბათ, არ მიიღებს **„სამშობლოს ასე სჭირდება“** და **„ნატოში გაწევრიანებას ასე სჭირდება“** ტიპის პასუხებს და ნაკლებად სავარაუდოა, ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, **დავით ზალკალიანის,** ფრაზამ დააკმაყოფილოს: **„საქართველო ევროპული უსაფრთხოების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ კონტრიბუტორიც უნდა იყოს“** (ინტერპრესნიუსი), რადგან ერთობ გაუგებარია, რომელ „ევროპულ უსაფრთხოებას“ „მოიხმარს“ საქართველო. **დაიძრება თუ არა ადგილიდან თუნდაც ერთი ევროპელი ჯარისკაცი თუ კრიტიკულ სიტუაციაში დახმარება დაგვჭირდება?** ბოლო წლების გამოცდილება ამ მხრივ ნეგატიურია.

**შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქვეითების გაგზავნისგან და ჰუმანიტარული ოპერაციისთვის მხოლოდ სატრანსპორტო ავიაცია გამოყვეს... რატომ უნდა გავაგზავნოთ იქ ჩვენი სამხედროები?**

### რატომ შფოთავს დავით უსუფაშვილი?

13 იანვარს, ტალინში გამოსვლისას პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა თქვა, რომ 2014 წლის ნატოს სამიტზე საქართველოსთვის მაპის არმიცემა უბიძგებს ზოგიერთ პოლიტიკურ ძალებს, წინა პლანზე წამოწიონ მოსაზრება: **„ნატოში მისწრაფება რომ არა, საქართველო ტერიტორიულ პრობლემებს მოაგვარებდა“** და დასძინა, რომ **სამიტის დასრულება „ძალიან მცირე პროგრესით, ამის გასაღება ხალხისთვის დიდ წარმატებად ძალიან რთული იქნება“.** უსუფაშვილმა, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ **ქართული საზოგადოება მიუახლოვდა ზღვარს, რომლის მიღმა საკმაოდ ბანალური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გავლება და ხელისუფლებისგან თუნდაც მცირე, მაგრამ ძალიან კონკრეტული წარმატების მოთხოვნა იწყება.**

რუსეთის ხელისუფლებამ სხვადასხვა ფორმით არაერთგზის დააფიქსირა, რომ ოფიციალურ თბილისთან დაპირისპირებისა და აგვისტოს ომის (თავისი შედეგებით) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს ხელისუფლების სურვილია — ქვეყანა ნატოში გააწევრიანოს. ამ დაპირისპირებამ საქართველოს წლების განმავლობაში უდიდესი ზარალი მოუტანა და მან ვერ მიიღო ვერაფერი, რაც მის, თუნდაც ნაწილობრივ, კომპენსირებას მოახდენდა. ქვეყნის ინტეგრაცია ნატოში კი, ფაქტობრივად, დაიბლოკა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის პოზიციის გამო. ის სავარაუდო რეაქცია, რომელზეც დავით უსუფაშვილი საუბრობს, ასეთ სიტუაციაში სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური ჩანს და, შესაძლოა, ის მოსალოდნელზე კიდევ უფრო მკვეთრი გამოდგეს, რადგან **საზოგადოების ნაწილმა რუსეთის პრეზიდენტის სურვილში ქართველ კოლეგას შეხვდეს, დაინახა უმძიმესი სიტუაციიდან გამოსვლის შანსი, „სინათლე გვირაბის ბოლოს“ და ამას ნათლად ხედავს ყველა, ვინც მასმედიისა და სოციალური ქსელების თუნდაც ზედაპირულ მონიტორინგს აწარმოებს.**

თეორიულად, ხელისუფლებას შეუძლია სააკაშვილისდროინდელ დემაგოგიას მიმართოს და „რუსეთთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების“ კონტექსტში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ისაუბროს, თუმცა ეს, სავარაუდოდ, ნაკლებად ეფექტური იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ მას თავიდანვე არ წარმოუჩენია „პარაფირება-ასოცირება“ დიადი ბრძოლის აქტად, ხოლო **საქართველოს პრეზიდენტ-** ▶

**ჰო, აბა, რა, კომედიის კომუფლაჟში უნდა შეფუთო აშკარა სულიერი დივერსია, რათა, ყოფილი პრემიერის არ იყოს, იუმორით შევხედოთ გარყვნილების, მომაკვდინებელი ცოდვის აშკარა პროპაგანდას. თანაც კომედიას უფრო ადვილად არ დაადებ ასაკობრივ შეზღუდვებს და ჩვენი არასრულწლოვანი შვილებიც განათლდებიან ამ კინოხელოვნების შედევრით...**

ავი მჳსაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მა ახლახან „რუსთავი 2"-ს განუცხადა: „რუსეთის მხრიდან ამ ეტაპზე საქართველოს სუვერენიტეტზე ზეწოლა იმ თვალსაზრისით, რომ არ მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, ასეთ რამეს მე ვერ ვხედავ... ეს უნდა ვთქვათ იმიტომ, რომ არ შევქმნათ ილუზია იმისა, რომ რაღაც ზეწოლა ხორციელდება".** ხოლო ვინაიდან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას, სავარაუდოდ, არ მოჰყვება სიტუაციის სწრაფი და საგრძნობი გაუმჯობესება უსაფრთხოების ან ეკონომიკის სფეროში (ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზით, ეკონომიკაში შეიძლება პირიქითაც მოხდეს) **საზოგადოების უმრავლესობის რეაქცია მასზე, დიდი ალბათობით, იქნება არა „მოვაწერეთ და გვეშველა", არამედ „მოვაწერეთ და მერე რა?!". ამას, ალბათ, დაემატება იმედგაცრუება ნატოს სამიტის ხმამაღალ, მაგრამ რეალურად არაფრისმომცემ დეკლარაციებთან დაკავშირებით** და სავსებით აქტუალური გახდება წინა პლანზე იმ ლოზუნგების წამოწევა, რომლებზეც დავით უსუფაშვილმა ტალინში ისაუბრა. მაგრამ რამდენად ადეკვატურად იმოქმედებენ მის მიერ ნახსენები „ზოგიერთი პოლიტიკური ძალები" და შეძლებენ თუ არა, სათანადოდ გამოიყენონ იმედგაცრუება, რომელიც საზოგადოებაში დღესაც ფიქსირდება, ხოლო სექტემბერში, ნატოს სამიტის პერიოდში, თითქმის გარანტირებულად, უფრო ძლიერი გახდება. შესაძლოა, ხელისუფლების ერთადერთი შანსი ამ ძალების სისუსტეში მდგომარეობს და მხოლოდ ის აძლევს საშუალებას, ძველი პოლიტიკა გააგრძელოს ისე, რომ საზოგადოების მზარდი უკმაყოფილება არ გაითვალისწინოს.

## მოჩქარეს მოუგვიანდესო

**ახალ ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი რესპუბლიკელებს და ალასანიას ჯგუფს, ნამდვილად არ სურთ, რომ საზოგადოების მნიშვნელოვნმა ნაწილმა ისევე მტკივნეულად აღიქვას მისი უშედეგო მოწადინება ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, როგორც, მაგალითად, კოაბიტაცია ან ჩინოვნიკების დაუფარავი სურვილი, ბიუჯეტის ხარჯზე „იგრიალონ", ვინაიდან ცარიელი პროპაგანდა, კონკრეტული მიღწევების გარეშე, განსაკუთრებულს ვერაფერს მოუტანს** (და უსუფაშვილი ამას აღიარებს). ერთადერთ გამოსავლად მას შეიძლება იმ ძალების პრევენციული დასუსტება მოეჩვენოს, რომელნიც ნატოს საწინააღმდეგო (საბოლოო ჯამში, ანტიდასავლური) ლოზუნგებით ოპერირებენ. მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ **სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, ახალი ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, უხეშ რეპრესიებს მიმართოს და მხოლოდ პოლიტიკური და საინფორმაციო ინსტრუმენტების გამოყენება მოუწევს.**

პრიმიტიული „მიშისტური" პოლიტოლოგია ნატოს ყველა მოწინააღმდეგეს ერთ ქვაბში ხარშავდა და „პრორუსულ ძალებად" აცხადებდა. არადა, მათ შორის არიან როგორც რუსეთთან კავშირის, ისე მკაცრი (სკანდინავიური ტიპის) ნეიტრალიტეტის მომხრეები, უბრალოდ, წინა რეჟიმის ზეწოლამ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეების ტოტალურმა დომინირებამ პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეში ისინი ერთმანეთის ტაქტიკურ მოკავშირეებად აქცია, თორემ გრძელვადიან პერსპექტივაში მათი გზები გაიყოფა. დღეს, ადგილობრივი არჩევნების წინ, ანტიდასავლური განწყობების სულ უფრო ფართო გავრცელების ფონზე, ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ დადგა ამ ჯგუფების გაერთიანების და პოლიტიკური განაცხადის გაკეთების დრო, მაგრამ, შესაძლოა, ამის გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია.

**ადგილობრივ არჩევნებში ყველაზე შთამბეჭდავი წარმატებაც კი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე უშუალო ზემოქმედების საშუალებას არ იძლევა.** აქტიური ჩარევა საარჩევნო ბატალიებში გადააქცევს ხსენებულ ჯგუფებს რესურსად ცალკეული პოლიტიკოსების ამბიციების დაკმაყოფილებისთვის, მაშინ, როდესაც ყველაზე აქტუალური მათთვის დღეს, ალბათ, მაინც პროპაგანდაზე კონცენტრირებაა. **არსებობს ყველა წინაპირობა ნატოს საწინააღმდეგო იდეების ფართოდ გავრცელებისთვის** (და სწორედ ამის ეშინია უსუფაშვილს), **მაგრამ წინაპირობები ხელისუფლებაში, თუნდაც ნაწილობრივი შეცვლისთვის, ჯერჯერობით არ არსებობს,** მითუმეტეს, რომ ამ ჯგუფების გაერთიანება, ლიდერების ამბიციების გამო, საკმაოდ რთული იქნება. პროპაგანდისთვის კი გაცილებით ეფექტური მცირე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი (მაგრამ ამავე დროს ერთგვარ ერთიან ქსელში ჩართული) ჯგუფების მოქმედება ჩანს, ვიდრე სასწრაფო წესით შეკოწიწებული ერთიანი მონსტროზული გაერთიანების.

**წინაპირობები პოლიტიკური გარღვევისთვის, ალბათ, შეიქმნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება** (განსაკუთრებით კი მისი პრაგმატული და საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილთან ალიანსზე ორიენტირებული წარმომადგენლები) **იძულებული გახდება, საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში გაითვალისწინოს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული, ნატოში ინტეგრაციის საწინააღმდეგო მოსაზრებები და, ამასთანავე, მოხდება საპირისპირო იდეების კიდევ უფრო საგრძნობი, მიზანმიმართული დისკრედიტაცია.** შესაძლოა, ნატოს მოწინააღმდეგე ძალების ინტერესებშია, არ „გადაახტნენ" პროპაგანდის გაძლიერების და შიდა კონსულტაციების ეტაპს და ტაქტიკურ წარმატებებზე ფიქრი დროებით გვერდზე გადადონ. მარტივად რომ ვთქვათ, **წარმატებული წინსვლისთვის საჭიროა მეთაურებს შორის თანხმობის მიღწევა, გეგმის შედგენა, ძალთა მობილიზაციის დასრულება და მათი გამარჯვებისთვის მთელი რიგი წინაპირობების შექმნა.**

**დიმიტრი მონიავა**

# ერმა და ბერმა «ტაბურეტკებით» რომ არ ვირბინოთ





**სულ რაღაც ერთი კვირის დანიშნული იყო შს მინისტრი ჭიკაიძე, როდესაც ქართული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. მედიის ლიბერასტულ უმრავლესობას მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ რა მოხდება 17 მაისს. ერთმა გულწრფელად ისიც იკითხა: კიდევ დაგვარბევენო?**

ფაქტია, რომ „ესენი" (ჩვენი სამთავრობო თუ არასამთავრობო ნეოლიბერალები) ახლავე ემზადებიან სრულიად მსოფლიო ლგბტ დღის საქართველოში „ღირსეულად" ბოლოს და ბოლოს აღნიშვნისთვის.

დიახ, ბოლოს და ბოლოს, რადგან „ისინი" (ჩვენი ლიბერასტების პატრონ-დამფინანსებლები), ვინც პრაქტიკულად მოათავეს დასავლეთში ერთსქესიანი ქორწინებების „დამკვრელური ტემპებით დანერგვა", ახლა ისეთი „წვრილმანების" ათვისებაზე მუშაობენ (და არც თუ წარუმატებლად), როგორიც პედოფილია-ინცესტია. ამ ეტაპზე საქართველოსგან გეიპარადის ჩატარებას ითხოვენ მხოლოდ, როგორც ერთ-ერთ წინაპირობას ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა, და მერე კი მეორე და მესამე ეტაპების, ანუ პედოფილიისა და ინცესტის, ლეგალიზაციის ჯერიც მოვა და დატრიალდება სოდომიის ეშმაკის ბორბალი!..

17 მაისისთვის მზადების ერთ-ერთი შემადგენელი თუ ქართველ პედერასტებზე მხატვრული ფილმის გადაღება იქნებოდა, არ მეგონა — ასეთ „ნაგლობას" არ ველოდი! ეს „სასიხარულო ამბავი" სატელევიზიო შოუებმა ფილმის პროდიუსერის, დავით ბეჟიტაშვილის, პირით გვამცნეს. ფილმი კომედიააო, მეგრელ და კახელ მთავარ გმირებზე ბევრს იცინებთო, — გვახარა. რეჟისორი ოთარ მიქელაძეაო (მართლაც გვარიშვილობის საკადრისი საქციელია) გაგვიმხილა, მაგრამ მთავარი როლების შემსრულებელთა ვინაობა ჯერჯერობით (ალბათ, მათი უსაფრთხოების გამო — დ. მ.) დამალა.

**ჰო, აბა, რა, კომედიის კომუფლაჟში უნდა შეფუთო აშკარა სულიერი დივერსია, რათა, ყოფილი პრემიერის არ იყოს, იუმორით შევხედოთ გარყვნილების, მომაკვდინებელი ცოდვის აშკარა პროპაგანდას. თანაც კომედიას უფრო ადვილად არ დაადებ ასაკობრივ შეზღუდვებს და ჩვენი არასრულწლოვანი შვილებიც განათლდებიან ამ კინოხელოვნების შედევრით...**

რატომ მაინცდამაინც მეგრელი და კახელი? ამაზე დიდხანს ვიფიქრე და ბოლოს ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, გია იაკობაშვილმა, „მომაწოდა" — ააა, ტრაპიზონიდან დარუბანდამდე უნდათ „იბერიის გაბრწყინებაო"...

და ყველაზე მთავარი: ფილმის გადაღებები თებერვლის ბოლოს უნდა დაიწყოს და პრემიერა კი 17 მაისს კინოთეატრ „რუსთაველში" — რა არის ეს, თუ არა პირდაპირი პროვოკაცია, თავხედური გამოწვევა ქართველი ხალხისა? ფილმის ავტორებმა და, პირველ რიგში, მათმა დამფინანსებლებმა, ხომ იციან, რომ პრემიერა, როგორც მინიმუმ, ექსესცების გარეშე ვერ ჩაივლის, რადგან „უწყინარ კომედიაზე" სიცილის მოყვარულებზე ბევრად მეტნი, პრემიერას ტრაგედიად რომ აღვიქვამთ, სატირალს რომ ვიგრძნობთ, ის ხალხი ვართ და უფრო მძიმე შედეგებიც, ფიზიკური დაპირისპირების ჩათვლით, არ გამოირიცხება!

**იციან და ძალიან კარგადაც, რაშიც კიდევ ერთმა ბლანჟეცმაცუნა ლგბტ-თა პირწავარდნილმა დამცველმა, ვახუშტი მენაბდემაც, დამარწმუნა, რომელმაც პირდაპირ მოითხოვა ხელისუფლებისგან 17 მაისის „ღირსეულად" ჩატარების უზრუნველყოფა, თუნდაც ამისთვის რეპრესიებიც (ზუსტად ასე ბრძანა — დ. მ.) გახდეს საჭიროო...**

17 მაისის „ღირსეულად" აღნიშვნას ემსახურება მამა იოთამის გაჭიანურებული სასამართლო პროცესიც. ეს ის ბერმნაზონია, რომელსაც აგვისტოს ომის დროს ჩვენს პატრიარქთან ერთად ფრონტის ხაზიდან გამოჰქონდა ქართველების უპატრონოდ მიყრილი გვამები...

ეს ისე, ცნობისთვის და მავანთა საყურადღებოდ, ვინც მამა იოთამს მხოლოდ „ტაბურეტკასთან" აიგივებს!

გაჭიანურების მიზეზი კი, ალბათ, ის არის, რომ, ერთი მხრივ, სასამართლო აშკარა ზეწოლას განიცდის დიპკორპუსისგან, რომლის წარმომადგენლები ყველა პროცესს ესწრებიან, რათა მოსამართლემ საკადრისი მიუზღოს „ტაბურეტკიან მღვდელს" და მეორე მხრივ, მოსამართლე აცნობიერებს, რომ პროცესი, ფაქტობრივად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულად აღიქმება ქართველი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ერთობ სარისკოა!

**თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ მოსამართლე დავით მგელიაშვილსაც არ ეხატება გულზე ლგბტ-პედერასტები და არა მხოლოდ რისკის გათვალისწინებით, არამედ რწმენის გამო მიჰყავს პროცესი ღირსეულად. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასეა, რასაც ვერ ვიტყვით პროკურორებზე, რომლებიც „დაზარალებულ" ბუდარა-ბუდარიხებს ტოლს არ უდებენ დამსწრე საზოგადოების პროვოცირების, შეურაცხყოფის ხელოვნებაში!..**

აქედან გამომდინარე, სასურველად მიმაჩნია, რომ პროცესის მიმდინარეობისას, თუნდაც სასამართლოს ეზოში ბევრად მეტი სასულიერო პირი მოვიდეს საკუთარ მრევლთან ერთად, რათა, ერთი მხრივ, დასავლელი დიპკორპუსის ხლისტების ზეწოლის საპირწონე დავაფიქსიროთ და მეორე მხრივ, მოსამართლე მგელიაშვილის ჯერჯერობითი „მგლობა" გარანტირებულ მუდმივობად დავიგულოთ, ხოლო ჩვენს „დაზარალებულ ქათმებს" თუ მათ აპოლოგეტებს, რომლებიც ასობით არიან და ჩვენებებს იძლევიან, თავხედური კრიახისა და აპლომბის ხალისი დავუკარგოთ!

ასეა თუ ისე, ყველა ვარიანტში, სავარაუდოდ, 17 მაისისთვის სასამართლო პროცესი უნდა დასრულდეს და თანაც ჩვენი დასავლელი „მეგობრებისთვის" მისაღებ-მოსაწონი განაჩენით. თუნდაც ამიტომ, სასურველი კი არა, ჩემის აზრით, აუცილებელიცაა, რომ ქართულმა ეკლესიამ ახლავე დააფიქსიროს საკუთარი მკვეთრი პოზიცია მიმდინარე სასამართლო პროცესის, აგრეთვე, ხსენებული მომავალი ფილმის პროვოკაციულად დაანონსებული პრემიერის მიმართ, რათა ამ 17 მაისს შარშანდელივით „ტაბურეტკებით" არ ვირბინოთ ერმა და ბერმა.

დიახ, მხოლოდ ეკლესიაა ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი ქართველი ხალხისა მსოფლიო ლგბტ-თა ტოტალური მოძალების ჟამს!

წერილის ბოლოს ერთად გავიხსენოთ ლგბტ-პედერასტების აღლუმების გამართვის მცდელობების დინამიკა საქართველოში.

პირველად 2011 წლის 17 მაისს, ანუ მიშას გაგანია ზეობის ჟამს, გამოსრიალდნენ ლგბტ-გველები რუსთაველზე და მათ ალაგმვას, უტრირებულად თუ ვიტყვით, ერთი ორი მამაო, სოსო მანჯავიძის „მამაშვილური" ალიყური და თქვენი მონამორჩილის გინება ეყო.

მეორედ შარშან სცადეს გამოსრიალება იმავე დროს და იმავე ადგილას და უკვე ლამის მთელი ერი და ბერი აღუდგა სოდომისტების პარადს წინ.

ორივე შემთხვევაში ქვეყნის ძალოვანები ფარულად თუ აშკარად კაცების — საქართველოს მხარეს იყვნენ და არა ქათმების! რას იზამ, თვით მიშას პოლიციამაც არ იკადრა ქათმების გულისთვის კაცებზე ხელის (დუბინკის) აწევა...

რა იქნება „ხვალ", ამას 17 მაისს ვნახავთ. რას იზამს პოლიცია?!

ფაქტია, რომ ძლიან ბევრ ქართველს ისეთ საქართველოში აღარ უნდა ცხოვრება, რომელშიც პედერასტები იპარპაშებენ!

ამ ყველაფერში დამნაშავე და პასუხისმგებელი კი, პირველ რიგში, ევროპა-ამერიკა იქნება, ისევე, როგორც უკვე არიან ზოგადად 9-წლიანი კოშმარის და კონკრეტულად 7 ნოემბრის, 26 მაისის სასაკლაოს გამო, რომლებზეც ხმა არ გაუღიათ და ახლა უნამუსოდ სხედან პედერასტების სასამართლო პროცესზე...

**დავით მხეიძე**

**P.S. ისე, ფილმის პრემიერა საპატიო სტუმრების გარეშე ვინ თქვა და, დიპკორპუსი რომ მივა ქართველ პედერასტებთან სოლიდარობის ნიშნად, ნაღდია. ვნახოთ, ხელისუფლებიდან ვის მიიწვევენ და ვინ მივა კინო რუსთაველში კომედიაზე სალღიცინოდ.**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რაც უნდა გაბადრული სახით და სასიამოვნო გამომეტყველებით დაუჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან პუტინს მარგველაშვილი ან ღარიბაშვილი, ეს იქნება მაინც შეხვედრა შეხვედრისთვის. სხვა მოლოდინის საფუძველი ჩვენ არ გვაქვს და ვერც გვექნება, იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, იძახო, — კეთილმეზობლური ურთიერთობა მინდა და მეორე მხრივ, აქ ყოველ მეორე-მესამე დღეს ნატოს სამხედრო კომიტეტი მეჯდეს, არ გამოდის ეს ლოგიკური."**

# ირინა სარიშვილი: მალე დაიწყება სააკაშვილის რეაბილიტაციის პროცესი აქტიურ პოლიტიკაში მის დასაბრუნებლად

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება პარტია „იმედის" თავმჯდომარე ირინა სარიშვილი.**



**— ქალბატონო ირინა, რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომ მზადაა, საქართველოს პირველ პირს შეხვდეს, თბილისში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, თუმცა ერთ რამეში ყველა თანხმდება: ეს არ უნდა იყოს შეხვედრა შეხვედრისთვის. თქვენი აზრით, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს დღევანდელ ვითარებაში ამ მოლაპარაკებამ და რის შეთავაზება შეუძლია „ქართულ ოცნებას" კრემლის მესვეურებისთვის, რასაც წინა ხელისუფლება ვერ ან არ სთავაზობდა?**

— ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებას საკუთარი აზრი საერთოდ არ გააჩნია და აგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელსაც მისი წინამორბედი ატარებდა. რაც შეეხება რუსეთის პირველ პირთან შეხვედრას, იმ საკითხებითა და შეთავაზებით, რომლებითაც ესენი მოლაპარაკების წარმართვას აპირებენ, ვფიქრობ, შედეგი იქნება ნული და რამდენიც უნდა ილაპარაკონ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა, ჩვენ არ გვინდა რაღაც ფორმალური დიალოგიო, ეს მაინც იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის, რომელიც პოლიტიკაში რეალურად არაფერს შეცვლის.

**— რომელ შეთავაზებას გულისხმობთ?**

— ბოლოს რაც გაჟღერდა. გაიხსენეთ, რა თქვა მარგველაშვილმა: უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ ნატოში საქართველოს შესვლა მისთვის საშიში კი არ არის, არამედ სასარგებლო. თუ ახლა ამას ვინმე სერიოზულად აღიქვამს, მაშინ შეგვიძლია რაღაც შედეგზე ვილაპარაკოთ, მაგრამ, მგონი, ამ განცხადებას საერთოდ კომენტარი რა სჭირდება. **რუსეთს აქვს საკუთარი გეგმა, ჩამოყალიბებული სტრატეგია და, ბუნებრივია, ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო, ის ყოველთვის იმოქმედებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მისი ამ სტრატეგიის საპირისპირო ნაბიჯებს გადადგამენ ან მოწინააღმდეგის სატელიტებად განიხილებიან. ეს ბუნებრივია და, სანამ ეს თანაფარდობა არ შეიცვლება, ჩვენ არა თუ ვერ მოვაგვარებთ კრემლთან ურთიერთობას, ახალ პრობლემებსაც შევქმნით.** მოსწონს ვინმეს თუ არა, ეს არის ფაქტი.

**— ამ შეხვედრაზე, თუ ის საერთოდ შედგება, ალბათ, მთავარი სასაუბრო თემა იქნება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი. როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ამბობს, მზად ვარ შეხვედრისთვისო, როგორ ფიქრობთ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ის მზადაა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე სალაპარაკოდ?**

— კიდევ ვიმეორებ: რუსეთს აქვს ჩამოყალიბებული და დეტალურად განსაზღვრული გეგმა, რომლის განხილვაც ერთი კონკრეტული განცხადების ჭრილში შეუძლებელია; ამიტომ ჩვენ ჩვენი მხრიდან უნდა ვილაპარაკოთ მზადყოფნაზე, ვინაიდან **დღეს საქართველოს პრობლემა სახელები და გვარები კი არაა, არამედ ამ ქვეყნის უპირველესი მტერი არის არსებული საგარეო პოლიტიკა.**

**— ერთ-ერთ გამოსვლაში მარგველაშვილმა განაცხადა, — იყო დრო, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოში შევიდოდნენ, მაგრამ მათ ეს შეძლესო. ამით მან ხაზი გაუსვა საქართველოს მომავალს და, ფაქტობრივად, მიანიშნა იმ ბარიერზე, რუსეთის სახით, რომელსაც, მისი რწმენით, აუცილებლად გადავლახავთ. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ეს არის იმ ოცნებების სამყარო, რომელშიც ხელისუფლება ხალხს ამყოფებს, თუმცა არ მგონია, რომ თვითონ ხელისუფლებას სჯერა ამის. მარგველაშვილს რაც შეეხება, მას შეიძლება მართლა აქვს გარკვეული ილუზიები და გულწრფელად ამბობს ყველაფერს. ის კი არა, საერთოდ ეჭვი მეპარება, ეს ადამიანი ადექვატური იყოს თავის მოქმედებებში, როცა პოლიტიკაზეა საუბარი...

**— კულუარებში მარგველაშვილსა და მთავრობას შორის არსებულ დაპირისპირებაზეც ლაპარაკობენ, რომ ის არ აღმოჩნდა მთლად ისეთი პლასტელინი, როგორიც ივანიშვილს ეგონა.**

— ხელისუფლების შიგნით რა ხდება და რა პროცესები მიდის, ამაზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: მარგველაშვილს იმთავითვე შეეტყო გარკვეული ამბიციები, როდესაც შეიცვალა. ეს იკვეთებოდა მის საუბარში, მიმართვასა და მოქმედებაში. ასე რომ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო ამის დამალვა. მსგავსი ცვლილება არ არის კარგის ნიშანი. კიდევ ვიმეორებ, **მარგველაშვილი არის უაღრესად ამბიციური ადამიანი და ძალიან საშიშია ასეთი ამბიციური კაცი იქ, სადაც მისი ადგილი არაა.**

**— დასაწყისში თქვით, რომ რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შეხვედრა, დღევანდელ ვითარებაში, უშედეგო იქნება. პუტინის მზაყოფნა გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ეს შეხვედრა, თუკი წინასწარვე ცხადია, დიდი ალბათობით, რომ რეალური წინსვლა ამ მოლაპარაკებებს არ მოჰყვება?**

— ყველაფერს თავი დავანებოთ, საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად უარყოფითად შეხვდება იმას, რომ ხელისუფლებამ უცებ უარი განაცხადოს შეხვედრაზე. ეს, რა თქმა უნდა, კარგად ესმით „ქართულ ოცნებაში" და კარგად ესმით ამერიკელებსაც, ამიტომ გაკეთდა ასეთი განცხადება: ჩვენ მზად ვართ, მაგრამ შეხვედრა შეხვედრისთვის არ გვინდაო. ახლა კონკრეტულად რა როგორ იქნება და რა სცენარით განვითარდება პროცესები, ძნელი სათქმელია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: **რაც უნდა გაბადრული სახით და სასიამოვნო გამომეტყველებით დაუჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან პუტინს მარგველაშვილი ან ღარიბაშვილი, ეს იქნება მაინც შეხვედრა შეხვედრისთვის. სხვა მოლოდინის საფუძველი ჩვენ არ გვაქვს და ვერც გვექნება, იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, იძახო, — კეთილმეზობლური ურთიერთობა მინდა და მეორე მხრივ, აქ ყოველ მეორე-მესამე დღეს ნატოს სამხედრო კომიტეტი მეჯდეს, არ გამოდის ეს ლოგიკური.**

**— ფაქტია, რომ დღესდღეობით საქართველოში უკმაყოფილების მუხტი იზრდება, მოსახლეობა შეუსრულებელი დაპირებების გამო გაღიზიანებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლება, ფაქტობრივად, კონტროლს გარეშეა. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ის წყალგამყოფი, რომლის იქითაც საზოგადოების პასიურობა დამთავრდება და დაიწყება კანონის წნეხი მმართველ გუნდზე?**

— ეს გუნდი გარკვეულ წნეხს ახლაც განიცდის, მაგრამ ჩვენთან, ხომ იცით, როგორაა, ხალხი მაინცდამაინც ქუჩაში უნდა გამოვიდეს, რომ ხელისუფლებამ ამა თუ იმ პრობლემის არსებობა აღიაროს; ქუჩაში გამოსვლას კიდევ ორგანიზება სჭირდება. ჯერჯერობით კი ამ ორგანიზატორს ვერ ვხედავ, ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალი მოცემულ სიტუაციაში, ვფიქრობ, არის მესამე ძალის ჩამოყალიბება, ოღონდ რეალური ძალის და არა ისეთის, ბურჯანაძემ რომ განცხადება გააკეთა და შემდეგ გაკეთებული განცხადებებით ისევ „ნაციონალების" წისქვილზე დაასხა წყალი...

**— მესამე ძალის შექმნის თემაზე დღეს ბევრი საუბრობს. ვთქვათ პირდაპირ: რას იძლევა ეს რეალურად?**

— არ არის აუცილებელი, საწყის ეტაპზევე მოწინავე პოზიცია დაიკავოს ამ ძალამ. **დღეს მთავარია, „ნაცმოძრაობა" გამოიდევნოს პოლიტიკური ველიდან და მან დაკარგოს მთავარი ოპოზიციური სუბიექტის სტატუსი, რომელიც თვითონ დაიბრალა და სხვებმა „გაუპრავეს".** აი, ესაა მთავარი ამოცანა, ხოლო შემდეგ უკვე, როცა სპექტრი გაჯანსაღდება, ხალხი გადაწყვეტს, ვინ რა ადგილს დაიკავებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მთავარია, რომ ადამიანებს ექნებათ რეალური არჩევანის გაკეთების საშუალება.

**— დავუბრუნდეთ რუსეთის საკითხს, რაც უნდა ოკუპანტი, დამპყრობელი და მტერი ვეძახოთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, აშკარაა, რომ დღესდღეობით ჩვენც და ოფიციალური მოსკოვიც ერთსა და იმავე იდეოლოგიურ წნეხს განვიცდით დასავლეთისგან. მეტიც, ბევრი თვლის, რომ კრემლი ერთგვარი შემაკავებელია იმ ე. წ. ლიბერალური ღირებულებების, რომელთაც ჩვენი დემოკრატი პარტნიორები, 20 წელია, თავს გვახვევენ. იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი ვერ გაუძლებს ამ წნეხს და გატყდება, რა ბედი ელის საქართველოს?**

— ჩვენ ველარ ვნახავთ, როგორ დაეცემა და გატყდება იდეოლოგიურად რუსეთი. თუ ეს მოხდება, მანამდე ჩვენ მოგვიწევს გაქრობა. ასე რომ, „სამწუხაროდ", საზოგადოების გამოშტერებული ნაწილი იმ სიხარულის განცდას, რომელსაც ელოდება რუსეთის გაქრობით, ვერ ეღირსება.

**— რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის პროცესს, რამდენიმე დღის წინ სასამართლომ ვანო მერაბიშვილს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თქვენი აზრით, რამდენად ადექვატურია ეს განაჩენი?**

— სიმართლე გითხრათ, არც ის გამიკვირდება, რომ ცოტა ხანში მერაბიშვილი პირობითით გამოუშვან. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ვინაიდან არაადექვატური გუნდი გვყავს სათავეში. რომელი საქმე მიიყვანა ხელისუფლებამ ბოლომდე? ცხრა წელი ვიძახდით, რომ ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება, ერთი მოქალაქე მაინც მანახეთ, რომელიც იტყვის ჩემი უფლებები აღსდგაო. ის კი არა, იქამდე მივიდნენ, არჩილ კბილაშვილი გამოდის და პირდაპირ აცხადებს: გასარკვევია, სანდრო გირგვლიანი სიცოცხლის რბილის დროს გარდაიცვალა თუ მოკლესო. იურისტი რომ ასეთ რამეს ამბობს, ამის მერე ნამდვილად არაფერი გამიკვირდება. რომელ სამართლიანობის აღდგენაზე და ადექვატურ განაჩენზე ვსაუბრობთ?!

**— რამდენიმე დღის წინ ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, — თუ სააკაშვილს არ დავიჭერთ, ახლა დემოკრატიის მეორე კლასში ვართ და მეოთხეში გადავხტებითო...**

— ერთი რამე მაინტერესებს, ახლა რომ ასე დაუფარავად ამბობენ ყველაფერს და ნიღბებს იხსნიან, არჩევნებამდე რატომ არ აკეთებდნენ ბერძენიშვილები ასეთ განცხადებებს?! ან იგივე **ივანიშვილი ხომ ამბობდა, როცა მოვალთ, სააკაშვილი დაისჯებაო. ახლა რა თუზეა ლაპარაკი?! საქმე ისაა, რომ ესენი არავის დასჯას არ აპირებენ. პირიქით, ცოტა ხანში სააკაშვილის რეაბილიტაციას დაიწყებენ და ისევ დააბრუნებენ მალე აქტიურ პოლიტიკაში.**

**— იქნებ უკვე დაწყებულია კიდეც ეს პროცესი.**

— რა თქმა უნდა, პროცესი მიდის, მაგრამ მხედველობაში მაქვს ის, რომ უფრო აქტიური მუშაობა დაიწყება. ახლა ნელ-ნელა ავიწყებენ საზოგადოებას იმ უბედურებას, რომელიც ცხრა წლის მანძილზე გამოვიარეთ, რაღაცებს ჩქმალავენ და მერე მოხდება რეაბილიტაცია. ესაა გრძელვადიანი გეგმა და ამის უკან დგანან სერიოზული ძალები, თუმცა ადრეც მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: ეს გეგმა, შესაძლოა, უმძიმესი შედეგებით დასრულდეს თვით მისი ავტორებისთვის. ყოველ შემთხვევაში, **ის უსამართლობა, რომელიც არის დღეს ქვეყანაში სამართლიანობის არაღდგენის გამო, სერიოზული ბიძგია საზოგადოებისთვის ლინჩის წესით გასამართლებისკენ.**

**— ანუ, თქვენი აზრით, რეჟიმის მიერ დაზარალებულმა ადამიანებმა, შესაძლოა, თვითონვე დაიწყონ „სამართლიანობის" აღდგენა?**

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ თავი მათ ადგილას. ჯვარი სწერია ყველას, მაგრამ, მე რომ ვიყო მათ მდგომარეობაში და ვხედავდე, სახელმწიფო არაფერს აკეთებს სამართლიანობის აღსადგენად, ბუნებრივია, თვითონ გავაკეთებ ამას. ეს ჩვეულებრივი ადამიანური რეაქციაა უსამართლობაზე.

**— როგორც ჩანს, ხელისუფლებას მსგავსი შიშები არ აწუხებს. ალბათ, ამიტომაც დატოვეს ზოგიერთი მწამებელი ძველ თანამდებობებზე.**

— არამარტო ძველ თანამდებობებზე დატოვეს, ბევრი დააწინაურეს კიდეც. მაგალითად, ჭიკაიძე, რომელიც 26 მაისის სისხლიან მოვლენებში პირადად მონაწილეობდა და სასტიკად არბევდა მშვიდობიან მომიტინგეებს, დღეს შინაგან საქმეთა მინისტრია. რაც შეეხება საგამოძიებო სტრუქტურებს, ერთი კბილაშვილი იყო პროკურორი და, რაც აღმოჩნდა, ვნახეთ. შემდეგ ის შეცვალა „ნაციონალების" კადრმა, მაგრამ მათ შიგნით კლანური დაპირისპირება იყო და შეცვალეს; და შემდეგ მოვიდა ისევ „ნაციონალების" კაცი. ახლა, უბრალოდ, გეკითხებით: **ამათ ხელში რატომ ელოდებით სამართალს?! სად გინახავთ, ერთი დამნაშავე მეორე დამნაშავეს ასამართლებდეს იმ დანაშაულის გამო, რომლის დაგეგმვასა და განხორციელებაში თვითონაც მონაწილეობდა?!** მოკლედ, ესაა უმძიმესი სიტუაცია და აქედან ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ, როგორც მინიმუმ, „ნაცები" უნდა გამოვაცალოთ ხელისუფლების თუნდაც ოპოზიციურ შტოს. ეს უკვე იქნება სერიოზული სიგნალი მმართველი გუნდისთვის, რომ ჭკვიანად მოიქცნენ. სხვანაირად პოლიტიკური პროცესები ვერ გაჯანსაღდება, რადგან სანამ ასეთი საფრთხობელა ალტერნატივა ჰყავს ხელისუფლებას, მანამდე „ოცნებაც" მშვიდად იქნება და ყველა ის ცალკეული ბნელი ძალაც, რომელიც დღეს შეკედლებულია კოალიციას.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ძველი და ახალი მთავრობაო, ისე ვსაუბრობთ, თითქოს რამე შეიცვალა, ესენი ხომ ერთად არიან და წყლის ორი წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს?! არ მგონია, რომ „ნაცებმა“ და „ქოცებმა“ ერთმანეთის ტყავი დახიონ“.

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს

**ხელისუფლება კანონებს ქმნის პრეზერვატივებზე, გზაზე ძროხების გადაადგილებასა და სხვა ათასნაირ საკითხზე, მაგრამ დღემდე ვერ მოილაპარაკეს, რა ქნან, როდესაც გაირკვევა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციას უსმენდნენ, როგორ მოიქცეს ადამიანი, რომელმაც თავის კაბინეტში მოსასმენი აპარატურა იპოვა, თანაც, თუ ზუსტად იცის, რომ ეს აპარატი „ნაცების“ მმართველობის პერიოდში არ იყო და სულ რამდენიმე კვირაა, რაც ჩაუმონტაჟეს? მოკლედ, იმედი, რომ ახალი ხელისუფლება მაინც აღარ უსმენს ჩვენს სატელეფონო საუბრებს და ტელეფონის გათიშვა-გადამალვა საჭირო აღარ არის, ზუგდიდში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში ნაპოვნმა მოსასმენმა აპარატურამ დაასამარა.**



ზურაბ კვარაცხელია:

## ეს შტეფსელი ახალი წლის წინ გამოვაცვლევინე ხელოსნებს, მაშინ არაფერი შეუმჩნევიათ და, დიდი ალბათობით, ახალი ჩამონტაჟებულია!

**ზურაბ კვარაცხელია, საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი:**

— რამდენიმე დღის წინათ ჩვენს ოფისში, ჩემს სამუშაო ოთახში, მოსასმენი აპარატურა ვიპოვეთ. მაგიდასთან ახლოს შტეფსელია, შევამჩნიე, რომ აღარ მუშაობდა და გადავწყვიტე, შემეკეთებინა. დავშალე და ვნახე, რომ შიგნით რაღაც მოწყობილობა იდო, გამოვწიე და... მოსასმენი აპარატურა შემრჩა ხელთ.

სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, როდინდელია, მაგრამ **ეჭვი მაქვს, რომ ძველი დაყენებული არ უნდა იყოს, რადგან ეს შტეფსელი ახალი წლის წინ გამოვაცვლევინე ხელოსნებს. მაშინ არაფერი შეუმჩნევიათ და, დიდი ალბათობით, ახალი ჩამონტაჟებულია.**

**— ახალი მთავრობა უკანონო თვალთვალისა და მოსმენების წინააღმდეგია. რატომ ფიქრობთ, რომ ახალი დამონტაჟებულია?**

— დავუშვათ, ჩემი ეჭვი მცდარია და ეს მოსასმენი აპარატურა ძველი მთავრობის მიერ არის დაყენებული, ის მაინც ხომ ფაქტია, რომ ახალი მთავრობა გვისმენდა? აპარატი გაფუჭებული არ არის და ვიღაც აუცილებლად გვისმენდა. ვიღაც ხომ უნდა მოსულიყო და, თუ არ მოხსნიდნენ, უნდა გავეფრთხილებინეთ მაინც... როგორც თქვენ ამბობთ, ისინი „კარგი ბიჭები“ არიან და მოსმენებსაც კრძალავენ, მაგრამ ჩვენ რომ გვისმენდნენ, ეს ხომ ფაქტია?

**მომკალით და არ მჯერა, რომ ძველი მთავრობის მიერაა დამონტაჟებული, მათი ხელწერა არ ეტყობა. ძველი და ახალი მთავრობაო, ისე ვამბობთ, თითქოს რამე შეიცვალა, ესენი ხომ ერთად არიან და წყლის ორი წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს?! არ მგონია, რომ „ნაცებმა“ და „ქოცებმა“ ერთმანეთის ტყავი დახიონ.**

**— ვინმეს თუ მიმართეთ ან საქმის გამოძიება თუ მოითხოვეთ?**

— როდესაც მოსასმენი აპარატურა შევამჩნიეთ და ამოვიღეთ, რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს შევატყობინეთ. ველოდით რეაგირებას, მაგრამ არავინ შეგვხმიანებია. ახლა განცხადება პროკურატურაშიც შევიტანეთ და სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისშიც.

**— პროკურატურაში რა რეაქცია ჰქონდათ?**

— არ შევსულვარ. აქ პროკურატურას ასე ადვილად ვერ მიუახლოვდები, დიდი ალაყაფის კარი აქვს. განცხადება გამოგვართვეს და რეგისტრაციის ნომერი მოგვაწოდეს, უფრო ზუსტად, გამოგვიგზავნეს.

**ზუგდიდში მომხდარზე კომენტარი ვთხოვეთ უფლებადამცველებს — გელა ნიკოლეიშვილს, ირმა ჭკადუასა და ბაგრატ ქირიას, აგრეთვე, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროს ლევან ქარდავას.**

**გელა ნიკოლეიშვილი:**

— ისეთი რამის გაკეთება, რაც ზუგდიდში მოხდა, მხოლოდ სამართალდამცავებს შეუძლიათ, მათთვისაა ხელმისაწვდომი. ერთი თვის წინ გამოუცვლიათ შტეფსელი და მაშინ მოსასმენი აპარატურა არ ყოფილა, ამიტომ ეს აპარატურა ძველი ჩამონტაჟებული არ არის. გამოსაძიებელია, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს სამართალდამცავ ორგანოებს ამ ორგანიზაციასთან.

**— რას ითვალისწინებს კანონი მოსმენებზე?**

— კანონი უფლებას არავის აძლევს, რომ მოსამართლის ნებართვის გარეშე მოსმენა განხორციელდეს. ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია, იყო თუ არა ამ ორგანიზაციის მოსმენაზე ნებართვა და აუცილებლად უნდა დასახელდეს მიზეზი, მაგრამ, თუ ასეთი რამ არ არსებობს, ყველა შემთხვევაში, მოსმენა უკანონოა და პროკურატურაში უნდა იჩივლონ.

**უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოთჩმა“ თავის ბოლო მოხსენებაში ერთ-ერთ შენიშვნად დაასახელა ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატურა, რომლის საშუალებითაც ერთდროულად 25 ათასი აბონენტის მოსმენა შეიძლება, არ გაუნადგურებია და, სავარაუდოდ, უკანონო მოსმენები კვლავაც გრძელდება.**

ეჭვი, რომ მოსმენები გრძელდება, არსებობს და ეს ახალი არ არის.

**ირმა ჭკადუა:**

— რამდენიმე დღის წინათ მოსმენების შესახებ განცხადება გავაკეთე. მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ახალი ხელისუფლება ჩემს ტელეფონს უსმენს. დიდი ალბათობით, ეს პროცესი კვლავ გრძელდება — **კატასტროფულად ბევრი ნომერი ისმინება. პროკურატურიდან სასამართლოში შედის მოთხოვნა ამა თუ იმ საქმეში ეჭვმიტანილი პირების მოსმენაზე, თითო საქმეში კი 200 ნომერი მაინც არის, წარმოიდგინეთ, რამდენი სისხლის სამართლის დანაშაულია და ეს ყველაფერი გადაამრავლეთ, კატასტროფულ რიცხვამდე ავალთ.** თანაც, მოსმენების კანონიერება საეჭვოა. მოსმენის ბრძანება ყოველგვარი მოკვლევის გარეშე გაიცემა, არ იძიებენ, ვის ეკუთვნის ტელეფონის ნომერი, რა კავშირშია ამა თუ იმ საქმესთან, რაც ნამდვილად კატასტროფაა. **წინა ხელისუფლებას ნებართვა არ სჭირდებოდა, ისე უსმენდა ყველას, მაგრამ დღეს ამას უკვე კანონიერი სახე მიეცა. სასამართლოები კი ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებს არღვევენ!**



გელა ნიკოლეიშვილი:

## ეჭვი, რომ მოსმენები გრძელდება, ნამდვილად არსებობს და ეს ახალი არ არის

თქვენ სწორად იქცევით, რომ ხმაური ატეხეთ, რადგან ყოველ ასეთ ფაქტს გაგანგაშის ზარი უნდა მოჰყვეს. მნიშვნელობა არ აქვს, ვისი ოფისია და იქ რას საქმიანობენ, საზოგადოებამ ასეთი ფაქტები უნდა გაასაჯაროოს.

საზოგადოება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ელოდება, რომ ვითარება გამოსწორდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ სიჩუმე დიდი დანაშაულია. „ნაცებიც“, როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაშინვე არ გაგიჟებულან, ტოტალური მოსმენები არ დაუწყიათ და არ აუპატიურებდნენ, მაგრამ წლების შემდეგ საშინელი ფაქტების წინაშე აღმოვჩნდით.

**ნუ დაველოდებით, რომ მაინდამაინც პირადად შეგვეხოს რამე, ყველა წვრილმანზეც კი უნდა ვიაქტიუროთ, განსაკუთრებით, მოსმენის ფაქტზე, რადგან აქედან იწყება ყველაფერი ცუდი.**

**თუ მთავრობას ერთი-ორი ასეთი ფაქტი შერჩა, ჩათვალეთ, რომ ეს გაგრძელდება.**

მთავრობას ხიბლში ჩავარდნისა და გარყვნის საშუალება არ უნდა მივცეთ, ისინი ხომ ჩვენ მოვიყვანეთ. მათ უკვე შეძლეს ხალხის იგნორირება, რადგან დამნაშავეებს თანამდებობებზე ნიშნავენ, რაც ძალიან ცუდი ფაქტია.



ირმა ჭკადუა:

## ყველა წვრილმანზეც კი უნდა ვიაქტიუროთ, განსაკუთრებით — მოსმენის ფაქტზე... თუ მთავრობას ასეთი ერთი, ორი ფაქტი შერჩა, ჩათვალეთ, რომ ეს გაგრძელდება

**ბაგრატ ქირია, სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისის წარმომადგენელი:**

**— ბატონო ბაგრატ, რა ზომების გატარებას აპირებთ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოში“ ნაპოვნი მოსასმენი აპარატურის თაობაზე?**

— ჩვენ მივიღეთ განცხადება ამის თაობაზე და ახლა თბილისის ოფისმა უნდა გაარკვიოს.

**— თქვენ ზუგდიდში ხართ და თბილისის ოფისი, ალბათ, თქვენგან შეეცდება ინფორმაციის მიღებას.**

— ვერაფერს გეტყვით, ალბათ, პრესსამსახური გაგცემთ პასუხს.

**მიხეილ მინდაძე, სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს უფროსი:**

— ზუგდიდში სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსთან“ დაკავშირებით მომხდარი ფაქტით შეშფოთებულები ვართ. ამ ეტაპზე ვაპირებთ, ყურადღებით შევამოწმოთ მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის ადგილი. როგორც ვიცით, საგამოძიებო ორგანოები უკვე საქმის კურსში არიან და ძიებაც დაწყებულია. ჩვენ ძიების პროცესს თვალს აუცილებლად მივადევნებთ.

**ლევან ქარდავა, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსი:**

**— ბატონო ლევან, ზუგდიდში, ერთ-ერთი ორგანიზაციის ოფისში მოსასმენი აპარატურა იპოვეს...**

— რას ამბობთ? ამის თაობაზე განცხადება არ შემოსულა.

**— პროკურატურაში შეიტანეს.**

— ჯერ არ გამიგია, მაგრამ ორგანიზაციის მისამართს თუ მეტყვით, ახლავე პირადად მივალ და ვნახავ. ყველაფერს ბოლომდე გავარკვევ, პირობას გაძლევთ, რომ ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩება!

**ჩვენი საუბრიდან რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსმა თვითონ დაგვირეკა და ორგანიზაცია „სამეგრელოს“ თანამშრომლების კოორდინატები გვთხოვა. საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია სამმართველოში დაიბარეს და ჩვენება ჩამოართვეს. მოსასმენი აპარატურა, როგორც ნივთმტკიცება, უკვე ამოღებულია და მიმდინარეობს ოფისის ტერიტორიის დათვალიერება.**

ეკა ნასყიდაშვილი



# «გალერიში» 23 წლის ახალგაზრდა ნარკოტიკის მიღების შედეგად გარდაიცვალა

**16 თებერვალს თბილისის ცენტრში მდებარე კაფე „გალერიში“ ცნობილი კარდიოლოგის, გულიკო ჩაფიძის შვილიშვილი, 23 წლის დათუნა ცხაკაია გარდაიცვალა — სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალება „ბიოს“ გადაჭარბებული დოზის მიღების შედეგად.** მომხდარის გამო ქართველი საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმა პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს კლუბ „გალერის“ დახურვის მოთხოვნით მიმართეს. მათი აზრით, კლუბი ნარკოტიკების გასაღების ბუდეა.

**18 თებერვალს ბიონარკოტიკით თბილისში კიდევ ერთი ახალგაზრდა გარდაიცვალა. შემთხვევა დილმის მასივში მოხდა. 20 წლამდე ახალგაზრდა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.**



სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მერაბ ბერძენიშვილის ამ მონუმენტზე საბჭოთა სიმბოლიკის არც ერთი ელემენტი არ იყო, ეს მემორიალი გამოხატავდა ქართული სულის ზეიმს. გამოსახული იყო ქართველი მზეჭაბუკი ხმლით ხელში ქართული ორნამენტებით შემკულ ფონზე, ის არა მხოლოდ ფაშიზმზე გამარჯვების, არამედ, საზოგადოდ, ქართული სულის გამარჯვების სიმბოლო იყო.“**

# ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების შემკვეთები არ დაუსჯიათ

**როგორ აშენებდა და არემონტებდა შენობებს სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ ერთხელ გამოჩნდა გასულ კვირას, როდესაც ქუთაისის ერთ-ერთ რეაბილიტირებულ უბანში სახლის კედლის ჩამონგრევამ კინაღამ მამაკაცი იმსხვერპლა. და რაკი ეს ამბავი ქუთაისში მოხდა, დავინტერესდით, როგორ ცხოვრობენ 2009 წელს დიდების მემორიალის აფეთქების შედეგად დაღუპული დედა-შვილის ოჯახის წევრები... 2009 წელს საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია გადაწყვეტილებამ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი დიდების მემორიალის დემონტაჟთან დაკავშირებით, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვებას ეძღვნებოდა. 2009 წლის 18 დეკემბერს ქუთაისში ოპოზიციურმა პარტიებმა მემორიალთან საპროტესტო აქცია გამართეს, პასუხად კი სააკაშვილის ხელისუფლებამ ბეტონის კონსტრუქცია 19 დეკემბერს, დაგეგმილზე ორი დღით ადრე ააფეთქა, რომელსაც დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა.**



**დიდების მემორიალის აფეთქების შედეგად დაღუპული დედა-შვილის — ქალბატონი ეკა ცუცხვაშვილისა და მისი 11 წლის გოგონას, ნინო ჯინჭარაძის, გარდაცვალების გამო პასუხისმგებლობა სამ პირს დაეკისრა: კერძო კომპანია „საქფეთქმრეწვის“ ტექნიკურ დირექტორს — ავთანდილ დარსაველიძეს, ამავე კომპანიის ქუთაისის უბნის უფროსს — ელგუჯა გაბადაძესა და თბილისის უბნის უფროსს — თენგიზ დარახველიძეს. მათ ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის — გაუფრთხილებლობის შედეგად უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, რამაც ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. თუმცა პასუხი არ უგიათ იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც დიდების მემორიალის აფეთქების დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიიღეს.**

ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ეკა ბესელიამ** განაცხადა, რომ საჭიროა საქმის ხელახალი გამოძიება, რადგან იმხანად გამოძიება პრეზიდენტ სააკაშვილის მხრიდან პოლიტიკურ ზემოქმედებას განიცდიდა და ობიექტური ვერ იქნებოდა:

„ძნელი წარმოსადგენია, რომ გამოძიება ყოფილიყო ობიექტური. ალბათ, გამომძიებელი და პროკურორი მოეთათბირებოდნენ წინა ხელისუფლების პირველ პირებს, რა გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. საჩვენებლად დასაჯეს რამდენიმე ადამიანი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე სრულყოფილად გამოძიებული არ არის. კარგი იქნება, თუ პროკურატურა ამ ფაქტს მიუბრუნდება, რადგან უმძიმესი შედეგი დადგა მაშინ“, — **განაცხადა ეკა ბესელიამ.**

**ამ განცხადებიდან წელიწადი გავიდა, მაგრამ საქმის ხელახალი გამოძიება ჯერაც არ დაწყებულა.**

**უნდა დაიწყოს თუ არა ამ საკითხზე ხელახალი გამოძიება და რა ფორმით უნდა მოხდეს ეს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ამ კითხვაზე ეკა ბესელიას პასუხი ამჯერად არ აღმოაჩნდა. მან მოიბოდიშა და თქვა, ახლა ამ საკითხზე პასუხის გაცემა არ შემიძლიაო. პარლამენტარი ზურაბ აბაშიძე კი ამბობს, რომ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის გამოძიება ძნელი იქნება.**

**ზურაბ აბაშიძე, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი:**

— კარგად მახსოვს ეს ამბები, რადგან სხვა ოპოზიციონერებთან ერთად ჩამოვედი ქუთაისში ამ ვანდალიზმის გასაპროტესტებლად. იმხანად გადაწყვეტილებებს იღებდა ერთი კაცი — სააკაშვილი და მის ახირებას წინ ვერავინ ეღობებოდა. მე კვლავ იმ თვალსაზრისზე ვრჩები, რომ აქ პარლამენტი არ უნდა აშენებულიყო, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებრივი კვლევა უნდა ჩატარებულიყო. **ძეგლის ამფეთქებლები კი მოსწრებაზე იყვნენ, სააკაშვილის დავალება რომ შეესრულებინათ, მისი შექება დაემსახურებინათ და გულზე მედლები დაეკიდათ. ძალიან სწრაფად და გაუაზრებლად აკეთებდნენ ყველაფერს და ამიტომაც მიიღეს სამწუხარო შედეგი.**

რაც შეეხება საქმის გამოძიებას ძეგლის ხელყოფის ნაწილში, არ ვიცი, რა სამართლებრივი შეფასება შეიძლება მიეცეს ამას... გამოძიების დაწყება ყველაფერზე შეიძლება, მაგრამ იმდენი დანაშაულია ჩადენილი წინა ხელისუფლების პერიოდში, რომ ძალიან ბევრი საქმე, სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოძიებული.

**გოგი წულაია, ყოფილი პარლამენტარი, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:**

— ამ ძეგლის აფეთქება ნამდვილად იყო ვანდალიზმის გამოვლინება. აღსანიშნავია, რომ **მერაბ ბერძენიშვილის ამ მონუმენტზე საბჭოთა სიმბოლიკის არც ერთი ელემენტი არ იყო, ეს მემორიალი გამოხატავდა ქართული სულის ზეიმს. გამოსახული იყო ქართველი მზეჭაბუკი ხმლით ხელში ქართული ორნამენტებით შემკულ ფონზე, ის არა მხოლოდ ფაშიზმზე გამარჯვების, არამედ, საზოგადოდ, ქართული სულის გამარჯვების სიმბოლო იყო.** ამიტომ ამ მემორიალის დანგრევა იმ მოტივით, რომ ის საბჭოთა გადმონაშთი იყო, რასაც „ნაციონალები“ გაჰყვიროდნენ, სრული აბსურდია. სხვათა შორის, გაეროს მიერ მიღებულია რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლო არ უნდა დაინგრეს არც ერთ ქვეყანაში. სიმბოლურია, რომ ხელისუფლება, რომელმაც ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლო ააფეთქა, თვითონ აღმოჩნდა ექვმიტანილი ფაშისტურ მიდრეკილებებში. ერთ დანაშაულს მოჰყვა მეორე, რამაც, თავის მხრივ, ტრაგედია გამოიწვია. დაისაჯნენ მხოლოდ ქვედა რგოლების წარმომადგენლები, ხოლო დანაშაულის შემკვეთები არ დასჯილან. ამჟამად პარლამენტში არიან იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც მემორიალის დემონტაჟს აპროტესტებდნენ — ეკა ბესელია, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, გუბაზ სანიკიძე და სხვ. იმდენი პოლიტიკოსი იყო მაშინ ჩამოსული ქუთაისში, ჩამოთვლა გამიჭირდება. ახლა მათ კეთილი ინებონ და მოითხოვონ გამოძიება ამ დანაშაულისა, რომელმაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

* * *

**«მემორიალი ნაჩქარევად ააფეთქეს. როგორც სასამართლო პროცესზე აღინიშნა, დაცული არ იყო უსაფრთხოების წესები... აფეთქების შედეგად გამოტყორცნილმა ბეტონის ნამსხვრევებმა შეიწირეს ჩემი რძლის — ეკასა და პატარა ნინოს, საოცრად ჭკვიანი გოგონას, სიცოცხლე...»**



ნინო ჯინჭარაძე და მისი ძმისშვილი ანი

**ჯინჭარაძეები ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ მდებარე 8-სართულიან სახლში ცხოვრობენ. ობლადდარჩენილ გოგონაზე მამასთან, სოსო ჯინჭარაძესთან ერთად, ზრუნავს მამიდა — ნინო ჯინჭარაძე, ისინი ერთსა და იმავე სადარბაზოში ცხოვრობენ. პატარა ანი უკვე 11 წლისაა და იმ სკოლაში სწავლობს, სადაც მამიდა პედაგოგად მუშაობს. ქალბატონი ნინო ყველაფერს აკეთებს, რათა გოგონას უდედობა არ აგრძნობინოს.**

**ქალბატონი ნინოს ბინის ფანჯრები პარლამენტის შენობას უყურებს. მას მიაჩნია, რომ ეს შენობა მისთვის ერთგვარი სურამის ციხეა, რომლის აშენებასაც მისი ოჯახის ტრაგედია დაუკავშირდა.**

— პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია 45 ჰექტარს მოიცავს, თუკი საჭიროდ მიაჩნდათ აქ პარლამენტის აშენება, აეშენებინათ, მემორიალის აფეთქება რა საჭირო იყო? ტერიტორია, სადაც მემორიალი იდგა, ახლა უფუნქციოდაა. რას ერჩოდნენ ამ მემორიალს, ყოფილიყო! ახალგაზრდები მიდიოდნენ იქ, ახლადდაქორწინებულები, ფოტოებს იღებდნენ... ან შემდეგ რომ თქვეს, იქ მაინც არავინ დადიოდაო, ამის გამო უნდა აეფეთქებინათ?! ცოტაოდენი თანხა გამოეყოთ, დაესუფთავებინათ იქაურობა და მოეწესრიგებინათ, ამ ტრაგედიას ხომ გადავრჩებოდით?! ჩვენ წინაშე ყველამ დააშავა... **უბედურების მიზეზი ისიც გახდა, რომ დაგეგმილი 21 დეკემბრის ნაცვლად მემორიალი 19 რიცხვში ააფეთქეს, თანაც, ნაჩქარევად.** ხელისუფლებას ეშინოდა, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც მემორიალის აფეთქების წინააღმდეგ იყო მიმართული, არ გაძლიერებულიყო. ან რა უნდა მომხდარიყო, ჩვენი ქალაქი პოლიტიკური აქტივობით ხომ ისედაც არ გამოირჩევა...

მემორიალი ნაჩქარევად ააფეთქეს. როგორც სასამართლო პროცესზე აღინიშნა, დაცული არ იყო უსაფრთხოების წესები... დაცული რომ ყოფილიყო, ტრაგედია არ დატრიალდებოდა. მოსახლეობა ჩამოგვიყვანეს ეზოში, ჩვენ წინ იდგნენ პოლიციელები, მათაც არ იცოდნენ, ეს ადგილებიც თუ არ იყო უსაფრთხო. აფეთქების შედეგად გამოტყორცნილმა ბეტონის ნამსხვრევებმა შეიწირეს ჩემი რძლის — ეკასა და პატარა ნინოს, საოცრად ჭკვიანი გოგონას, სიცოცხლე... — **ამბობს ნინო ჯინჭარაძე.**

**— სად ჩატარდა სასამართლო პროცესი?**

— ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. სამი პიროვნება იყო განსასჯელის სკამზე. მათ, შესაბამისად, ორი, სამი და ოთხ-ნახევარი წელი მიესაჯეს. შემდეგ სასჯელი შეუმსუბუქეს. ახლა უკვე გათავისუფლებულები იქნებიან.

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ხომ არ გიფიქრიათ საქმის ხელახალ გამოძიებაზე?**

— ამ ტკივილის განახლება გვიჭირს, ამ თემასთან მიბრუნებას მეტად აღარ ვაპირებთ. ჩვენ მიცვალებულები გვყავს, მათი საფლავები მოსავლელია...

**— როგორ წარიმართა თქვენი ძმის ცხოვრება ტრაგედიის შემდეგ?**

— წლების განმავლობაში ის ჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ მოახერხა, დეპრესია დაეძლია და ცხოვრების ფერხულში ჩაბმულიყო... ჩვენ გვყავს საერთო საზრუნავი — მისი უმცროსი გოგონა, რომელსაც, მართალია, დედის მაგივრობას ვერავინ გაუწევს, მაგრამ ყველანაირად ვცდილობ, უდედობა არ ვაგრძნობინო. ფსიქოლოგის დახმარებაც კი დაგვჭირდა, ბავშვი ცხოვრების ნორმალური რიტმისთვის რომ დაგვებრუნებინა. ვერიდებით მასთან ამ ტრაგედიაზე საუბარს. სასაფლაოზე ერთად დავდივართ და გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად ყველაფერს ერთად ვაკეთებთ.

**— სახელმწიფო თუ დაგეხმარათ?**

— დაგვეხმარა, მაგრამ გთხოვთ, მეტად ნუ ჩამეძიებით, არ მსურს ამ საკითხებზე საუბარი.

**ირინა მაკარიძე,**
**ქუთაისიდან,**
**სპეციალურად**
**„საქართველო და მსოფლიოსთვის“**

**„მზად ვარ, ვუპასუხო ნებისმიერ შეკითხვას, რომლებიც კი შეიძლება გაუჩნდეთ ჩემ მიმართ. მანამდე კი თვითონ მინდა ვიკითხო: როდემდე გაგრძელდება პოლიტიკური დევნის, არაობიექტური დამოკიდებულების, უსამართლობის ზეობის ის ტენდენცია, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ დანერგა საქართველოში?“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იყო თუ არა გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე კამპუჩიის დაზვერვის რეზიდენტი საქართველოში

## და რატომ აიძულეს ავღანეთის ომის ვეტერანი, ხელმეორედ დაეტოვებინა სამშობლო?



**გასულ კვირაში 25 წელი შესრულდა საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის დატოვებიდან. უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე ავღანეთის სამხედრო კამპანიის მონაწილეა.**

**— დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ ამ ისტორიულ ფაქტს, ბატონო ვალერი: წააგო ომი საბჭოთა კავშირმა და იძულებული გახდა, გამოეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ავღანეთიდან?**

— მე ასე არ ვიტყოდი. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იმ წლებში ინტენსიური მოლაპარაკებები მიდიოდა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირს ამ ქვეყანაში დაეტოვებინა უმნიშვნელო სამხედრო კონტინგენტი და ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ძალისმიერი აქცენტიდან ეკონომიკურ პრიორიტეტებზე, ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ყოფილიყო გადატანილი. მაშასადამე, ავღანეთიდან გამოსვლა ჯერ კიდევ მაშინ იდგა დღის წესრიგში.

**— ესე იგი ჯარების გამოყვანა ჩვენი საგარეო პოლიტიკის განხორციელების შედეგი იყო?**

— ასეა მიჩნეული... თუმცა გამოსვლას გააჩნია: გორბაჩოვის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, ავღანელებს დავუტოვეთ ჯარისკაცების სრული ეკიპირება, იარაღი, ტყვია-წამალი, მოკლედ, ყველაფერი, რაც არმიას სჭირდება.

**— მაგრამ, როგორც ამბობენ, ორ-სამ დღეში ეს ყველაფერი ბაზრებში გაიყიდა და დუშმანების ხელში აღმოჩნდა.**

— დიახ, ასე მოხდა, რადგან, ფაქტობრივად, მაშინ არც ავღანეთის არმია არსებობდა, არც სახელმწიფო იყო ჩამოყალიბებული. **გორბაჩოვმა ნაჯიბულას ხელისუფლება ბედის ანაბარად მიაგდო მაშინ, როცა ძალას იკრეფდა ამერიკელების მიერ უხვად დაფინანსებული და საბჭოთა იარაღით აღჭურვილი „ალ-ქაიდა“.**

**— საბჭოთა იარაღით?!**

— დიახ. ამერიკელები ამ იარაღს ყიდულობდნენ ეგვიპტისგან და ჩინეთისგან. ამასთან, მთელი ძალით მოქმედებდა აშშ პროპაგანდისტული მანქანა, რომელსაც, მოგეხსენებათ, განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნდა. ამ პროპაგანდისტული კამპანიის უმთავრესი „არგუმენტი“ იყო ის, რომ თითქოს შურავი (ასე ეძახდნენ ავღანელები საბჭოელებს) ავღანეთში ისლამის ამოსაძირკვად იყვნენ ჩასულები, რასაც არავითარი საფუძველი არ გააჩნდა.

სამწუხაროა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიყენა ის ვითარება, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გამოყვანის შემდეგ. ამ გამოყვანაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს.

**— ჩვენ რას ვაკეთებდით ამ დროს?**

— ანალიტიკოსები იმოწმებენ ავტორიტეტულ წყაროებს და ამტკიცებენ, რომ **გორბაჩოვმა უღალატა მეგობარ ქვეყანას — პირისპირ შეატოვა ავღანეთი, ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ქვეყანა ამერიკელებს.**

**— სტრატეგიული მნიშვნელობის?**

— დიახ, **როცა საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ფეხი მოიკიდა, ისტერიკაში ჩავარდნილი ბჟეზინსკის მოწოდებით (პრეზიდენტ კარტერის თანაშემწე იყო მაშინ), ამერიკელები სერიოზულად შეშინდნენ, რომ კარგავდნენ კონტროლს სპარსეთის ყურეზე, რომელსაც საბჭოელები უახლოვდებიან, რაც მათ ნავთობის ექსპორტს საფრთხეს უქმნიდა. ამიტომ დაიწყეს მოჯაჰედების გაძლიერებული დაფინანსება.**

**— ცნობილია, რომ აშშ-ს დუშმანების მხარდაჭერა ყოველდღიურად 2 მილიონი დოლარი უჯდებოდა.**

**— 10 წლის განმავლობაში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ავღანეთს 6-7 მილიარდი დოლარი დაახარჯა.** მთავარი დამფინანსებელი, რა თქმა უნდა, აშშ-ის ადმინისტრაცია იყო, მაგრამ არანაკლები იყო საუდის არაბეთის წვლილიც, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ამერიკის მიერ გაღებულ ერთ დოლარს ერთს თავისას უმატებდა.

**— ისლამურ რადიკალიზმთან დაპირისპირება პირველად ავღანეთში მოხდა. ხომ ასეა?**

— 1986 წელს ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც მე ვმუშაობდი, მოიპოვა პირველი ოპერატიული ინფორმაცია პაკისტანის სანდო წყაროებიდან, რომ დაარსდა თალიბანების მოძრაობა, რომელიც იხელმძღვანელებდა რადიკალური ისლამიზმის პრინციპებით.

**— საბჭოთა კავშირი პირველი დაუპირისპირდა რადიკალურ ისლამიზმს, რომელიც შემდეგ მსოფლიოს მოედო და გლობალურ პრობლემად იქცა.**

— მოდი, ასე დავაზუსტოთ: საბჭოთა კავშირი კი არ დაუპირისპირდა რადიკალურ ისლამიზმს, არამედ ისლამური რადიკალიზმი დაუპირისპირეს საბჭოთა კავშირს. ეს იყო იმ დიდი, გლობალური გეგმის ნაწილი, რომელიც შემუშავებული იყო საბჭოთა კავშირის დასანგრევად.

**— საბჭოთა კავშირი დაინგრა. ავღანეთში კვლავ საომარი მდგომარეობაა, ოღონდ ამჯერად აშშ-ის შეიარაღებულ ძალებსა და ავღანელ პატრიოტებს შორის. მუსლიმთა საფლავებზე ორი ფერის დროშა ფრიალებს — მწვანე და შავი. პირველი ნიშნავს, რომ ავღანელი მეომარი მტერთან შეტაკებისას დაიღუპა. შავი ფერის დროშა კი მუსლიმებს შეახსენებს, რომ მუხანათურად მოკლული ავღანელის სული თანამოძმეთ შურის საძიებლად მოუწოდებს.**

— სისხლისღვრა რომელიც ტრაგედიად შემოუბრუნდა ორივე მხარეს. ავღანეთის ომში 15500 საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა. ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა იყოს ქვეყნისთვის და, უწინარესად, იმ თხუთმეტ ათასზე მეტი ოჯახისთვის, რომელთაც არმიაში გაწვეული შვილები შინ ვეღარ დაუბრუნდნენ?!

ომი ომია! მაგრამ განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, რომ ავღანეთში მებრძოლ ჩვენს თანამემამულეებს ორ კატეგორიად ყოფენ — ისინი, ვინც ახლა იბრძვიან, გმირები არიან (მეც ამას გავიმეორებდი); ხოლო ისინი, ვინც 1979 წლიდან ავღანეთში 10 წლის განმავლობაში იბრძოდნენ, არავის ახსოვს. ეს კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის. სამწუხაროა, რომ რატომღაც მაინცდამაინც საქართველოა ამ შემთხვევაში გამონაკლისი,

**«ამერიკას ტერორიზმთან ბრძოლა არ აინტერესებს, არც ნარკოტიკების გავრცელების გზების გადაკეტვა. მისი მიზანია საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაკმაყოფილება»**

რადგან დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ისინი ყველგან ღირსეულად არიან დაფასებულნი.

**დღეს ზოგიერთი მაღალჩინოსანი გაიძახის, რომ ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები იცავენ საქართველოს უსაფრთხოებას. ისინი ან თვითონ არიან დილეტანტები, ან საქართველოს საზოგადოებრიობა ისეთი დაბალი განვითარების ჰგონიათ, რომ ამგვარ იაფფასიან და აშკარად პროპაგანდისტულ სატყუარას ჭეშმარიტებად აღიქვამს.**

**— ორმაგი სტანდარტი, ეტყობა, თქვენზეც, როგორც ავღანეთის კამპანიის მონაწილეზე, გავრცელდა. თქვენ, ბატონო ვალერი, სულ ახლახან არ აღგიდგინეს საქართველოს მოქალაქეობა?**

— თანმიმდევრობით მოგიყვებით. იძულებით ემიგრაციაში წავედი ყოფილი ხელისუფლების დროს და ბოლოსდაბოლოს რუსეთის ფედერაციის ქალაქ სტავროპოლში დავბინავდი, მივიღე რუსეთის მოქალაქეობა. საქართველოს კანონმდებლობით, ვალდებული ვიყავი, ხელისუფლება ჩამეყენებინა საქმის კურსში, რომ ვარ რუსეთის მოქალაქე, და განცხადებით უნდა მიმემართა პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, რათა მოეცა ჩემთვის საქართველოს მოქალაქეობაც ან გაეუქმებინა. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ „დიდი პატივისცემა“ მქონდა ვაიპრეზიდენტის მიმართ, პრინციპულად მიზანშეწონილად არ მივიჩნიე ამის გაკეთება პოლიტიკური მოტივაციიდან გამომდინარე. მაგრამ **მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან გაუგონარი დევნა იყო განხორციელებული ჩემ წინააღმდეგ, კატეგორიულად არ მინდა პოლიტიკურ დევნილად გამოვაცხადო თავი. არა. ერთ ფაქტსაც დაგისახელებთ. იმ წელს დედის დაკრძალვაზე ჩამოსვლა რომ დავაპირე, მეგობრებმა გამაფრთხილეს, თავი შემეკავებინა, რადგან ჩემი გვარი გადაცემული ჰქონდათ საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე მითითებით, რომ საზღვრის გადაკვეთისთანავე დავეპატიმრებინე.**

ამ განკარგულების გამცემებს პრინციპულად ვერ ვთხოვდი მოეცათ ჩემთვის საქართველოს მოქალაქეობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი პრეზიდენტი იქნა არჩეული, მივმართე თხოვნით, მოეწესრიგებინათ ჩემთვის ორმაგი მოქალაქეობა. იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურიდან უარი მივიღე. ინფორმაციით, რომელიც გამაჩნია, ჩემი განცხადება სამინისტროს ხელმძღვანელობამდე არც მისულა. ჩამაწვეთეს, რომ **რომელიღაც სპეცსტრუქტურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს კურირებს, წინააღმდეგია ჩემთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის.**

ძალიან მაინტერესებს, კონკრეტულად რა აქვთ საწინააღმდეგო ჩემს მიმართ და რატომ მეუბნებიან უარს.

**— არ აგიხსნეს?**

— არა, თუმცა ვალდებულები არიან. ალბათ, მიიჩნევენ, რომ ცხინვალი და სოხუმი, კოდორის ხეობა მე ჩავაბარე სეპარატისტებს; ალბათ, მაბრალებენ, რომ წლების განმავლობაში კამპუჩიის დაზვერვის რეზიდენტი ვიყავი, რომ საქართველოს საზღვრის ნაწილი მივყიდე მტერს და ა.შ. ყური მოვკარი, რომ **უარს მეუბნებიან, რადგან საშიში ვარ საქართველოსთვის. რატომ ვარ საშიში, მითხრან მაინც...**

მოდით, პირდაპირ გეტყვით: არავითარი პრეტენზია არ მაქვს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ სერიოზულად ვეჭვობ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მუშარგოლებში ჩარჩენილი არიან ისეთი თანამშრომლები, რომლებიც ყოფილების მმართველობის დროს სააკაშვილისა და მერაბიშვილის მითითებით განახორციელებდნენ იმ უმსგავსობას, იმ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და ქართველი ხალხის გამარჯვების შემდეგ დადასტურდა. დღეს ამ კატეგორიის ადამიანები თავიანთი საქმიანობით, უკანონო და უსაფუძვლო გადაწყვეტილებებით სახელს უტეხენ ახალ ხელისუფლებას, შეგნებულად იწვევენ იმ ადამიანების სერიოზულ უკმაყოფილებას, რომლებიც რეჟიმის მიერ იყვნენ დაჩაგრულები და მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენას.

**მზად ვარ, ვუპასუხო ნებისმიერ შეკითხვას, რომლებიც კი შეიძლება გაუჩნდეთ ჩემ მიმართ. მანამდე კი თვითონ მინდა ვიკითხო: როდემდე გაგრძელდება პოლიტიკური დევნის, არაობიექტური დამოკიდებულების, უსამართლობის ზეობის ის ტენდენცია, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ დანერგა საქართველოში?**

**— შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლახან საქართველოდან თქვენი წასვლა მეორე იძულებითი ემიგრაციაა?**

— არ მინდა ამის დაჯერება...

ჩემი წასვლა ამჯერად დაემთხვა მოსკოვში ბატონ ლეო ბოკერიას კლინიკაში ჩემს აუცილებელ ჩასვლას. შარშან, იანვარში ბაკულევკაში გავიკეთე ოპერაცია და გრაფიკით ახლა უნდა ჩავსულიყავი სამედიცინო შემოწმებაზე. გამორიცხული არ არის ოპერაციის ხელმეორედ გაკეთება...

**— ჯანმრთელობას გისურვებთ, ბატონო ვალერი!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„25 ათასი საჩივარი შემოვიდა მათგან, ვისაც ქონება წაართვეს, წარმოიდგინეთ, თითოეულმა ათი კაცი — ოჯახის წევრები, ახლობლები რომ გამოიყვანონ გარეთ, რა მოხდება! ამ ძალას შეუძლია აიძულოს ხელისუფლება, აღადგინოს სამართლიანობა და, თუ არ აღადგენს, მაშინ საზოგადოება მზად არის ყველაფრისთვის. ქალაქის პოლიციის შეფი მკვლელობაში ეჭვმიტანილი გვყავს, გამოძიება მიმდინარეობს და ვითომც არაფერი?!“**

# რატომ მფარველობს მკვლელებს შს მინისტრი ღარიბაშვილი ჭიკაიძე?

**წელიწადზე მეტია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, მაგრამ დაპირებულ სამართლიანობის აღდგენას საშველი არ დაადგა. კვლავაც გამოსაძიებელია ვაზაგაშვილის, გირგვლიანის, რობაქიძის, ჟვანიას გახმაურებული საქმეები. ყოფილმა მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა გირგვლიანი ლამის უბედური შემთხვევის მსხვერპლად გამოაცხადა. გურამ გირგვლიანი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ დღეს არავის აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს მისი შვილის მკვლელობის საქმე, სოსო რობაქიძე კი პირდაპირ აცხადებს, რომ თვითონ დაიწყებს დამნაშავეების ქუჩაში ლიკვიდაციას... რა ხდება? ახალ ხელისუფლებას მართლა არ აქვს რესურსი, რომ ოდესმე გამოიძიოს ეს მკვლელობები თუ ძალოვან უწყებებში ისევ სააკაშვილის კლანია მოკალათებული და ამ საკითხების შესწავლის პოლიტიკური ნება არ არსებობს? რაც შეეხება მინისტრ ჭიკაიძეს, ის, როგორც ჩანს, მუნდირის ღირსებას იცავს და ამიტომაც არ აპირებს ნაცებისდროინდელი პოლიციელების მიერ ჩადენილი მკვლელობების გამოძიებას. თუმცა ვინ იცის, რა არის გულგრილობის მიზეზი — მუნდირის ღირსების დაცვა თუ ის, რომ ძაღლი ძაღლის ტყავს არასოდეს დახევს?!**
**„საქართველო და მსოფლიოს“**
**იური ვაზაგაშვილი ესაუბრება:**

— ვფიქრობ, ყველანაირი რესურსი არსებობს, რომ ეს გახმაურებული მკვლელობები გამოიძიონ, მაგრამ ამას არ აკეთებენ. რატომ? პირველი — არ არის პოლიტიკური ნება, მეორე — ძალოვან უწყებებში კვლავ არიან მოკალათებულნი ის ადამიანები, რომლებიც ამ დანაშაულებს სჩადიოდნენ. დიახ, მათი უმრავლესობა დღეს კვლავ მაღალ თანამდებობაზეა. მე ვამხილე კიდეც ასეთი ადამიანები: ქალაქის პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე — გიორგი დალაქიშვილი და ოთარ მირზოევი, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყოლია. **პირდაპირ განვუცხადე შს მინისტრს, რომ ეს ადამიანები არიან ჩემი შვილის მკვლელობის თანამონაწილეები, დავუდე მტკიცებულებები, ვუთხარი, ისინი არ უნდა მუშაობდნენ ამ თანამდებობებზე, ვინაიდან შეეცდებიან, ხელი შეუშალონ გამოძიებას-მეთქი, ჭიკაიძემ კი მათ ხელი დააფარა.** მას შემდეგ კი, რაც მინისტრს მოვუწოდე, გაეთავისუფლებინა ეს ადამიანები თანამდებობებიდან, გამოძებნეს ვიღაც ლევან გაბუნია და აქეთ გადმოვიდნენ შეტევაზე. ალბათ, იცით, რასაც ამბობს ეს კაცი ჩემი შვილის შესახებ. არადა, ეს ის გაბუნიაა, რომელიც 10 თუ 12 წლის განმავლობაში სადღაც იყო დამალული, მამა, რომელსაც შვილი მოუკლეს და საერთოდ არც ყოფილა ჩართული თავის შვილის მკვლელობის გამოძიებაში, დაზარალებულად ცნობაზეც კი უარი უთქვამს. ეს საქმეც დღემდე გამოუძიებელია და უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. **მაქვს ინფორმაცია და პირველად ამას თქვენთან ვამბობ: ეს ბინძური კამპანია გიორგი დალაქიშვილის, ფირცხალავასა და ვინმე კახა სირაძისგან მოდის.**


**იური ვაზაგაშვილი:**

## თუ ასე გაგრძელდება, ამდენი დაზარალებული, ამდენი გაუბედურებული ოჯახი ქუჩაში გამოვალთ და ხელისუფლებას ცუდად წაუვა საქმე!

**სირაძე კრიმინალური პოლიციის ერთი დეპარტამენტის უფროსი და ჩემი შვილის მკვლელობის თანამონაწილეა.** ახლა თქვენ განსაჯეთ, უშლიან თუ არა ხელს ეს ადამიანები გამოძიებას.

**— კი მაგრამ, რატომ მფარველობს შს მინისტრი დამნაშავეებს?**

— 10 თებერვალს მოვიპოვე ერთ-ერთი პიროვნების ახსნა-განმარტება, მის სახელსა და გვარს ჯერ არ დავასახელებ, ის წერს: **„გიორგი ხიზანიშვილმა და ფირცხალავამ რომ დამიჭირეს, ასეთი რამ მითხრეს (იმხანად სამმართველოს უფროსი იყო ხიზანიშვილი, ჩემი შვილის მკვლელი — ი.ვ): „სროკზე“ გიშვებთ, 20-წლიანზე, ხოლო თუ ჩვენთან ითანამშრომლებ, აქედან სუფთად გაგიშვებთო. როცა ვთქვი, რაში მდგომარეობს თანამშრომლობა-მეთქი, ირაკლი ფირცხალავამ მკითხა — ხუბულოვს თუ იცნობდიო? ვუთხარი, არა-მეთქი. შემდეგ დაინტერესდა, ვიცნობდი თუ არა ზურა ვაზაგაშვილს, რაზეც უარი განვუცხადე. მან მითხრა: შენ ქუჩაში მოძრაობ და შეგიძლია, შემიგროვო ინფორმაცია ვაზაგაშვილზე, იქნებ ვინმე ჰყავდეს დაჭრილი, ვინმესთან იყოს ნაჩხუბარი, ვინმე ჰყავდეს დაყაჩაღებული, მოკლული და ა. შ. იცოდე, ეს ძალიან გვაინტერესებს და, თუ დაგვეხმარები, მეფესავით გაცხოვრებთ, წამალიც გექნება, მწვანე ქსივაც, ვერავინ დაგაკავებსო. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვუთხარი, ვეცდები ეგ ინფორმაცია შევაგროვო-მეთქი. ამ დროს ხიზანიშვილმა მითხრა, კიდევ ერთ საკითხზე მინდა იფიქროო: ბუტა რობაქიძის დედას, ია მეტრეველს, უნდა მოუაროო, ანუ მე ის უნდა მომეკლა. ხიზანიშვილმა მითხრა: იარაღს მოგცემთ ვითომ დაყაჩაღებისთვის და ვიტყვით, რომ შემთხვევით გაგივარდაო...“**

ალარ გავაგრძელებ... და ეს როდის ხდება, იცით? 2006 წლის 2 მაისს მომიკლეს შვილი და 2008 წლის ივლისში ეძებდნენ რაღაცას, რომ ზურასთვის შეექმნათ კრიმინალის იმიჯი. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მომიკლეს უდანაშაულო შვილი და დღემდე ცდილობენ, პასუხისმგებლობა აირიდონ. თუ ასე გაგრძელდება, ამდენი დაზარალებული, ამდენი გაუბედურებული ოჯახი ქუჩაში გამოვალთ და ხელისუფლებას ცუდად წაუვა საქმე! წარმოიდგინეთ, **ვინც ჩვენ გაგვაუბედურა, მათი უმრავლესობა დღესაც მაღალ თანამდებობებზეა შსს-სა და პროკურატურაში. ისინი ხელს უშლიან გამოძიებას, პლუს ამას, ვიმეორებ: არ არის პოლიტიკური ნება, თორემ ამ საქმეების გამოძიებას არაფერი უნდა.**

**— გაქვთ იმედი, რომ რამე შეიცვლება?**

— იმ გველებისა და მკვლელების რეჟიმის დროსაც არ დაგვიხევია უკან, ან როგორ უნდა დაგვეხია?! და ახლაც, ბუნებრივია, გავაგრძელებთ ბრძოლას! კიდევ ველოდებით ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლებისგან პასუხს, ანუ სამართლიანობის აღდგენას და, თუ უახლოეს ხანში იქნება შედეგი, ხომ კარგი, თუ არადა, კვლავაც განვაგ- ▶

# 17 მაისის გაელვება

**გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო აქტიური ხდება 17 მაისის თემა. შარშანდელი 17 მაისი არა მხოლოდ ქართველებს, არამედ ევროპელებსაც ახსოვთ — ლიბერალურმა ევროპამ რადიკალი ქართველები გვარიანად გააკრიტიკა. სხვათა შორის, ერთი წლის წინათ ქართველმა პოლიტიკოსებმა ევროპა-ამერიკას სულ ბოდიშები უხადეს, აქაოდა, ამ ერთხელ გვაპატიეთ და მომავალში ანალოგიური რამ აღარ განმეორდებაო. არადა, ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ისევ ვერ მოითმენს ლგბტ აქტივისტთა გამოსვლას, ნაირფერი დროშის ფრიალს და, სავარაუდოდ, ისევ იგივე მოხდება. ეს, სავარაუდოდ, თორემ შარშანდელი 17 მაისის შემდეგ ორივე მხარე უფრო მომზადებული რომ იქნება და ორივე მხრიდან უფრო მეტი აქტივისტი რომ გამოჩნდება რუსთაველზე, ადვილი მისახვედრია.**

სხვათა შორის, თვითონ სახელი ლგბტ ყურს ცუდად ხვდება. მოგეხსენებათ, ეს აბრევიატურა ასე იშიფრება: ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი. ყველა სიტყვა უცხოურია და ეს მაშინ, როცა ქართულ ენას შესატყვისი აქვს — მამათმავალი, ქალ-კაცა, მესაჯდომე... აბრევიატურაც აქედან ავაწყოთ, უფრო მარტივიც იქნება და ჟარგონების მასობრივ შემოდინებასაც ავცდებით.

მეორე მხრივ, **ხელისუფლების, კონკრეტულად — პარლამენტის სირაქლემის პოზაში ყოფნა ხეირს არ მოიტანს. 17 მაისი, გვინდა თუ არა, მაინც მოვა და დიდ ხმაურიან აყალმაყალს ვერ ავცდებით. ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ პარლამენტი მიიღებს კანონს, რომელიც ამ სიტუაციას მოაგვარებს და სამართალდამცავებსაც შესაძლებლობას მისცემს, საპატრულო მანქანებში ერი და ბერი კი არ ტენოს, არამედ ის, ვინც კანონს დაარღვევს.** 17 მაისამდე დროც არის, რათა ლგბტ აქტივისტებს ქუჩაში გამოსვლა და საჯარო განცხადებების გაკეთება აეკრძალოს. იმას არ ვამბობთ, რომ ისინი სექტად გამოვაცხადოთ ან საზოგადოებისგან მოვკვეთოთ, მაგრამ ლგბტ-თა გაპიარებაც არ არის მოსაწონი. მითუმეტეს, იმ ადგილებში, სადაც ისინი აქციებს მართავენ, არაერთი საჯარო სკოლა თუ ბაღია და, **როცა მოზარდები ლგბტ აქტივისტთა მიერ დიდი ასოებით და სასოებით დაწერილ პლაკატებს კითხულობენ, ძნელია აუხსნა, რატომ უნდა გიყვარდეს გეი ან რატომ უნდა გძულდეს, ან საერთოდ, რატომ კოცნის კაცი კაცს, ქალი — ქალს და ვისი ასო ვის პლაკატზეა წაჯღაბნილი.**

შესაბამისად, თუ იქნება კანონი, რომელიც ლგბტ ადამიანებს დაავალდებულებს, რომ თავიანთი ჭია (სხვა რამეც) საზოგადოების დანარჩენი ნაწილის პროვოცირების გარეშე გაახარონ, ბევრი პრობლემა მოიხსნება. **არავის გაუჩნდება სურვილი, ტაბურეტს ფეხი მოაძროს და ვიღაცას თავში ან სხვაგან უბრახუნოს, აგინოს, ლანძღოს და მერე მთელმა ევროპამ ველურები გვეძახოს. იმ ევროპამ, ჩვენთან რომ ოქროს ხანა იდგა, ტომებად რომ ცხოვრობდა და ბედმა თუ უბედობამ ახლა ჩვენი ჭკუისა და ქცევის მასწავლებლად აქცია.**

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ლგბტ მომხრეთა თუ წევრთა დისკრიმინაცია გვსურდეს. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მორალი და მრწამსი არ არის მოწოდებული, რომ ასეთი რამ აიტანოს, მიიღოს, გაითავისოს. **დემოკრატიას რომ გვიკიჟინებთ ამდენი ხნის განმავლობაში სწორედ უმრავლესობის ნების გამოხატულებაა დემოკრატია და გამოხატეთ, ბატონებო, უმრავლესობის ნება, აკრძალეთ, დაარეგულირეთ კანონით სოდომიის ტირაჟირება და აგერ, ფილიპ დიმიტროვმაც ხომ გვითხრა, ევროპასთან ინტეგრაციისთვის ლგბტ აქტივისტთა თავზე ხელის გადასმა აუცილებელი არ არისო.**

ახლა, შესაძლოა, ვინმე შემოგვედავოს, პარლამენტს ამ თემისთვის არ სცალიაო, მაგრამ, როცა ბუსუსებიანი პრეზერვატივის თვისებებსა და რაობაზე მთელი კვირა იმსჯელეს და მისი მოხმარების ავკარგიანობა ლამის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანეს, ლგბტ-ბის მიმართ ერთი რეგულაცია რა გახდა? **ბოლოს და ბოლოს, საქონლის გზაზე მოძრაობის წესები მიიღეს და ერთხელ ამ საკითხზეც რომ იმსჯელონ, რა მოხდება?** მითუმეტეს, რომ სერიოზული ეჭვი გვაქვს, ბუსუსებიანი პრეზერვატივის აკრძალვა ლგბტ აქტივს დიდად არ მოეწონებოდა, მაგრამ კი არ გაუპროტესტებიათ, მშვიდად მიიღეს, ანუ ესენი კანონმორჩილი ხალხია და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმ კანონებსაც შეასრულებენ. შეიკრიბებიან სადმე ერთად, უფრო ახლოსაც გაიცნობენ ერთმანეთს, უფრო მეტად იმეგობრებენ და ყველა კმაყოფილი იქნება. **ჩვენც არ შევწუხდებით, ბავშვები არ გვკითხავენ, ეს ფერადი დროშა რას ნიშნავს და ერთი ბიძია მეორეს რატომ კოცნისო.**

ამ ყველაფრის დაწერის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენი ინფორმაციით, 17 მაისისთვის ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ლეგიონერი აქტივისტების ჩამოყვანა იგეგმება, ანუ საქართველოში აღლუმზე გასავლელად ჰოლანდიელი, შვედი, ნორვეგიელი, გერმანელი და ფრანგი აქტივისტები ჩამოვლენ და, თუ მათ ვინმე შეეხება, ეს იქნება არა შიდა ქართული გარჩევა, არამედ ევროპელთა შეურაცხყოფაც (ფიზიკური). მერე **ევროპა მხოლოდ კი არ აღშფოთდება და შეშფოთდება, არამედ ტაბურეტის ფეხითა და დროშის ტარით მიყენებულ იარებს სულ სათითაოდ დაითვლის (ან წინა ხელისუფლებას დაათვლევინებს) და სულ არ დაინტერესდება** ▶

**„წარმოუდგენელია, დასავლეთში რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ ეს გაბედოს — სულ სხვა დაპირებებით გაიმარჯვოს და მერე მოწონება გამოხატოს იმ მახინჯი სისტემის მიმართ, რომელიც ხალხისა და ბიზნესის ძარცვაზე იყო აგებული.“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რძობთ ბრძოლას და აუცილებლად გავალთ ბოლოში. **ჩვენ სერიოზულ ძალას წარმოვადგენთ. 25 ათასი საჩივარია შესული მათგან, ვისაც ქონება წაართვეს, წარმოიდგინეთ, თითოეულმა ათი კაცი — ოჯახის წევრები, ახლობლები რომ გამოიყვანოს გარეთ, რა მოხდება! ამ ძალას შეუძლია აიძულოს ხელისუფლება, აღადგინოს სამართლიანობა და, თუ არ აღადგენს, მაშინ საზოგადოება მზად არის ყველაფრისთვის. ქალაქის პოლიციის შეფი მკვლელობაში ეჭვმიტანილი გვყავს, გამოძიება მიმდინარეობს და ვითომც არაფერი! რა ხდება?! გაგვცენ პასუხი, დროებით მაინც გადააყენონ ეს კაცი!**

ჭიკაიძე მეუბნება, — 150 მეტრში იდგა, არაფერი დაუშავებიაო. საკითხავია, საქმეში დალაქიშვილის ჩვენება რატომ არ არის, მაგრამ არის მასთან ერთად ეკიპაჟში მსხდომი ბეროძისა და ცააძის ჩვენებები. ბეროძე წერს, კორტებთან მოვხვდი საცობში, ამ დროს ობიექტი აღმოჩნდა ჩვენი მანქანის უკან, მე გადმოვედი უიარაღოდ და მოვუწოდე, გაეჩერებინა მანქანა, გავიწიე, მაგრამ მაინც დამეჯახა მანქანა, რის შემდეგაც წამიყვანა სასწრაფომ. **ხელახალ გამოძიებაში კი ერთ-ერთი ექსპერტი საუბრობს იმაზე, რომ ზურას თავიდან ამოიღეს ბეროძის იარაღიდან ნასროლი ტყვია. აი, ასეთი შეთითხნილი იყო საქმე. აბა, მკვლელები თავს ხომ არ გაიმტყუნებდნენ?!** ამ დროს ბეროძესთან ერთად დალაქიშვილიც იჯდა იმ ეკიპაჟში და ცააძეც, რომელმაც პირველმა დაიწყო სროლა. დიახ, მათთან ერთად იჯდა გიორგი დალაქიშვილიც. ახლა ვეკითხები მინისტრ ჭიკაიძეს, თუ ბეროძის მიერ ნასროლი ტყვია ამოიღეს ზურას თავიდან, მაშინ დალაქიშვილი 150 მეტრში როგორ იდგა — გადმოხტა მანქანიდან და გაიქცა?! იმას ხომ არ ვამბობ, რომ მივიდა დალაქიშვილი და საკონტროლო გასროლა განახორციელა, მაგრამ **როგორ შეიძლება მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი იყოს?** არ მომატყუებდაო, მითხრა მინისტრმა და რა გამოდის, მე ვატყუებ? ახალი პროკურორის მისვლის შემდეგ ქალაქის პროკურატურა მეტად გააქტიურდა, თუმცა, საბოლოოდ, რა მოხდება, არ ვიცი. კბილაშვილისგან განსხვავებით, ეს ახლები უკეთ იქცევიან და დაველოდოთ, როგორ წარიმართება პროცესი.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ საქმეების მიმართ უგულისყურობამ შეიძლება დაზარალებულ ადამიანებს შურისძიებისკენ უბიძგოს და ისინი სამართლის აღდგენას თვითონ შეეცადონ? მაგალითად, სოსო რობაქიძემ პირდაპირ განაცხადა, დამნაშავეებს ჩემი ხელით დავსჯიო...**

— იცით, ჯერ უნდა ვეცადოთ, რომ ყველა საქმე კანონიერად გამოიძიონ, თუმცა, თუ ეს არ მოხდა, რომელიმე ჩვენგანი თავს ველარ მოთოკავს და თვითონ შეეცდება სამართლიანობის აღდგენას, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაეკისრება. გულწრფელად გეტყვით: ახლა უფრო გამწარებული ვარ, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ დროს! რატომ? მაშინ ვიცოდი, რომ ერთ მხარეს ჩემი შვილის მკვლელები და მისი მფარველები იყვნენ, მეორე მხარეს კი — ჩვენ, დაზარალებულები, ახლა რა ხდება? **ხელისუფლებაში ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩემი ოჯახის წევრებად მიმაჩნდა, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ახლა კი ისინი ბუჩქებში არიან დამალულნი! სად — შინაური რომ გიკეთებს ამას და სად — მტერი?! გასკდა გული! აი, ასე გვექცევიან სწორედ!**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

---

◀ **იმით, ტაბურეტის ფეხი თუ დროშის ტარი ვის თავში მოხვდა და ვის სხვაგან, ვის გაუტყდა და ვის — პირიქით, ვის კოშმარად მოეჩვენა და ვის ექსტრიმად...** სხვათა შორის, **სწორედ 17 მაისს ელოდება დიდი იმედებით წინა ხელისუფლება და ცოცხმომარჯვებული აპირებს გალაშქრებას იმ ადამიანებზე, რომლებიც ლგბტ აქტივისტებს ხელს შეუშლიან. ასეთები კი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იქნება.**

ისიც ვიცით, რომ **17 მაისს ერთ-ერთ კინოთეატრში ქართველ ლგბტ-ზე გადაღებული ფილმის პრეზენტაცია იგეგმება, რომელშიც მთავარ როლებს ქართველი ლგბტ აქტივისტები ასრულებენ**. ახლა ვერ გეტყვით, ამ ფილმის პრემიერაზე კინოთეატრის უკანა რიგებში მოსახვედრი ბილეთი რა ღირება, მაგრამ იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ **ამ კინოთეატრის წინ სარეკლამო აფიშა რამდენიმე კვირას იფრიალებს და საზოგადოების უმრავლესობისთვის ეს იგივე იქნება, რაც კორიდაზე ხარის წინ აფრიალებული წითელი ნაჭერი.**

ისე, **პარლამენტართა საყურადღებოდ — თუ კანონის მიღებას ევროპელების გამო ერიდებით, აგერ არჩევნები მოდის და რეფერენდუმიც ზედ მიაყოლეთ, არ გაინტერესებთ, თქვენი ამომრჩეველი რას იტყვის ამ კანონის შემოღებაზე?** იქნებ არ სურს მოსახლეობას ამის აკრძალვა? ან პირიქით: იქნებ იმდენს სურს, რამდენი ხმაც არასდროს არავის მიუღია და ვინძლო ამ რეფერენდუმმა არჩევნებზე გულაცრუებული ამომრჩევლის რიგები დააყენოს საარჩევნო ყუთებთან.

დასასრულ — კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ **ამ ადამიანებს არაფერს ვერჩით, არც ჰომოფობიური დამოკიდებულება გვაქვს, არ გვინდა, ვინმემ სცემოს, გვემოს და შეურაცხყოს ისინი, მაგრამ ვითხოვთ, რომ შემუშავდეს რეგულაცია, რომელიც სწორედ ამ ყველაფერს თავიდან აგვაცილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 17 მაისი მალე მოვა და რამდენი ტაბურეტის ფეხი გაიელვებს, ერთად დავთვალოთ...**

**დავით მინდიაშვილი**

---

# დემურ გიორხელიძე: ეროვნული ბანკი მხოლოდ სპეკულანტურ ინტერესებს ემსახურება

**ჟურნალისტებთან თუ ექსპერტებთან შეხვედრების დროს ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის აღნიშნავს, რომ ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებისთვის მიცემული ყველა დაპირება შეასრულა, იმავეს ადასტურებენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. დემურ გიორხელიძე ერთ-ერთი იმ ექსპერტთაგანია, რომელიც ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამაში აქტიურად მონაწილეობდა. აქედან გამომდინარე, რამდენად შეასრულა ახალმა ხელისუფლებამ ხალხისთვის მიცემული დაპირებები, საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებს ეკონომიკურ საკითხთა ექსპერტი დემურ გიორხელიძე.**



**— ბატონო დემურ, 21 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარსდგება. როგორ ფიქრობთ, შესრულდა თუ არა ხალხისთვის მიცემული დაპირებები?**

— მართალია, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ ყველა დაპირება შეასრულა, მაგრამ სინამდვილეში 2013 წელს მთავრობის საქმიანობა ძალიან დაბალეფექტური იყო. არადა, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ **არჩევნებამდე ივანიშვილს არანაირი ზეპირი და არარეალური დაპირება ხალხისთვის არ მიუცია. უბრალოდ, ზოგი დაპირება არასწორად იქნა ინტერპრეტირებული,** თუნდაც, მაგალითად, საუბარი იყო ტარიფების ოპტიმიზაციაზე და არა განახევრებაზე და ა. შ. თუ ამ უზუსტობებს გამოვრიცხავთ, გარკვეული ცვლილებები უნდა მომხდარიყო, მაგრამ არჩევნების შემდეგ, როდესაც გამარჯვებულმა კოალიციამ მთავრობა დააკომპლექტა, ეს მოხდა არა კრიზისული მთავრობის პრინციპიდან გამომდინარე, რათა პრობლემები დაძლეულიყო, არამედ კოალიციის პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე და ბუნებრივია, შედეგიც ოპტიმალური არ ყოფილა. შემდეგ გაჩნდა ინტერესთა კონფლიქტები, როდესაც მთავრობის ზოგიერთმა წევრმა დაიწყო აბსურდული განცხადების გაკეთება, თურმე შეცდომა ყოფილა დაშვებული დაპირებებში და ამიტომ, მაგალითად, ისინი ტარიფებს ვერ შეამცირებდნენ. **წარმოუდგენელია, დასავლეთში ეს რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ გაბედოს — სულ სხვა დაპირებებით გაიმარჯვოს და მერე მოწონება გამოხატოს იმ მახინჯი სისტემის მიმართ, რომელიც ხალხისა და ბიზნესის ძარცვაზე იყო აგებული, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ამ წლების განმავლობაში აკეთებდა.**

ბუნებრივია, დაპირებები ვერ შესრულდა და ვერც შესრულდებოდა, ვინაიდან არაფერი მასშტაბურად არ კეთდება, ყველაფერი მხოლოდ ლოკალურ დონეზე ხორციელდება. სისტემის მოდერნიზაცია უნდა მომხდარიყო, მსგავსი კი არაფერი გაკეთებულა. პრემიერმინისტრმა 2013 წელს, მინისტრების მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეიმუშავა პოლიტიკა, ანუ იმის მიხედვით, ცალკეული მინისტრი როგორ ხედავდა ამა თუ იმ სფეროს. ასე შეიძლება გაკეთდეს უკვე განვითარების ორბიტაზე გასულ ქვეყანაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ისეთ სისტემურ კრიზისში მყოფ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

**— თუმცა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მიზეზად დროის სიმცირეს ასახელებენ. რამდენად საკმარისი იყო ეს პერიოდი მოცემული დაპირებების შესასრულებლად?**

— ბუნებრივია, ამ პერიოდში რადიკალური ცვლილებები ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ ერთი წელი საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ მიმართულებები გამოკვეთილიყო და სიტუაციის შეცვლის იმედი მაინც გაჩენილიყო. ფაქტობრივად, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ძვრა ყველა იმ სასიცოცხლო მიმართულებით, რომლებიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. მთავრობის მიმართ კრიტიკული განწყობა ამიტომაც იზრდება.

**— საზოგადოების შეშფოთებას იწვევს ეკონომიკაში არსებული ვითარება. მოგეხსენებათ, ლარის კურსის ვარდნამ ფასების ზრდა გამოიწვია, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე. თუმცა ექსპერტების ნაწილი გვამშვიდებს, რომ ამაში საგანგაშო არაფერია და თავად ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა, რომ „ზომიერი ინფლაცია ახალისებს ეკონომიკას...“**

— მაპატიეთ, მაგრამ ინფლაციით წახალისებული ეკონომიკა საკმაოდ ძველი შეხედულებაა, რომელსაც დღეს სერიოზულად არავინ აღიქვამს. საქმე ისაა, რომ საქართველოს მოქალაქე, 22 წელია, მიჩვეულია, რომ ძარცვავენ, ამიტომ **ლარის კურსის ვარდნა-უკან შემობრუნებით, რომელიც მთლიანად ეროვნული ბანკის დამსახურებაა, მივიღეთ ის, რომ ბიზნესი და მოქალაქეები კვლავ გაიძარცვნენ.** ამ საკითხებს სერიოზულად არასდროს მივუდექით. ფაქტობრივად, ამისთვის ვერ იცლის პარლამენტი, მოსმენა ერთხელაც არ ჩატარდა.

ვფიქრობ, ეროვნული ბანკი სერიოზულად არის კრიტიკის ქარ-ცეცხლში გასატარებელი, რათა მან კეთილი ინებოს და მისი პოლიტიკის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს. **დღეს ეროვნული ბანკი მხოლოდ სპეკულანტურ ინტერესებს ემსახურება.** ეროვნული ბანკის ვერც ერთი მესვეური ვერ მოახერხებს მათი მოქმედებების მიზანშეწონილობის გონივრულ ახსნას, რაც ამ პერიოდის განმავლობაში გააკეთეს. ეს არის დახურული სისტემა, რომელიც, როგორც ჩანს, ისევ ძველი ხელისუფლების მესვეურების მიერ კონტროლდება. ყველაფერი, რაც გაკეთდა, ეკონომიკასთან არავითარ კავშირში არ ყოფილა.

**— ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება სამართლიანობის აღდგენაც იყო. რატომ ვერ მოახერხა ხელისუფლებამ თუნდაც ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებების განხორციელება?**

— სამართლიანობის აღდგენა სპეციალურ ღონისძიებებს არ საჭიროებს და სამართლიანობის აღდგენა ხელისუფლების სპეციალური ლოზუნგი არ უნდა ყოფილიყო. თუ ადამიანს, განურჩევლად მისი გვარისა და სახელისა, დანაშაული აქვს ჩადენილი, ის უნდა დაისაჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამნაშავე დაუსჯელი თავისუფლად დადის, ხელისუფლება და სახელმწიფო წარმატებული ვერ იქნება. **თუ ხელისუფლება მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და გარედან დაინტერესების გამო წყვეტს ვიღაცების დაპატიმრებას და ვიღაცების ხელუხლებლად დატოვებას, ამით, უპირველესად, საკუთარ პოლიტიკურ მომავალს და სამართლიანი ქვეყნის აშენების შანსს ასამარებს.** ასე რომ, ამ ნაწილშიც მთავრობას ძალიან უჭირს და ვფიქრობ, ჯერჯერობით რასაც ხელისუფლება აკეთებს, მხოლოდ საკუთარ თავს ვნებს. ამას გულისტკივილით ვამბობ, რადგან ნამდვილად არ მინდა, ეს მთავრობა წარუმატებელი იყოს. სამწუხაროდ, ყველაფერი ინტენსიურად წარუმატებლობისკენ მიდის. **ჩვენ დღეს ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დასავლური ტიპის დემოკრატულ სამართალზე აგებულ სახელმწიფოს ვაშენებთ.**

**— როგორ შეაფასებთ აწ უკვე სამოქალაქო სექტორში გადასული ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს?**

— ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი დღეს სერიოზული პრობლემის წინაშეა, ვინაიდან, მას ბრწყინვალე ბერკეტები და ქართველი ხალხის უზარმაზარი ნდობა ჰქონდა, რათა დიდი რეფორმები გაეტარებინა. თუმცა იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დღეს სახელმწიფოს წინაშეა, წარმოუდგენლად მიმაჩნია და ვფიქრობ, ამოცანები, რომლებიც მან დასახა, უბრალოდ, შეუსაბამოა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობასთან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორი, მაგრამ ეს არის სექტორი, რომელიც არ უნდა გავიდეს იმ ფარგლებიდან, რომელიც დასავლეთში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობის მოქმედების სფეროდ გვევლინება. ჩვენ რაღაც ახალს თუ მოვიგონებთ, არ ვიცი.

**— ამ ფარგლებიდან მისი გასვლის საშიშროება არსებობს?**

— დიახ, არსებობს. კარლ პოპერი პირდაპირ ამბობს, თუ რა საფრთხეები აქვს თავისუფალ საზოგადოებას. სამ საფრთხეს შორის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ პოპერი ასახელებს, როგორი **უდიდესი საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდნენ საზოგადოების განვითარებისთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის, პოლიტიკური პარტიები, თუ ისინი კონტროლიდან გავლენ.** არსებობს კიდევ მეორე საფრთხე, **როდესაც ხელისუფლება ყველაფერში ერევა და ადამიანის პირად ცხოვრებასაც კი აკონტროლებს** და მესამე საფრთხე, **როდესაც ქვეყანაში მსხვილი ოლიგარქიული გაერთიანებები, ხელისუფლების ინტერესებისა და სურვილების შესაბამისად, ფაქტობრივად, მონოპოლიურ ჯგუფებად ყალიბდებიან.** ზემოჩამოთვლილი სამი საფრთხიდან საქართველოში დღეს არც ერთი მოხსნილი არ არის და სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილს ჰყავს თავისი ჯიბის პარლამენტი და მთავრობა, ამერიკელებთან შეთანხმებული. მეტიც, დარწმუნებული ვარ, მომავალში, არასამთავრობო სექტორიც ივანიშვილის იქნება. ბიძინა ივანიშვილი მთელი ქვეყნის მონოპოლიზაციას ახდენს. ეს არის ძალიან სახიფათო ტენდენცია. მივიღებთ ერთი კაცის დიქტატურას მთელ ქვეყანაზე. ამ გეგმის ნაწილი უკვე განხორციელებულია“.**



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# ნუ ჩათვლის ბიძინა, რომ ბრმები ვართ

**21 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარსდგება. გამართლდა თუ არა საზოგადოების მოლოდინი? ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი აფასებს.**

— საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ხშირად ვხვდები და პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ხალხის მოლოდინი არ გამართლდა. ახალი ხელისუფლების მიმართ საზოგადოებას უკმაყოფილებისა და უკმარისობის გრძნობა აქვს. ხალხს ახალი ხელისუფლების დიდი მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ეს მოლოდინი დათესილი იყო ისევ თავად „ქართული ოცნების“ და მისი ლიდერის — ბიძინა ივანიშვილის მიერ, რომელიც ხალხს ქვეყნის ერთადერთ გადამრჩენად მიაჩნდა. **არც ერთი დანაპირები არ შესრულდა. ქვეყანაში ქაოსია, „ნაციონალები“ „გულაობენ“, გვამადლიან რაღაცებს, ბიძინა კი გვირჩევს, მათ ღიმილით შევხედოთ. თუმცა თავად რატომღაც არ შეხედა ღიმილით, „ნაციონალებმა“ რომ ფული წაართვეს, პირველივე შემთხვევაში, თავისი ფული დაიბრუნა.**

რაც შეეხება ანგარიშს, მგონი, დროა, თავად ამ მიმართულებითაც, კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ. მარგველაშვილი არის პრეზიდენტი, რომელსაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია. მისი პარლამენტის წინაშე ანგარიშით გამოსვლა მხოლოდ ფორმალობაა. ჩემი აზრით, საერთოდ თავი უნდა დავანებოთ ასეთ ტყუილ-ტყუილ გამოსვლებს, ვინაიდან სააკაშვილის მრავალწლიანი პრეზიდენტობის დროსაც კი ეს გამოსვლები მხოლოდ „ცირკი“ იყო, სერიოზულად მის გამოსვლებსაც არავინ აღიქვამდა. სხვათა შორის, ვუყურე სენატის წინაშე აშშ-ის პრეზიდენტის — ობამას გამოსვლასაც და მინდა გითხრათ, დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. **თუ პრეზიდენტი მართლაც მოქმედი პირია, პოლიტიკოსია, როგორც, მაგალითად, არიან რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტები, ასეთ შემთხვევაში, ისინი, წელიწადში ერთხელ კი არა, რამდენიმეჯერ უნდა გამოდიოდნენ ანგარიშით პარლამენტისა და საკუთარი ხალხის წინაშე.**

**«ბიძინა ივანიშვილი საკუთარი სურვილისამებრ, ყოველგვარი ენერგიის დახარჯვის გარეშე ქვეყანასა და ხელისუფლებას კულისებიდან მართავს»**

**— როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს ხელისუფლებას დაპირებების შესრულებაში?**

— იცით, აქ არის ქვეყნის ობიექტური მდგომარეობა და სუბიექტური მიდგომა საკითხებისადმი. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის მიდგომა საკითხებისადმი უაღრესად სუბიექტური და არაპროფესიონალური იყო. ივანიშვილს სახელმწიფოს მართვაში არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, რასაც თავადაც არ მალავდა. მას ეგონა, რომ, რადგან წარმატებული ბიზნესმენია და 7 მილიარდი შეაგროვა, ქვეყნის მართვასაც თავისუფლად შეძლებდა, თუმცა ესეც საკამათო საკითხია. მე არ მინახავს პიროვნება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პატიოსანი შრომით გამდიდრდა, ეს გამორიცხულია. ნუ ჩათვლის ბიძინა, რომ ბრმები ვართ.

**— რა სიახლეებს შესთავაზებს სამოქალაქო სექტორში გადასული ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას?**

— დღესაც კი ივანიშვილი თავის გამოსვლებში აცხადებს, რომ ყველა დაპირებას შეასრულებს, მაგრამ ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. როდესაც კაცმა რაღაც არ იცის, ვიღაცას მაინც უსმენს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ივანიშვილი ყურს არავის უგდებს და მიაჩნია, რომ მან ყველაზე მეტი იცის. ასეთი ადამიანისთვის რჩევის მიღებაც წარუმატებელია.

მართალია, ოფიციალურად ბიძინა ივანიშვილი წავიდა პრემიერის თანამდებობიდან, მაგრამ დღეს საკუთარი სურვილისამებრ, ყოველგვარი ენერგიის დახარჯვის გარეშე ქვეყანასა და ხელისუფლებას კულისებიდან მართავს. თუმცა თავად ეს — კულისებიდან ქვეყნის მართვის ტენდენცია, თანაც ისე, როგორც მხოლოდ ერთ კაცს უნდა, ქვეყნისთვის და სახელმწიფო სისტემისთვის დამანგრეველია. პირდაპირ ვამბობ: ჩვენ მივიღეთ ის, რომ ივანიშვილს ჰყავს თავისი ჯიბის პარლამენტი და მთავრობა, ამერიკელებთან შეთანხმებული. მეტიც, დარწმუნებული ვარ, მომავალში, არასამთავრობო სექტორიც ივანიშვილის იქნება. **ბიძინა ივანიშვილი მთელი ქვეყნის მონოპოლიზაციას ახდენს. ეს არის ძალიან სახიფათო ტენდენცია. მივიღებთ ერთი კაცის დიქტატურას მთელ ქვეყანაზე.** ამ გეგმის ნაწილი უკვე განხორციელებულია.

**— საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეკლესიის კრიტიკა დასაშვებია. „ისინიც საჭიროებენ კრიტიკას, ისინიც საჭიროებენ მითითებას“, — განაცხადა ივანიშვილმა. სასულიერო პირების ნაწილმა ამ განცხადებაში საშიში ტენდენციები დაინახა. რატომ არის ეკლესიის კრიტიკა ასეთი საშიში?**

— ბიძინა ივანიშვილს სურს, რომ ის იყოს ერთადერთი. ეს რომ ირწმუნა, ამ ბრიყვი ხალხის დამსახურებაა. კი, ბატონო, მადლობა მას სააკაშვილის გაგდებისთვის, მაგრამ ამდენი ქება, როგორც ჩანს, თავში აუვარდა, ჩათვალა, რომ მართლაც გმირია. **ბიძინას კი არა, მასზე ძლიერ ადამიანს აუვარდებოდა თავში. აქედან გამომდინარე, ირწმუნა რა თავისი ძალა, მწვერვალიდან გადმოიხედა და დაინახა მეორე ძალა, რომელიც გაცილებით მაღალია. ეს არის პატრიარქი, რომელსაც ხალხი ყოველგვარი ქვენა აზრების გარეშე ეთაყვანება და რომელსაც დიდი გავლენა აქვს, ამიტომ საჭიროა მისი გავლენის გაფერმკრთალება. ახლა დაიწყება შეტევა ეკლესიაზე.** არ ვამბობ, რომ ეკლესიას ნაკლი არ აქვს, მაგრამ ეს არ არის შარაზე გამოსატანი საკითხი.

**— ფიქრობთ, რომ ვიღაცებს სტიმულს მისცემს ეს განცხადება?**

— ბუნებრივია. ინტერნეტი ხომ სავსეა ეკლესიისა და პატრიარქის ლანძღვა-გინებით, ახლა ტელევიზიებიდანაც იმავეს იზამენ. ამით მან ბიძგი მისცა საზოგადოებას, — აგინეთ ეკლესია და პატრიარქიო.

**— საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დაადასტურა, რომ მას, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ადასტურებს თუ არა ეს განცხადება გავრცელებულ ხმებს ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირების თაობაზე?**

— ის, რომ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის შეხმატკბილებული ურთიერთობა არ იქნებოდა, თავი- ▶

# პარლამენტში ტროას ცხენით შეპარულები

**საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. პარადოქსების, რადგანაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხალხი თეთრ რაშზე ამხედრებულ ოცნების პრინცს ელოდა, ხელში კი ტროას ცხენში ჩამალული მახინჯი გნომები შერჩა.**



**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელიდან უშვებს შანსს, რომ ყოფილიყო პოსტსახელისუფლო პარტია.** განცხადება ამასთან დაკავშირებით ბერძენიშვილმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააკეთა.

**„ნაციონალური მოძრაობა“ ხელიდან უშვებს იმ შანსს, ყოფილიყო სერიოზული პოსტსახელისუფლო პარტია — პარტია ხელისუფლების შემდეგ, ჩვენ მას ვგულშემატკივრობდით. მაგრამ, სამწუხაროდ, რებრენდინგი, რომელიც უნდა მომხდარიყო „ნაციონალურ მოძრაობაში“, ვერ მოხდა“,** — აცხადებს ბერძენიშვილი.

პრინციპში, ყველამ კარგად ვიცით, თუ ვინც არიან მმართველი პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი, ე. წ. ინტელექტუალური ნაწილის, რესპუბლიკური პარტიის, წარმომადგენლები. **ვიცით მათი იდეოლოგია, მსოფლმხედველობა. მათი დამოკიდებულება ეკლესიასთან, მართლმადიდებლობასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსთან. ვიცით მათი გამონათქვამები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ვიცით, თუ „ვისი გორისანი“ არიან და „ვისი ძუძუ უწოვიათ“.**

რესპუბლიკელების „წყალობით“, სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, მივიღეთ ყბადაღებული კოაბიტაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, წინასაარჩევნო დაპირებიდან გამომდინარე, უკვე 114 დღეა, რაც დამთავრდა.

ბატონო ლევან, თუ შეიძლება ამგვიხსენით რას ნიშნავს ფრაზა **„მას მიეცათ შანსი, ყოფილიყო სერიოზული პოსტსახელისუფლო პარტია“.**

პირველი და მთავარი, რაც გვაინტერესებს, არის ის, თუ ვინ მისცა მათ ეს შანსი?

საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის 1 ოქტომბერს მათთვის ეს **„შანსი“** არ მიუცია. პირიქით — ხალხი ყოველდღე მოითხოვს მათ გასამართლებას, სამართლიანობის აღდგენას.

რას ნიშნავს ფრაზა **„ჩვენ ამას ვგულშემატკივრობდით“?**

ვინ **„ჩვენ“?** ის ხალხი, ვინც მკვლელებს, რეკეტირებს, მოძალადეებს, ყოვლად გარყვნილ და გათახსირებულ უსქესო, ურწმუნო და უჯიშო არსებებს გულშემატკივრობს?

**„მე ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის, გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა“** (დ. უსუფაშვილი, 2012 წლის 17 აპრილი, რადიო „თავისუფლების“ პრაღის შტაბ-ბინა).

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მინდა ვიკითხო: **არის თუ არა ეს ღალატი?**

დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვეულებრივი ღალატი?

მისცემდა თუ არა საბურთალოს ამომრჩეველი დავით უსუფაშვილს ხმას, ეს განცხადება 2012 წლის 30 სექტემბერს რომ გაეკეთებინა?

საპრეზიდენტო არჩევნების წინ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოვიდა 2012 წლის 1 ოქტომბრის ეიფორიიდან და სხვადასხვა კვლევის მიხედვით, სულაც არ აპირებდა იმ შედეგის „დადებას“, რომელიც თურმე „ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანა“ ყოფილა. ზუსტად არ ვიცი, რა საუბრები იყო რესპუბლიკური პარტიის კულუარებში, მაგრამ ლევან ბერძენიშვილის ნათქვამმა **„ბურჯანაძეს ბაქრაძე მირჩევნია. ასეა იმიტომ, რომ ბაქრაძე რუსების პოლიტიკას არ ატარებს“,** ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

**„ხელისუფლებამ და საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტონ, საქართველო უფრო მნიშვნელოვანია თუ მიხეილ სააკაშვილი“.**

ბატონო ლევან, თქვენი არ ვიცი, მაგრამ საზოგადოებამ, უკვე დიდი ხანია, გადაწყვიტა, თუ ვინ უფრო მნიშვნელოვანია. საზოგადოებამ ისიც დიდი ხანია გადაწყვიტა, ხართ თუ არა თქვენ ხელისუფლება და პირობას გაძლევთ, რომ ამის პასუხს ძალიან მალე მიიღებთ, რადგან რესპუბლიკური პარტიის „მეცადინეობის“ შედეგად დღეს ასეთი სურათი გვაქვს:

**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე — „ნაცი“;**

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — „ნაცი“;**

**სახელმწიფო აუდიტის (იგივე კონტროლის პალატა) თავმჯდომარე — „ნაცი“;**

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — „ნაცი“;**

**თბილისის მთავრობა — „ნაცები“**

**საპარლამენტო ოპოზიცია — „ნაცები“;**

**პარლამენტში „ოცნებაში“ გადაბარგებული რამდენიმე „თვალსაჩინო“ დეპუტატი — „ნაცები“;**

**პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში — ძალიან ბევრი „ნაცი“ (ესენიც ყოფილები, ანუ როგორც „დაუვიწყარი“ ხუხაშვილი იტყოდა,** ▶

„ჩვენი პრობლემის მოსაგვარებლად, შეიძლება გარკვეული რეგულაციები გაჩნდეს, მაგალითად, დაწესდეს დამატებითი გადასახადი უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე, რომელიც სახელმწიფოსთვისაც მომგებიანი იქნება. ასევე უნდა ხდებოდეს ხარისხის შემოწმებაც... არავინ აკონტროლებს, უცხოეთიდან რა შემოაქვთ.“

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დანვე ცხადი იყო. დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი ხდება უკმაყოფილება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის და მით უმეტეს ჩვენთან. გახსოვთ, ამას წინათ მაია ფანჯიკიძე ჯერ აცხადებდა, რუსეთის პრეზიდენტს არ დაველაპარაკებით, ვიდრე სოხუმსა და ცხინვალში მათი საელჩოები იქნებაო, მაგრამ როგორც კი პრემიერმა თქვა, მზად ვარ სალაპარაკოდო, იმწამსვე ყველამ, მათ შორის ფანჯიკიძემაც, აზრი შეიცვალა. ეს ყველაფერი საქართველოსთვის დამახასიათებელი უაზრო, უკბილო პოლიტიკის ბრალია.

**— რუსეთის პრეზიდენტმა 14 თებერვალს ალექსანდრე ჭაჭია საპატიო ორდენით დააჯილდოვა. საგულისხმოა, რომ ეს მოხდა სოჭში პუტინის განცხადების შემდეგ, როდესაც მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოსთან დიალოგის წინააღმდეგი არ არის. ზოგიერთი ქართველი ექსპერტი ფიქრობს, რომ ამით მოსკოვმა თბილისს მიანიშნა, თუ ვის ისურვებდა მასთან საკონტაქტო პირად...**

— დიდი ხანია, ალექსანდრე ჭაჭია საქართველოსა და რუსეთის დაახლოებისთვის მოღვაწეობს, რაც, ჩემი აზრით, პოზიტიური მომენტია და ამის დაუფასებლობა არ შეიძლება. სწორედ აქედან გამომდინარე დააჯილდოვა ჭაჭია პუტინმა. მაგრამ ვფიქრობ, როდესაც პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა საქართველოსთან სალაპარაკოდ, მან საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები იგულისხმა, ალექსანდრე ჭაჭია კი არ არის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი.

ესაუბრა **შორენა ციძქარაშვილი**

# ხელისუფლება ეკონომიკური სუიციდის ზღვარზეა

**სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის წყალობით, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი რომ ფაქტობრივად დასამარდა, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არახალია. თავის დროზე ამის მიზეზი მონოპოლიების შექმნა და „ნაცმოძრაობის“ მაღალ ეშელონებში აღმოცენებული ის ელიტური კორუფცია იყო, რომლის სიმძიმემაც 9 წლის მანძილზე მოსახლეობის კისერზე გადაიარა. დანგრეული ეკონომიკა, მასობრივი უმუშევრობა და მძიმე სოციალური ფონი — ამ მდგომარეობაში დატოვა „ვარდოსანთა ბელადმა“ ქვეყნის სათავე 27 ოქტომბერს; თუმცა მოლოდინი, რომ ხელისუფლებაში „მეოცნებეთა“ მოსვლისთანავე „ბედის ბორბალი“ წაღმა დატრიალდებოდა, ამომრჩეველთა 99 პროცენტისთვის პირში ჩაჩრილი სატყუარა აღმოჩნდა... მიუხედავად ივანიშვილის ჭრელა-ჭრულა დაპირებებისა, ეკონომიკამ ნგრევა ჩვეულ რიტმში განაგრძო, ბიზნესი კი, მართალია, პირდაპირი ტერორისგან გათავისუფლდა, მაგრამ ხელისუფლებისგან თუნდაც მინიმალური ხელშეწყობის არარსებობამ კერძო სექტორს, პირველ რიგში, წარმოებას, სერიოზული პრობლემები შეუქმნა. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ინვესტორების ნაწილმა თავს გაქცევით უშველა, ხოლო ნაწილმა, კრიზისის კვალდაკვალ, დაქირავებული მუშახელის შემცირება დაიწყო. მოკლედ, პირდაპირ თუ ირიბად, ქვეყანაში ბიზნესის კეთების პირობები გართულდა, ინვესტიციებმაც იკლო და წარმოებაც კატასტროფულად დაეცა. შედეგად უმუშევართა რაოდენობა დღითიდღე მატულობს, სოციალური სიდუხჭირე კი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება... კონკრეტულად რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ქართული წარმოება და რა ხელშეწყობა სჭირდება შესაბამისი უწყებების მხრიდან, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიეთილენის ქარხნის „ააპლასტის“ დირექტორი ლევან ბიწაძე.**

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან სჭირდება განსაკუთრებული მხარდაჭერა და მხარში დგომა. ჩვენ საუბარი გვაქვს პროდუქციაზე, რაც საქართველოში იწარმოება, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

**— კონკრეტულად რის გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს?**

— სანამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში გაცილებით უკეთესი



რომ, მოგეხსენებათ, ირანი მათი უშუალო მეზობელია, მაგრამ სახელმწიფომ აამოქმედა ბერკეტები. კერძოდ, შემოიღეს განბაჟების ფიქსირებული სისტემა და ამან გამოიწვია ის, რომ უკვე კონკურენტუნარიანები გახდნენ ადგილობრივი კომპანიები. შესაბამისად, დაიხურა ბაზარი და მორჩა, პრობლემა მოგვარდა.

**— თქვენ თქვით, რომ პრობლემები, რამდენიმე წელია, შეგექმნათ. ამ ხნის მანძილზე თუ მიმართეთ შესაბამის უწყებებს და რა პასუხი მიიღეთ?**

— დიახ, გვქონდა რამდენიმე შეხვედრა პარლამენტის კომიტეტში, დეტალურად გავაცანით ყველა პრობლემა. თქვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ახსენეთ და მათი პასუხი იყო დაახლოებით ასეთი: ჩვენ გვსურს, დაგეხმაროთ, მაგრამ, ვინაიდან ვართ ამ სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, გვაქვს გარკვეული შეზღუდვები კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რაც ხელისშემშლელი ფაქტორიაო. ეს გავიგეთ, მაგრამ კანონი მაშინაა კანონი,

**ლევან ბიწაძესთან საუბრის შემდეგ შპს „საქართველოს პლასტიკური წარმოების“ დირექტორს — იაკობ ზაქრაძეს ვეწვიეთ. აღმოჩნდა, რომ წარმოებას აქაც ანალოგიური პრობლემები აქვს, თუმცა შესაბამის უწყებებს საკითხის მოგვარებაზე ყურადღება არც ამ შემთხვევაში გაუმახვილებიათ.**

— ამჟამად ქარხანაში დასაქმებულია ოთხმოცამდე ადამიანი. ძირითადად ვმუშაობთ სუპერმარკეტებისა და სააფთიაქო ქსელების შეკვეთებზე. ხარისხი საკმაოდ მაღალი გვაქვს, მაგრამ პრობლემას გვიქმნის არაჯანსაღი კონკურენცია უცხოური პროდუქციის მხრიდან. ეს არის ირანი და ჩინეთი, რომლებიც აულებელი ციხესიმაგრეა ამ თვალსაზრისით. მოკლედ, ძალიან რთული სიტუაციაა, ფაქტობრივად, ისეთ ფასში შემოდის ამ ქვეყნებიდან ნაწარმი, რომ ჩვენთან მარტო ნედლეულის ღირებულებაა იმდენი.

**— ზოგადად, რამდენად იოლია დღეს საქართველოში ბიზნესის კეთება? 9 წლის მანძილზე და ნაწილობრივ ახლაც ხშირად გვესმის, რომ ამ მხრივ მოწინავე პოზიციაზე ვართ.**

— მე არ ვიცი, მოწინავე პოზიციაზე რა კრიტერიუმებით ვართ, მაგრამ, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, საწარმოებს საგადასახადო კუთხით რამდენიმე წლის განმავლობაში მივცემდი ამოსუნთქვის საშუალებას. ეს იქნებოდა სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი და დარწმუნებული ვარ, ეკონომიკური განვითარების ტემპი ბევრად გაიზრდებოდა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ წარმოება ნაწილობრივ მაინც გათავისუფლდეს არსებული პრობლემებისგან?**

— ყველას კარგად გვესმის, რომ ეს **პრობლემა ერთი და ორი საწარმოს აქტიურობით ვერ მოგვარდება, ამას სჭირდება სერიოზული ფიქრი და მუშაობა სახელმწიფოს დონეზე. მით უფრო, მსგავსი პრეცედენტები არსებობს, მაგალითად, უკრაინაშიც იყო ანალოგიური პრობლემა და ისეთი კანონები მიიღეს, რომლებმაც ხელი შეუწყო ადგილობრივი წარმოების განვითარებას.** კიდევ ვიმეორებ: თუ აქაც იგივე არ გაკეთდა, ქართული წარმოება დაიღუპება. ეს კი პირდაპირაა დაკავშირებული ეკონომიკასთან, რომლის განვითარების გარეშეც ძლიერი სახელმწიფო არ არსებობს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «მეოცნებეთა» პოლიტიკის შედეგად ასობით ადამიანი უმუშევარი რჩება

**— ბატონო ლევან, როგორც ვიცი, თქვენს ქარხანას ბოლო დროს სერიოზული პრობლემები აქვს და სულ მალე წარმოება, შესაძლოა, გააჩეროთ. კერძოდ, რა გიქმნით ამ პრობლემებს?**

— ეს ქარხანა 2007 წელს დავაფუძნეთ და მაშინ სულ 14 კაცი ვიყავით. მერე გავფართოვდით და დღეს უკვე ოთხმოცამდე ადამიანია აქ დასაქმებული. რამდენიმე წელია, პრობლემები შეგვექმნა, რის გამოც იძულებული გავხდით, მუშახელის შემცირება დაგვეწყო. კერძოდ, **ირანიდან უფრო იაფად შემოვიდა იმავე სახის პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, და შემდეგ მას მოჰყვა არანაკლებ დიდი პარტია ჩინეთიდანაც. მოკლედ, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კონკურენცია ვერ გავუწიეთ უცხოურ პროდუქციას, შესაბამისად, დავკარგეთ ბაზარი.** ახლა კი უკვე სრულიად ვართ ამოვარდნილი სერიოზული წარმოების პროდუქციის სეგმენტიდან და დაგვრჩა მხოლოდ სარეკლამო სახის პროდუქცია, რომლის ხარჯზეც, უბრალოდ, შეუძლებელია წარმოების ზრდასა და განვითარებაზე ფიქრიც კი.

**— მალე, ალბათ, იმ სარეკლამო პროდუქციის ბაზარსაც დაიკავებს ჩინური და ირანული ნაწარმი.**

— აქ მნიშვნელოვანი კიდევ ერთი საკითხია: რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის ის უცხოური პროდუქცია. ჩვენ, მაგალითად, ვთარგმნეთ ჩინეთიდან შემოტანილ პარკებზე რა წარწერაც იყო. მათზე პირდაპირ ეწერა: მოარიდეთ ბავშვებთან შეხებასო. ახლა კონკრეტულად რა კომპონენტებია მასში და რას შეიცავს, არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ერთია, იქ ურევია რაღაც ისეთი, რაც არ შეიძლება, კვების პროდუქტებს შეეხოს.

რაც შეეხება ისევ კონკურენციის თემას, რაზეც დასაწყისში ვსაუბრობდი, პოლიეთილენი, მოგეხსენებათ, არის ნავთობპროდუქტი, რომელიც მიიღება ბენზინის სწრაფი გაცივებით. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნებში, რომლებშიც ნავთობის დიდი მარაგია, მათ შორისაა, ცხადია, ირანიც, ამ პროდუქციის წარმოება ბევრად იაფი ჯდება და ბუნებრივია, ჩვენ ვერასოდეს გავუწევთ მათ კონკურენციას...

**— ეს პრობლემები, რაზეც თქვენ საუბრობთ, კონკრეტულად პოლიეთილენის წარმოებას ეხება თუ საერთოდ ყველა სახის პროდუქციას?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველა მიმართულებას ეხება. **რამდენიმე ხნის წინათ საწარმო „ინტერპლასტი“ გაკოტრდა და ვიცი, რომ ახლა ცემენტის ქარხნებიც იხურება ზუსტად ანალოგიური პრობლემის გამო; ანუ ვერ უძლებენ ირანიდან შემოტანილი პროდუქციის კონკურენციას და ასევე კოტრდებიან.** ძალიან შორს წავედი, მაგრამ, ფაქტობრივად, ერთი და იგივე პრობლემა გვექმნება ჩვენც, პოლიპროპილენზე მომუშავე ქარხნებსაც და მთლიანად ქართულ წარმოებას. არადა, ეს არის ქვეყნის მდგომარეობაა ბიზნესის უსაფრთხოების კუთხით, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა. **ჩვენი პრობლემის მოსაგვარებლად, შეიძლება გარკვეული რეგულაციები გაჩნდეს, მაგალითად, დაწესდეს დამატებითი გადასახადი უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე, რომელიც სახელმწიფოსთვისაც მომგებიანი იქნება. ასევე უნდა ხდებოდეს ხარისხის შემოწმებაც.** მე არ ვიცი, დღეს როგორ მუშაობენ საქართველოში ლაბორატორიები, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ **არავინ აკონტროლებს, უცხოეთიდან რა შემოაქვთ.** ერთ მაგალითსაც გეტყვით: ამასწინათ ჩინეთიდან შემოიტანეს რუსეთის ბაზარზე დაწუნებული პოლიეთილენის პარკები... ახლა რა გამოდის? საქართველო უვარგისი საქონლის და ყველანაირი ნაგვის ბაზარია?!

**— თქვენ უცხოურ პროდუქციაზე დამატებითი გადასახადის დაწესება ახსენეთ. საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, რაც გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობს. ამის გათვალისწინებით, შეუძლია სახელმწიფოს მსგავსი რეგულაციის შემოღება? მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციების პრეცედენტი თუ არსებობს მსოფლიოს რომელიმე სახელმწიფოში?**

— ამის ნათელი მაგალითია აზერბაიჯანი. იქ, ჩვენთან შედარებით, ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო პოლიეთილენის წარმოება იმიტომ, როცა ლავირების საშუალებას გაძლევს, უნდა მოვძებნოთ ისეთი რამ, რაც საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გყავდეს კმაყოფილი და მეორე მხრივ, — ადგილობრივი მეწარმე.

**— დაბოლოს, იმ შემთხვევაში, თუ კი მდგომარეობა არ გამოსწორდება და თქვენი საწარმო დაიხურება, რეალურად რა ზარალი მიადგება სახელმწიფოს?**

— კონკრეტულ ციფრს გეტყვით: მარტო 2013 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი მქონდა მილიონ-ნახევარ ლარზე მეტი. ამაში შედის დღგ, მოგება და საშემოსავლო გადასახადი. რაც შეეხება შეკითხვას, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, ბუნებრივია, ეს თანხა შემცირდება, ხოლო რა შეიძლება მოხდეს შემდეგ, ესეც ძალიან მარტივია, — **წარმოება აღარ იქნება და ბიუჯეტშიც ნაკლები ფული შევა. გარდა ამისა, გაიზრდება უმუშევართა რაოდენობაც და სოციალური ფონი, რომელიც არც დღესაა შესაშური, კიდევ უფრო დამძიმდება.** აი, ესაა ის ლოგიკური პროგნოზი, რომლისკენაც მივყავართ ამ ყველაფერს...

***

**P.S. ზუსტად ვიცი, რომ „მსგავსი მეოცნებე“ ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ლაფში ჩაფლული ქვეყანა ფონს გაყვანილი ჰგონია, წინამდებარე წერილის პათოსს კატეგორიულად არ დაეთანხმება, მაგრამ ფაქტს არც მილიარდერისგან მოსალოდნელი მიჯირყვნის ეშინია და არც დასავლეთის ძლიერი შეშფოთების; სიმართლე ის არის, რომ ქართული წარმოება იღუპება, ეკონომიკა ნადგურდება და, თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე მძაფრი ფინანსური კრიზისის მომსწრენი გავხდებით...**

◀ **„რეჟიმის მსხვერპლნი“);**

**სამინისტროებში, სახელმწიფო დაწესებულებებში – „ნაცები“;**

**ტელევიზიებში მოკალათებული უამრავი „ნაცი“ (იგივე უპრინციპო ჟურნალისტები)...**

1%-იანი რეიტინგის მქონე პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი კი საქართველოს რეიტინგს სისხლის სამართლის დამნაშავის რეიტინგს ადარებს. ნამდვილად არ დავიწყებ მისთვის იმის სწავლებას, რომ სამშობლო მის ნებისმიერ ლიდერზე უფრო მაღლა დგას. არ დავიწყებ, რადგანაც ეს ჭეშმარიტება აქამდე თუ ვერ გაიგო და არ გაისისხლხორცა, აწი ვეღარასოდეს გაიგებს.

**„ჟიგულის“ ტორპედოს ხელი რამდენიც უნდა ურტყა, ბენზინი არ მოიმატებს. რაც უნდა შევუძახოთ რესპუბლიკურ პარტიას, ისინი არ გამოსწორდებიან; არ გამოსწორდებიან, რადგან მათ საკმაოდ სერიოზული მენტალური გადახრა აქვთ.**

**ეს ხალხი ზუსტად ისე შეიპარა პარლამენტში, როგორც ბერძენი მეომრები — ტროაში და, თუ ვინმეს აძლევს ხელს ცხენის როლში ყოფნა, ეს მათი პრობლემაა. მათი პრობლემაა, რადგან ხალხმა ყველაფერი კარგად იცის, ყველაფერს კარგად ხედავს და, თავის დროზე, პირველ პასუხს სწორედ მათ გასცემს.**

**გია გაბრიჭიძე**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთი THE WASHINGTON POST-ის ჟურნალისტები, რომლებსაც უფლება მისცეს, შემოწმების მასალებს გაცნობოდნენ, დარწმუნდნენ, რომ გფბ, კანონის გვერდის ავლით, რეგულარულად ხელყოფდა აშშ-ის მოქალაქეების ელექტრონულ წერილებს, საფინანსო დოკუმენტებს, უსმენდა მათ სატელეფონო საუბრებს. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ბიურო ტოტალურად უთვალთვალებდა თავისი ქვეყნის მოქალაქეებს და რეგულარულად არღვევდა მათ უფლებებსა და თავისუფლებებს.**




## პროტესტი აშშ-ის სპეცსამსახურების თვალთვალის წინააღმდეგ

**გასულ კვირას დაწყებულ აქციაში, რომლის სახელწოდებაა The Day We Fight Back („დღე, როდესაც ჩვენ მოგაყენებთ საპასუხო დარტყმას"), 6000-ზე მეტი საიტი მონაწილეობს, აგრეთვე, ქსელური რესურსი Reddit and Tumblr და ორგანიზაცია Electronic Frontier Foundation and Demand Progress.**

ინტერნეტრესურსებმა თავიანთ მთავარ გვერდზე შავ ფონზე განათავსეს თვალისა და ხელის გამოსახულება, რომელიც მიუთითებს აქციის ოფიციალურ ინტერნეტმისამართზე — thedaywefightback.org, სადაც გროვდება ხელმოწერები აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან ინტერნეტთვალთვალის წინააღმდეგ. ამით აქციის ორგანიზატორები ცდილობენ, გადაიხედოს კანონი „საგარეო დაზვერვის მუშაობაზე კონტროლის შესახებ", რომელიც, ფაქტობრივად, აკანონებს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მობილურ საშუალებებზე შპიონაჟს... შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის — **ედუარდ სნოუდენის** წყალობით, ცნობილი გახდა მასობრივი თვალთვალის პროგრამის შესახებ, სახელწოდებით PRISM.

**აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები თავისუფლად მოიპოვებდნენ და მოიპოვებენ მილიონობით ამერიკელის** (და არა მხოლოდ) **პირად ინფორმაციას** (ხელყოფდნენ ელექტრონულ მიმოწერას, უსმენდნენ სატელეფონო საუბრებს და ა.შ.). **ამ მონაცემებს სპეცსამსახურების თანამშრომლები სოციალური ქსელების მობილური ოპერატორებიდან, პროვაიდერებისა და ონლაინთამაშებიდანაც კი იღებდნენ.**



## ობამას მოწინააღმდეგე პუტინით აღფრთოვანებას არ მალავს

**2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას მთავარი მოწინააღმდეგე მიტ რომნი არ მალავს სიმპათიას რუსეთის პრეზიდენტისადმი და ამბობს, რომ „პუტინი კიდევ და კიდევ ამარცხებს ობამას საერთაშორისო არენაზე".**

„ვფიქრობ, იმ ადამიანების უმრავლესობამ, რომლებიც თვალს ადევნებენ საერთაშორისო პოლიტიკურ არენას, შენიშნეს, რომ რუსეთის სტატუსი ამაღლდა, ამერიკის კი — დაქვეითდა", — განაცხადა რომნიმ ტელეკომპანია NBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. რომნიმ აღნიშნა, რომ თვითონ მონაწილეობდა 2002 წელს სოლთ-ლეიკ-სითის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზებაში და დღეს ყოველგვარი შიშის გარეშე გაგზავნიდა თავის ცოლ-შვილს სოჭის ოლიმპიადაზე, რადგან ეს თამაშები მაღალ დონეზეა მომზადებული.




# გფბ — აბსოლუტურად ხელშეუხებელი

**სტივ ჯობსზე თვალთვალი დაიწყო 1991 წელს, როდესაც გადაწყვიტეს, რომ ის ჯორჯ ბუში-უფროსის ადმინისტრაციაში სამუშაოდ მიეწვიათ. გფბ მივიდა დასკვნამდე, რომ „IT-ტექნოლოგიების მომავალი მამა" ასეთი საპასუხისმგებლო მოღვაწეობისთვის შესაფერისი არ იყო. მიზეზებს შორის ასახელებდნენ ახალგაზრდობაში ნარკოტიკებით გატაცებას, საეჭვო მორალურ პრინციპებს, იმპულსურობას და ნებისმიერ ფასად წარმატების მიღწევისკენ სწრაფვას.**




**გამოძიების ფედერალური ბიურო (გფბ) აქამდე აშშ-ის ერთადერთი სპეცსამსახური იყო, რომელსაც ამერიკელთა დიდი ნაწილის თვალში რეპუტაცია არ ჰქონდა შელახული. ამას ხელს უწყობდა არა მხოლოდ ბიუროს ისტორია და შინაარსი დასახული ამოცანებისა — ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკობიზნესსა და ტერორიზმთან ბრძოლა ქვეყნის შიგნით, არამედ მისდამი კეთილგანწყობილი მასმედიაც და, რაც მთავარია, აშშ-ის მთავარი იდეოლოგიური რუპორი — ჰოლივუდი.**

106 წლის (გფბ 1908 წლის 26 ივლისს შეიქმნა) განმავლობაში „ოცნებების ფაბრიკაში" ასობით ფილმი და სერიალი გადაიღეს, რომლებშიც მთავარი გმირები გფბ-ს სპეცაგენტები იყვნენ. მაგალითად, ისეთი კინოჰიტები, როგორიცაა **„ხელშეუხებელნი", „ცეცხლის ხაზზე", „კრავთა დუმილი", „დამიჭირე, თუ შეგიძლია"** და სხვ., რომელთაც ბიუროს იმიჯისთვის დივიდენდები მოჰქონდა.

ჰოლივუდთან კავშირის გასამყარებლად გფბ-მ 2007 წელს სემინარიც კი ჩაატარა სახელწოდებით „დანაშაულის საფუძვლები სცენარისტებისა და მწერლებისთვის". ბიუროს სპეციალისტებმა საექსპერტო სამსახურების მუშაობის ძირითად მიმართულებებზე ილაპარაკეს და შეეცადნენ, დაერწმუნებინათ სემინარის მონაწილეები, რომ სპეცაგენტებს არა მხოლოდ პისტოლეტიდან სროლა შეუძლიათ, არამედ ფიქრიც, თუმცა სემინარის მთავარი მიზანი სხვა იყო — როგორმე ჩაფარცხულიყო აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მიერ გფბ-ს შემოწმების სკანდალური შედეგები.

**ამ შემოწმების მიზეზი გახდა 2001 წელს გფბ-ში ჩატარებული აუდიტორული კვლევა, რომლის შედეგად გაირკვა, რომ ბიუროს ფილიალებიდან დაიკარგა 450 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და 180 ნოუთბუქი. განმეორებითი ინვენტარიზაციით დადგინდა, რომ 180 ერთეული იარაღი მოპარული იყო, 265 კი სპეცაგენტებმა, უბრალოდ, დაკარგეს. მოგვიანებით ამ დაკარგული იარაღის სიიდან 2 პისტოლეტი ბოროტმოქმედებმა გამოიყენეს შეიარაღებული ძარცვისას, რომლის დროსაც ერთი ადამიანი მოკლეს.**

თუმცა ცეცხლსასროლ იარაღზე (რომლის შეძენაც მაღაზიებში შეიძლება) მეტი ზიანი შეიძლება მოიტანოს ინფორმაციამ, რომელიც ბოროტმოქმედის ხელში მოხვდება. **„ყველაზე შემაშფოთებელი არის ის, რომ გფბ-ს წარმომადგენლებმა ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერ გასცეს კითხვაზე — იყო თუ არა საიდუმლო მონაცემები გამქრალი ნოუთბუქებში"**, — ნათქვამია აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ანგარიშში.

ამით ბიუროსთვის ცუდი სიახლეები არ დამთავრებულა. ამ ორგანიზაციის მასშტაბური შემოწმებისას გაირკვა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ბიუროს თანამშრომლებმა ამერიკელების პირადი მონაცემების შეგროვებისას 1000-ზე მეტჯერ დაარღვიეს კანონი ე.წ. მოთხოვნებით, „რომლებიც ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას".

**გაზეთი THE WASHINGTON POST-ის ჟურნალისტები, რომლებსაც უფლება მისცეს, შემოწმების მასალებს გაცნობოდნენ, დარწმუნდნენ, რომ გფბ, კანონის გვერდის ავლით, რეგულარულად ხელყოფდა აშშ-ის მოქალაქეების ელექტრონულ წერილებს, საფინანსო დოკუმენტებს, უსმენდა მათ სატელეფონო საუბრებს. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ბიურო ტოტალურად უთვალთვალებდა თავისი ქვეყნის მოქალაქეებს და რეგულარულად არღვევდა მათ უფლებებსა და თავისუფლებებს.**

მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცოდა **ედვარდ სნოუდენის** სახელი, ჯერ კიდევ არ იყო გახმაურებული მისი მხილება გფბ-სა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გლობალური თვალთვალის შესახებ, როცა გფბ მოხვდა სკანდალების ეპიცენტრში. 2012 წლის თებერვალში გფბ-მ საჯარო გახადა **სტივ ჯობსის** დოსიე და ამით აღიარა, რომ კომპანია Apple-ს დამფუძნებელზე კომპრომატებს აგროვებდა. აწ უკვე გარდაცვლილ **სტივ ჯობსზე თვალთვალი დაიწყო 1991 წელს, როდესაც გადაწყვიტეს, რომ ის ჯორჯ ბუში-უფროსის ადმინისტრაციაში სამუშაოდ მიეწვიათ. გფბ მივიდა დასკვნამდე, რომ „IT-ტექნოლოგიების მომავალი მამა" ასეთი საპასუხისმგებლო მოღვაწეობისთვის შესაფერისი არ იყო. მიზეზებს შორის ასახელებდნენ: ახალგაზრდობაში ნარკოტიკებით გატაცებას, საეჭვომორალურ პრინციპებს, იმპულსურობას და ნებისმიერ ფასად წარმატების მიღწევისკენ სწრაფვას.**

**2013 წლის იანვარში ამერიკული ფონდის, „პარტნიორობა სამოქალაქო სამართლის ინტერესებისთვის" წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც მტკიცდება, რომ გფბ და აშშ-ის სხვა სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ მოძრაობა OCCUPY WAL STREET-ის მონაწილეებს,** თუმცა ეს არ ყოფილა მთავარი სენსაცია. გაირკვა, რომ დაინტერესებული პირები ამ მოძრაობის ლიდერებისა და აქტივისტების ლიკვიდაციას გეგმავდნენ, სხვათა შორის, ისინი არიან ასპროცენტიანი ამერიკელები, რომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გფბ-ს პირდაპირი მოვალეობაა. მიუხედავად ამისა, გფბ-ს არანაირი ზომა არ მიუღია დაგეგმილი ბოროტმოქმედების აღსაკვეთად.

**2013 წლის მაისში ტელეარხ For News-მა შეიტყო იმ მრავალწლიანი თვალთვალის შესახებ, რომელსაც გფბ ახორციელებდა ამ ტელეარხის ვაშინგტონის ბიუროს ხელმძღვანელ ჯეიმს როზენის მიმართ**. გფბ-ს ეჭვი ჰქონდა, რომ როზენი ჩინეთის სასარგებლოდ ჯაშუშობდა, არხის ჟურნალისტებმა აღშფოთება პირდაპირ ეთერში გამოხატეს და გფბ-ს აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება შეახსენეს, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია.

ეს და კონსტიტუციური უფლებების დარღვევის კიდევ სხვა მრავალი ფაქტი დაედო საფუძვლად მოხსენებას, რომელიც წელს მოამზადა „სამოქალაქო უფლებების დაცვის ამერიკულმა კავშირმა". **დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო სულ უფრო აქტიურად ერევა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, ხოლო მათი უფლებების გაზრდა პირადი მონაცემების მოპოვების საქმეში, შესაბამის შედეგს ვერ იძლევა ტერორიზმთან ბრძოლაში.**

გაზეთ USA Today-ს ჟურნალისტები გფბ-ს მუშაობის კიდევ ერთ ბნელ მხარეზე ალაპარაკდნენ. ისინი დოკუმენტურად ამტკიცებენ, რომ **2011 წელს გფბ-მ 5658-ჯერ დაარღვია კანონი. საუბარია პრაქტიკაზე, როდესაც სპეცსამსახურების ინფორმატორები, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცემის სანაცვლოდ, დაუსჯელად არღვევდნენ კანონს.**

აღშფოთების მორიგი ტალღა აგორდა **2013 წელს, როდესაც გფბ-ს აგენტებმა დაკითხვის მიმდინარეობისას მოკლეს ბოსტონის მარათონის ტერაქტში ეჭვმიტანილი იბრაჰიმ ტადაშევი.** იარაღის გამოყენების აუცილებლობა აგენტებმა იმით ახსნეს, რომ ტადაშევი მათზე დანით თავდასხმას ცდილობდა. ამ 8-საათიანი დაკითხვის ვიდეოჩანაწერი რატომღაც ვერსად იპოვეს.

**გაზეთ New York Times-ში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 1993 წლიდან დღემდე სპეცაგენტებმა 289-ჯერ გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი, შედეგად მოკლულია 70 კაცი, დაჭრილი — 80. არც ერთ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა დაღუპულის ნათესავებს სახელმწიფომ მილიონობით კომპენსაცია გადაუხადა, გფბ-ს ბოდიში არ მოუხდია და არც თავისი თანამშრომლების მოქმედება შეუფასებია.**

ალსანიშნავია, რომ **1965 წელს იმავე New York Times-მა გამოძიების ფედერალურ ბიუროს „მსოფლიოში საუკეთესო პოლიციური და საგამოძიებო ორგანო" უწოდა, მაგრამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში გფბ-მ დეგრადაცია განიცადა და ახლა ის საკუთარ მოქალაქეებს სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სჯის.**



## ბიბლია ჰომოსექსუალებისთვის

**აშშ-ში გამოსცეს მსოფლიოში პირველი ბიბლია ჰომოსექსუალებისთვის. გამოცემის ოფიციალურ საიტზე ირწმუნებიან, რომ ჰომოსექსუალიზმი პირველად 1964 წელს გამოცემულ ბიბლიის სტანდარტულ ვერსიაშია ნახსენები. ახალი წიგნი გამოვიდა სახელწოდებით „დედოფალ ჯეიმსის ბიბლია“, რომელიც „მეფე ჯეიმსის“ ინგლისურენოვანი თარგმანის სახეცვლილებას წარმოადგენს.** „თქვენ არ შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენი სქესობრივი კუთვნილება, მაგრამ შეგიძლიათ აირჩიოთ იესო. ახლა კი ბიბლიის არჩევაც შეგიძლიათ“, — ნათქვამია გამომცემელთა მიმართვაში. ახალ ვერსიაში შესულია ცვლილებები საღვთო წერილის 8 ფრაგმენტში, რომლებშიც ჰომოსექსუალიზმი განმარტებული იყო, როგორც ცოდვა.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპა კორუფციაში ჩაეფლო



**პირველმა ოფიციალურმა მოხსენებამ ევროკავშირის ქვეყნებში კორუფციის დონის შესახებ მსოფლიო შეძრა.**

**— პრობლემის მასშტაბი წარმოსახვის საზღვრებს სცდება,** — აღიარა ევროკომისარმა საშინაო პოლიტიკის საკითხებში **სესილია მალმსტრემმა.**

ექსპერტთა შეფასებით, **კორუფცია ევროკავშირის 28-ვე ქვეყანაში ყვავის, რის გამოც ეკონომიკა ყოველწლიურად 120 მილიარდ ევროს კარგავს.** მოხსენებიდან კი ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **წარმოდგენა ევროკავშირზე, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის განსაკუთრებულ ზონაზე, სადაც მკაცრი კანონები მოქმედებს, მითია.** ევროკავშირის ქვეყნების გამოკითხული მცხოვრებლების 76 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მათი ქვეყანა კორუფციის ჭაობში ჩაეფლო.






## აშშ-ის კათოლიკურმა ეკლესიამ ტაძარში დედიშობილა მისვლის ნება დართო

**ადამიანების სიგიჟეს საზღვარი არ აქვს. ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ, რადგან სამოთხიდან გაძევებამდე ადამი და ევა ისე დადიოდნენ, როგორც ღმერთმა შექმნა, ახლაც შეიძლება ეკლესიაში დედიშობილა მისვლა. ოღონდ, არის თუ არა აშშ სამოთხე, ძალიან საეჭვოა.** ვირჯინიის შტატში კათოლიკე მღვდელმა მრევლს ეკლესიაში დედიშობილა მისვლა და ქადაგებაზე დასწრების ნება დართო. ის იმოწმებს ბიბლიას, რომელშიც ნათქვამია, რომ ადამი და ევა შიშვლები იყვნენ, მაგრამ სიშიშვლისა არ რცხვენოდათ.

პასტორმა **ალენ პარკერმა** გამოცემა The Daily Mail-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება ადამიანების მიერ სამოსისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭების გამო მიიღო. ამით ადამიანებს მატერიალიზმის გადმონაშთების დაძლევასა და ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვებაში ეხმარება. სიშიშვლე, პასტორის აზრით, მორწმუნეებს შეახსენებს, რომ სამოსის ქვეშ ყველა ადამიანი ერთნაირია. „თუკი ჩვენ ღმერთმა შიშველი შეგვქმნა, რა არის ამაში ცუდი?!“ — სვამს კითხვას პასტორი ალენ პარკერი.

აღსანიშნავია, რომ **ამ ეკლესიაში ქორწინების რიტუალს დედიშობილა ატარებენ. ამასთანავე, შიშვლდებიან არა მხოლოდ ნეფე და დედოფალი, არამედ მათი სტუმრებიც.**





## სულ უფრო მეტი ამერიკელი ამბობს აშშ-ის მოქალაქეობაზე უარს

**2013 წელს ამერიკული ცივილიზაციის კეთილდღეობაზე უარის მთქმელთა ყველაზე დიდი რაოდენობა აღირიცხა. 2011 წელს 1781 კაცმა მიიღო გადაწყვეტილება მწვანე ბარათის ან პასპორტის ჩაბარების თაობაზე, 2013 წელს კი ასეთი ადამიანების რაოდენობამ 2999-ს მიაღწია.**

სახელობითი სია იმ ადამიანებისა, რომლებმაც უარი განაცხადეს აშშ-ის მოქალაქეობაზე, აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. მოქალაქეობაზე უარის თქმის მიზეზი მითითებული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ **ბევრს მხრებზე მძიმედ აწევს გადასახადების ამერიკული სისტემა. ისინიც კი, ვინც უცხოეთში მუშაობენ და იქ იხდიან გადასახადებს, ვალდებულნი არიან, აშშ-ის ხაზინასაც გადაუხადონ.** მაღალი საგადასახადო ტარიფები კი შეძლებულ ამერიკელებს აიძულებს, უარი თქვან ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე. ასე მოიქცა, მაგალითად, „ფეისბუქის“ თანადამფუძნებელი **ედუარდო სავერინი**. ის საცხოვრებლად სინგაპურში გადავიდა და ბრაზილიის მოქალაქეობა მიიღო, თუმცა ამერიკულმა საფინანსო მანქანამ ასეთი ხერხებიც გაითვალისწინა.

**ის ადამიანები, რომელთა ქონებაც 2 მილიონზე მეტია, და ისინიც, ვინც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 155 ათას დოლარზე მეტი გადაიხადეს, ვალდებულნი არიან, თავიანთი ქონების 15 პროცენტის ოდენობის თანხა აშშ-ის ხაზინას გადაუხადონ.**

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს აშშ-ის მოქალაქეობაზე უარი თქვა პოპმუსიკის კერპმა **ტინა ტერნერმა**. მომღერალმა შვეიცარიის ქვეშევრდომობა მიიღო და განაცხადა, რომ ამერიკული პასპორტი აღარ სჭირდება.



## 15 წლის გოგონა სატანას მსხვერპლად შესწირეს

**ტეხასის შტატის ქალაქ კლირლეიკის მკვიდრი ორი ყმაწვილი 15 წლის გოგონას მკვლელობისთვის დააპატიმრეს. ბოროტმოქმედებმა გოგონა ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ ცემით მოკლეს, ბოლოს კი მუცელზე სატანისტური (გადაბრუნებული) ჯვარი ამოუკაწრეს.**

12 თებერვალს 17 წლის ხოსე რაიესმა თავის ბინაში მეგობართან (სახელი არ არის ცნობილი) ერთად 15 წლის კორიან სერვანტესი შეიტყუა. ყმაწვილებმა გოგონა ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი თავში საფერფლე და უნიტაზის ბაკის თავსახური ურტყეს. როგორც სამართალდამცველებმა განაცხადეს, მოკლულს სხეულზე ამოკვეთილი ჰქონდა სატანისტური ნიშანი — გადაბრუნებული ჯვარი. ხოსე რაიესმა პროკურორს განუცხადა, რომ „სული ეშმაკს მიჰყიდა“. ახალგაზრდული ასაკის გამო ბოროტმოქმედს სიკვდილით დასჯა არ ემუქრება, თუმცა სამუდამო პატიმრობას, ალბათ, ვერ ასცდება. თანამზრახველს კი, სავარაუდოდ, 40-წლიანი პატიმრობა ელის.

ეს **მკვლელობა, რომელიც რიტუალურ კონტექსტს შეიცავს, შეიძლებოდა მარგინალების მიერ ჩადენილ ერთეულ შემთხვევად მიგვეჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებდით სატანისტების გაერთიანების აქტიურობას, რაც ამერიკელი საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. მაგალითად, ერთი თვის წინათ ცნობილი გახდა სატანისტური ორგანიზაცია „სატანის ტაძრის“ გეგმების შესახებ. ამ ორგანიზაციის წევრები ოკლაჰომაში, სამთავრობო შენობასთან, „ბოროტების შემოქმედისთვის“ ძეგლის დადგმას ითხოვენ. სექტანტები ამბობენ, რომ ისევე, როგორც ქრისტიანებს, მათაც აქვთ უფლება, ააგონ ტაძრები და სალოცავები.**

# ჯულია რობერტსმა თავისი და მოკლა?



**46 წლის ჰოლივუდელი კინოვარსკვლავის — ჯულია რობერტსის დის, 37 წლის ნენსი მოუტსის, ცხედარი სააბაზანოში იპოვა ნენსის საქმრომ — ჯონ დილბეკმა. ნენსი და ჯონი მაისში ქორწილს გეგმავდნენ, ახლა კი მამაკაცი პოლიციელებს ჩვენებას აძლევს.** ნენსის ბინაში უამრავი რეცეპტი და წამალი იპოვეს. ექსპერტთა წინასწარი დასკვნით, ქალი წამლის ჭარბი დოზით მიღების გამო დაიღუპა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო, თუმცა ახლა თვითმკვლელობის ვერსიას უფრო ემხრობიან.

**ნენსის დაღუპვის მიზეზს სამართალდამცველები ეძებენ 5-გვერდიან წერილში, რომელიც მან სიკვდილამდე დაწერა. წერილში ნენსი თავის ყველა უბედურებაში დას, ჯულია რობერტსს ადანაშაულებს.** პრეტენზიების სია გრძელია. აქ არის გაუთავებელი დაცინვა მის გარეგნობაზე (მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ქილიკი ჭარბ წონაზე), დედასთან ურთიერთობის აკრძალვა და უარი დახმარებაზე... ჯულია ზღაპრულ ჰონორარებს იღებდა, ნენსი კი ჰამბურგერებით იკვებებოდა. უფროს დას თავს დასტრიალებდა თაყვანისმცემელთა უზარმაზარი არმია და, ვიდრე გათხოვდებოდა და სამ შვილს გააჩენდა, ხან ერთი მამაკაცის მკლავებში კოტრიალებდა და ხან — მეორის. ნენსი მოუტსმა კი დიდხანს ვერ შეძლო ქალური ბედნიერების პოვნა. ასეთი რაღაცების პატიება იოლი არ არის და **ნენსიმ ჯულიას ურჩხული, ელამი, ქვეშქვეშა და ეგოისტი უწოდა.**

ჯულია რობერტსს ბრალს დის თვითმკვლელობამდე მიყვანაში არ წაუყენებენ, თუმცა, როგორც ჩანს, ნენსის ის წვეთ-წვეთად წამლავდა.

**ამონარიდი ნენსი მოუტსის წერილიდან: „როდესაც ხარ წევრი იმ ოჯახისა, რომელშიც, შენ გარდა, ყველა განსაკუთრებული ნიჭითა და ლამაზი გარეგნობით გამოირჩევა, გამანადგურებლად მოქმედებს“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელთა 64%-ს სჯერა — „ამერიკული ოცნება“ გარდაიცვალა საზოგადოებაში მზარდი უთანასწორობის გამო. ამერიკელთა 68% აცხადებს, რომ შემოსავლებს შორის სხვაობა ზრდას განაგრძობს, წლიური 50 ათას დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე გამოკითხულთა 73% თვლის, რომ ამერიკული ეკონომიკა სამართლიანობას მოკლებულია.**

# ობამას წარმოდგენა არ აქვს, რით სუნთქავენ ამერიკელები

**რამდენიმე დღის წინ ბარაკ ობამამ ჩაიკითხა კონგრესისადმი ტრადიციული ყოველწლიური გზავნილი. მისთვის დამახასიათებელი მანერით აშშ-ის 44-ე პრეზიდენტმა არ დაიშურა ჰიპერბოლები და ფაქტობრივი უზუსტობები, თუმცა, როდესაც ექსპერტებმა მისი გამოსვლა სტატისტიკურ მონაცემებს შეადარეს, ამერიკული ნაირფერი იდილია უმალ განაცრისფერდა.**




**ახლა ამერიკელებს უფრო ნაკლებად სწამთ მომავლის, ვიდრე ოდესმე. კონგრესისა და მთავრობის მიმართ ნდობა უკიდურესად დაბალია. გამონაკლისი არც თავად ობამაა**

### ტყუილი №1:
**ამერიკელ ხალხს სჯერა ამერიკული ოცნების**

პირველი უზუსტობა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს ფრაზაში, რომელიც „ამერიკულ ოცნებას“ ეხებოდა. **„ვთვლი, რომ ჩვენს ხალხს სჯერა შესაძლებლობების ყველასთვის არსებობისა“,** — განაცხადა ობამამ. ამ დროს სოციოლოგების ხელთ არსებული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ **ამერიკელთა 64%-ს სჯერა — „ამერიკული ოცნება“ გარდაიცვალა საზოგადოებაში მზარდი უთანასწორობის გამო. ამერიკელთა 68% აცხადებს, რომ შემოსავლებს შორის სხვაობა ზრდას განაგრძობს, წლიური 50 ათას დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე გამოკითხულთა 73% თვლის, რომ ამერიკული ეკონომიკა სამართლიანობას მოკლებულია.**

ინდუსტრიალური შტატების ბავშვებს უფრო ნაკლები შანსი აქვთ, რომ სოციალურ კიბეზე წინ წაიწიონ, ვიდრე მათ თანატოლებს სხვა რეგიონებში. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მდგომარეობა და ამერიკელთა ხელფასი მშობლების კაპიტალზე დამოკიდებულია უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე ევროპულ ქვეყანაში. ამრიგად, **„ამერიკაში სოციალური ვერტიკალური მობილურობა მხოლოდ მითია,** — წერს The Huffington Post-ი. — **თანაბარი შესაძლებლობების არარსებობა გავლენას ახდენს მოტივაციაზე და ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოტენციალზე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მძიმე სოციალურ საფასურზე, რომელსაც უთანასწორება ბადებს — ძალადობასა და არასტაბილურობაზე“.**

### ტყუილი №2:
**საშუალო ფენის გაღატაკებაში უცხოეთია დამნაშავე**

ობამამ გამოაცხადა, რომ **„ტექნოლოგიების ცვლილებებმა და კონკურენციამ გლობალურ ბაზარზე განაპირობა საშუალო ფენისთვის სამსახურების გაქრობა“.** ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, მრავალი სამუშაო ადგილი, რომელიც ტრადიციულად ეხმარებოდა ადამიანებს, თავი დაეღწიათ სიღარიბისთვის, ახლა საკმარისად შემოსავლიანი აღარ არის. **ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხელფასების 7,5-ჯერ გაზრდის პირობებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 12-13-ჯერ გაიზარდა, საქონლისა და მომსახურების ზოგიერთი კატეგორიისთვის კი — 20-ჯერაც კი,** მაგრამ ამაში სულაც არაა დამნაშავე საზღვარგარეთი. ეს ეკონომიკის შიდა პრობლემებია, უფრო სწორად კი „სამომხმარებლო კრედიტირების ბუშტი“. გარდა ამისა, **პროცესს ამწვავებს თავად იმ ამერიკელების გაუცნობიერებლობა, რომელთაც დაკარგეს ნდობა პროფკავშირების მიმართ და აბსოლუტურად დაუცველნი დარჩნენ დამსაქმებლების წინაშე.**

### ტყუილი №3:
**მომუშავე ამერიკელებს შორის სიღარიბე იშვიათობაა**

თეთრი სახლის მეთაური თავის მიმართვაში შეეხო მზარდი სიღატაკის პრობლემასაც. **„არავინ, ვინც ყოველდღე მუშაობს, არ უნდა აცხოვრებდეს ოჯახს სიღარიბეში“,** — განაცხადა პრეზიდენტმა. ამ დროს ამერიკაში იმ მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ და ამის მიუხედავად მათი შემოსავალი საარსებო მინიმუმს ქვემოთ რჩება, 2013 წელს 9%-ს გაუტოლდა. უფრო მეტიც, ეს მაჩვენებელი განუწყვეტლივ იზრდება. **შემზარავი სურათი შეიქმნება, თუ ამ რაოდენობას დავუმატებთ იმ ამერიკელების რაოდენობას, რომლებიც ამჟამად უმუშევრები არიან და, მხოლოდ ოფიციალური მონაცემების თანახმად, 50 მილიონს შეადგენენ.**

### ტყუილი №4:
**აშშ ქალებისთვის თანასწორი შესაძლებლობების ქვეყანაა**

ობამამ ქალების მნიშვნელოვან როლზეც ისაუბრა. **„ისინი მთელი მომუშავე მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. ქალი იმსახურებს ღირსეულ ანაზღაურებას სამუშაოსთვის, რომელსაც კაცის თანასწორად ასრულებს“,** — განაცხადა პრეზიდენტმა. სამწუხაროდ, რაღაც თანასწორობა შეინიშნება პროფესიონალური იერარქიის ქვედა საფეხურებზე. მაგრამ **500 საუკეთესო ტოპმენეჯერის რეიტინგში „Fortune 500“ ქალები მხოლოდ 4%-ს შეადგენენ. თავად ობამას კაბინეტში ქალების რაოდენობა ზუსტად ისეთივეა, როგორიც 20 წლის წინ რონალდ რეიგანის პრეზიდენტობისას იყო.**

უფრო მეტიც, **მომუშავე ქალები, მიუხედავად საკუთარი განათლებისა, საშუალოდ ერთი მეოთხედით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე მამაკაცები იმავე პოზიციებზე.** მცირე შემოსავლის გამო და იმის გამოც, რომ გაუთხოვარი და გაცილებული ქალები მარტონი ზრდიან ბავშვებს, ისინი მამაკაცებზე გაცილებით უფრო ხშირად ცხოვრობენ ღარიბულად.

### ტყუილი №5:
**მინიმალური ანაზღაურება საარსებო მინიმუმის ტოლია**

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში პირობა დადო, რომ გაზრდის საარსებო მინიმუმს. **„ახლა ხელფასის მინიმალური ოდენობა ისეთია, რომ მისი საშუალებით 20%-ით ნაკლებს იყიდი, ვიდრე 20 წლის წინათ. ტომ ჰარკინმა და ჯონ მილერმა წარმოადგინეს კანონპროექტი, რომე-** ▶

# აშშ-ში ელექტროსკამი მოენატრათ

**შტატებში, სადაც სიკვდილით დასჯა მოქმედებს, ამჟამად გამოყენებადი სასიკვდილო ინიექციის ნაცვლად ტრადიციული მეთოდებით დასჯაზე გადასვლას ფიქრობენ. მალე, შესაძლოა, კვლავ დაიწყონ სიკვდილმისჯილების დახვრეტა, გაზის კამერაში გაგუდვა ან ელექტროსკამზე დახრუკვა.**



**ამჟამად აშშ-ში სიკვდილით დასჯას ელოდება 60 მსჯავრდებული, რაც 3100 სიკვდილმისჯილის დაახლოებით 2%-ს შეადგენს**

სიკვდილმისჯილთა მოკვდინების ძველებურ მეთოდებთან დაბრუნებაზე ფიქრი მთავრობას აიძულა სასიკვდილო ინიექციის დეფიციტმა და მისი შემცველი პრეპარატების საეჭვო ეფექტურობამ. კვლევების თანახმად, მრავალი დამნაშავე, რომელთაც შხამი გადაუსხეს, სიკვდილის წინ სასტიკად ეწამა. **ჰუმანურობისა და ეკონომიურობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამერიკელები ისევ გაზის კამერებსა და ელექტროსკამებთან დაბრუნებას ფიქრობენ.**

**„ეს 1850-იან წლებში დაბრუნების მცდელობა ან ველური დასავლეთი, ან რაიმე მსგავსი არ არის. უბრალოდ, ვცდილობ, მივაგნო გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე ჰუმანური იქნება და ასევე ყველაზე ეკონომიურიც ჩვენი შტატისთვის“,** — განაცხადა მისურის წარმომადგენელთა პალატის წევრმა რიკ ბრატინმა და იქვე დასძინა, რომ ამგვარი მეთოდი დახვრეტაა.

თავის მხრივ, მისურის გენერალურმა პროკურორმა გაზის კამერების აღდგენა მოითხოვა, ვაიომინგის დეპუტატი კი ამბობს, რომ სასიკვდილო ინიექციების არარსებობის შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა ელექტროსკამის გამოყენება.

**ამერიკაში ისეთი შემზარავი მეთოდი, როგორიც სიკვდილით დასჯაა, არც თუ ხშირად კიდევ უფრო უარეს სახეს იღებს. სულ ახლახან ტეხასში ხანში შესული შეურაცხადი ინვალიდი ქალი დასაჯეს სიკვდილით.**

59 წლის სიუზან ბასოს სიკვდილით დასჯა 1998 წელს საქმროს მოკვლის გამო შეეფარდა.

ბასო 2014 წლის დადგომიდან ტეხასში მეორე სიკვდილით დასჯილია და მე-14 ქალია სასიკვდილო განაჩენების სისრულეში მოყვანის მორატორიუმის გაუქმებიდან დღემდე. ქალს ფენობარბიტალის სასიკვდილო ინიექცია გაუკეთეს ადგილობრივი დროით 18:26 საათზე, ინიექციის გაკეთებიდან 11 წუთის შემდეგ იგი გარდაცვლილად აღიარეს.

1998 წელს სიუზან ბასომ თავისი საქმრო, ლუის მუსო, მოკლა. მან კაცი დაიყოლია, ნიუ-ჯერსიდან ტეხასში მასთან გადასულიყო საცხოვრებლად. ცნობილია, რომ მუსო ფსიქიური აშლილობით იყო ავად. ტეხასში გადასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ მისი სხეული ქალაქ ჰიუსტონის შემოგარენში არხში იპოვეს. იმისათვის, რომ გარეგნობა მაქსიმალურად დაემახინჯებინა და გვამის ამოცნობა შეუძლებელი გამხდარიყო, მკვლელმა მავთულებიანი ჯაგრისი და თაბაშირი გამოიყენა. მუსოს ნეკნები და თავი დამ- ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, აშშ-ში წელიწადში უფრო მეტი მკვლელობა ხდება, ვიდრე სხვა რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში. მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში 100 ათას მოქალაქეზე წელიწადში ერთი მკვლელობა ფიქსირდება, აშშ-ში ეს მაჩვენებელი ხუთჯერ მაღალია.**

◀ **ლიც ანაზღაურებას საათში 10,1 დოლარამდე ზრდის“,** — აღნიშნა ობამამ. სხვათა შორის, კვლევების თანახმად, ყველაზე იაფფასიან შტატ დაკოტაშიც კი საარსებო მინიმუმი საათში 10,2 დოლარს შეადგენს. ეს 10 ცენტით მეტია იმაზე, რისკენაც კონგრესმენები მიისწრაფვიან.

**სიღატაკის რეალური ზღურბლი კი უფრო მაღალია. ისინიც კი, ვინც საათში 10,5 დოლარს გამოიმუშავებენ, ხელფასიდან ხელფასამდე სულის მიტანის მეტს ვერაფერს ახერხებს. ექსპერტების ვარაუდით, საათში ანაზღაურება, სულ მცირე, 8 დოლარით მეტი უნდა იყოს, რომ მსყიდველუნარიანობით ხელფასი ამერიკის ოქროს საუკუნეს — 1960-იან წლებს გაუტოლდეს.**

ძნელია, არ დაეთანხმო რესპუბლიკური პარტიის სტრატეგთაგან ერთ-ერთს — ალექს კასტელანოსს: **„ბარაკ ობამას გამოსვლა ძალიან ჰგავდა სექსს — მასში ყველაზე საზიზღარი რამ არაჩვეულებრივად გამოიყურება“.**

ხუმრობა კარგია, მაგრამ დასკვნები — არც თუ კარგი. თუ ობამას წარმოდგენა არ აქვს ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე, მაშინ მკაცრად უნდა მოეკითხოს პასუხი მისი მრჩეველების მრავალრიცხოვან აპარატს, მაგრამ თუ იგი მთელ ამერიკელ ხალხს და ძირითადად გზავნილის ადრესატ საკონონმდებლო კორპუსს ჭკუასუსტად მიიჩნევს, ეს სხვა საკითხია.

არაა გასაკვირი, რომ ხალხი პრეზიდენტს იმავე პასუხს უბრუნებს. **ახლა ამერიკელებს უფრო ნაკლებად სწამთ მომავლის, ვიდრე ოდესმე. კონგრესისა და მთავრობის მიმართ ნდობა უკიდურესად დაბალია. გამონაკლისი არც თავად ობამაა.** პრეზიდენტის იანვრის რეიტინგი ძლივს ასცდა 40%-იან ნიშნულს. შედარებისთვის: რეიგანს პრეზიდენტობის მეხუთე წელს 62%-იანი რეიტინგი ჰქონდა, კლინტონს კი — 59%-იანი...

**fbii.org**

◀ ტვრეული ჰქონდა. საქმროს მოკვლის შემდეგ ბასო სადაზღვევო ანაზღაურებას მის სახელზე იღებდა.

**ადვოკატი უინსტონ კიკრანი სასამართლოს არწმუნებდა, რომ ქალი ფსიქიურად შეურაცხადია, რომ მას ჰალუცინაციები ტანჯავს, მაგრამ სასამართლომ მისი პოზიცია არ გაიზიარა და მკვლელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. თავად მსჯავრდებული სიბრმავეს და ნაწილობრივ პარალიჩს უჩიოდა, ინვალიდის ეტლით გადაადგილდებოდა, მაგრამ ესეც არავის გაუთვალისწინებია.**

**ამჟამად აშშ-ში სიკვდილით დასჯას ელოდება 60 მსჯავრდებული, რაც 3100 სიკვდილმისჯილის დაახლოებით 2%-ს შეადგენს. ტეხასში, რომელიც სასიკვდილო განაჩენების მხრივ ლიდერია, მორატორიუმის გაუქმებიდან ამ დრომდე სიკვდილით დაისაჯა ხუთი ქალი და 505 მამაკაცი.**

# ამერიკელები ერთმანეთს ხოცავენ

**ოჰაიოს შტატის დეფაიანსის ოლქში რამდენიმე დღის წინათ ოთხი მიცვალებული იპოვეს. პოლიციამ რობერტ გარზის, მისი მეუღლე ქრისტინას, ქალიშვილ ზოილის და შვილიშვილ რებეკას ცხედრები აღმოაჩინა. უკანასკნელად ისინი ცოცხლები ნახეს წინა დღეს. გამომძიებლებმა დაასკვნეს, რომ მამაკაცმა ჯერ ოჯახის წევრები ამოხოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა.**



**„მივიჩნევთ, რომ დანაშაულის ჩამდენი თავად რობერტია. მან ცეცხლსასროლი იარაღით დახოცა ოჯახის წევრები და შემდეგ თავი მოიკლა“,** — განაცხადა მასმედიასთან საუბრისას შერიფმა დევიდ უესტრიკმა. მისივე თქმით, მკვლელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, თუმცა, კონკრეტულად რა პრობლემებზეა საუბარი, არ დაუზუსტებია.

**იარაღთან თავისუფალი წვდომა და საზოგადოების აგრესიული მდგომარეობა მასობრივ მკვლელობებს აშშ-ში ჩვეულებრივ მოვლენად აქცევს, ამასთან, როგორც წესი, მშობლების განზრახვის ან დაუდევრობის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით ბავშვები იხოცებიან და სახიჩრდებიან.** იელის სამედიცინო კვლევის თანახმად, **აშშ-ში ყოველწლიურად საშუალოდ 3000 ბავშვი კვდება ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობების გამო.**

**იარაღის ხელმისაწვდომობის გამო კი ბავშვები ხშირად თავადაც ხდებიან დანაშაულის ჩამდენნი.**

ვაშინგტონის შტატის ქალაქ პუიალპში გასროლა მაშინ გაისმა, როდესაც სკოლის მოსწავლე მეგობრებთან თავისი იარაღით იწონებდა თავს. 12-დან 14-წლამდე ასაკის ოთხი ბიჭი სკოლის შემდეგ ერთ-ერთის სახლში შეიკრიბა. მასპინძელმა გადაწყვიტა, მეგობრებისთვის თოფი ეჩვენებინა და ბავშვებიდან ერთ-ერთის ხელში თოფმა გაისროლა. ტყვია 13 წლის ბიჭს მკერდში მოხვდა. მოგვიანებით ბავშვი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**ამჟამად აშშ-ის მოქალაქეებს სახლებში 270 მილიონზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი აქვთ. ცეცხლსასროლი იარაღის ადვილად ხელმისაწვდომობა, ლიცენზირების გააზრებული პოლიტიკის არარსებობა მუდმივად ტრაგიკული შემთხვევების საბაბი ხდება.**

გარდა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გახმაურებული ეპიზოდებისა, მაგალითად, 2012 წელს სენდი ჰუკის სკოლაში გაჩაღებული სასაკლაოს მსგავსი შემთხვევებისა, **ამერიკაში კვირა არ გავა, რომ გაუფრთხილებლობის გამო იარაღიდან გასროლით ვინმე არ მოკვდეს ან არ დაიჭრას. ნიუტაუნში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ცეცხლსასროლი იარაღით 12 წლამდე ასაკის 194 ბავშვი გარდაიცვალა.**

კიდევ ერთი შემთხვევა ჰავაიში მოხდა. საშუალო სკოლაში მომხდარი ინციდენტის გამო ჰონოლულუში ორი ადამიანი დაიჭრა. რუზველტის სახელობის სკოლაში 17 წლის მოზარდმა ცეცხლი გახსნა და ორი მოსწავლე დაჭრა. როდესაც სკოლაში სამართალდამცავები მივიდნენ, ბიჭი მათ დანით მივარდა. მან ერთ ოფიცერს ტრამვა მიაყენა და ორ სხვას დაარტყა. პოლიციელებმაც ცეცხლი გახსნეს და მოზარდი მაჯაში დაჭრეს. ჯერჯერობით უცნობია, რატომ ატეხა სროლა ბიჭმა სკოლაში.

ინდიანაში კი უნივერსიტეტის სტუდენტმა მასწავლებლის ასისტენტი გამოასალმა სიცოცხლეს. პერდიუს უნივერსიტეტში ატეხილ სროლას სხვა არავინ ემსხვერპლა — სტუდენტი პირდაპირ შევიდა აუდიტორიაში და 21 წლის ენდრიუ ბოლდტს ესროლა. გარდა ტყვიისა, ბოროტმოქმედმა მსხვერპლს დანითაც მიაყენა რამდენიმე ჭრილობა.

პოლიციამ მკვლელი უნივერსიტეტის შენობის მახლობლად დააკავა. ეს 23 წლის კოდი კაზნსი აღმოჩნდა, რომელიც თავადაც ასისტენტად მუშაობდა. დანაშაულის ჩადენის მიზეზები ცნობილი არ არის.

**ცეცხლსასროლი იარაღის გარეშეც არანაკლებ სისასტიკეს სჩადიან ამერიკელები — კალიფორნიაში ქალმა საკუთარი სამი წლის შვილი მოკლა.**

**დააკავეს ახალგაზრდა წყვილი, რომელიც საკუთარ შვილს აწამებდა. ცემისა და სექსუალური ძალადობის შედეგად გოგონა გარდაიცვალა.**

**სამი წლის კაილეი სლაშერი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. ბავშვის სხეულზე აღმოაჩინეს ბლაგვი საგნით მიყენებული ტრამვები და ძალადობის კვალი.**

იმ დილით მოწმეებმა დაინახეს, რომ გოგონას დედა, 23 წლის სარა კრიუგერი, და მისი ბოიფრენდი, 26 წლის სკოტ უორნერი, აიბარგნენ და ნაჩქარევად დატოვეს სახლი. ამის შემდეგ პოლიციაში ანონიმური ზარი შევიდა. ადგილზე მისულმა ჯგუფმა გოგონას გარდაცვალება დაადასტურა და ოჯახურ წყვილზე ძებნა გამოაცხადა.

მეორე დღეს ექვმიტანილები ელ ჩერიტოს სარკინიგზო სადგურზე დააკავეს და ნაპას ოლქის ციხეში მიიყვანეს.

გოგონას ბიოლოგიური მამა ამჟამად სასჯელს იხდის სან-კვენტინის ციხეში, მას მომხდარის შესახებ აცნობეს. სარას მეზობლები და მეგობრები, მისი ნახევარდა სავანა ფანჯულიც ქალს მოსიყვარულე დედად ახასიათებენ და არ შეუძლიათ იმის წარმოდგენა, რომ მან რაღაც ამგვარის ჩადენა შეძლო.

ამავე დროს მეზობლები და სახლის მმართველი იტყობინებიან, რომ სარას სახლში ბოიფრენდის გადასახლებიდან ათი თვის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ტრაგედიამდე ორ-ნახევარი კვირით ადრე მმართველი მათ სახლიდან გაძევებითაც კი დაემუქრა. ბავშვის ჯანმრთელობის გამო შეშფოთებულმა მეზობლებმა არაერთხელ გამოიძახეს პოლიცია, რადგან არაერთხელ გახდნენ სკანდალებისა და ღამის ღრეობების მოწმენი. თვითმხილველთა მტკიცებით, სარას ბოიფრენდს ბავშვი არ მოსწონდა.

**ამერიკული უფლებადამცველი ორგანიზაცია CHILDHELP-ის განცხადებით, აშშ-ში სასტიკი მოპყრობის გამო ყოველდღიურად 4 ბავშვი კვდება, უფრო მეტად ოთხ წლამდე ასაკისანი.**

დედები მხოლოდ მცირეწლოვან ბავშვებს არ უსწორდებიან ასე სასტიკად. მიჩიგანის შტატის ქალაქ სეინტ კლერ შპრსის პოლიცია ადგილობრივი 32 წლის მცხოვრების მკვლელობის საქმეს იძიებს. კაცი საკუთარმა დედამ მოკლა, შემდეგ მისი სხეული დაანაწევრა და ნაგვის პარკებით გზაზე დაყარა.

მკვლელი 59 წლის დონა სკრივოა. 27 იანვარს მან თავად განაცხადა შვილის დაკარგვის თაობაზე. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის შემოგარენში პოლიციამ სხეულის ნაწილების პოვნა დაიწყო. სულ იპოვეს სხეულის ნაწილებით სავსე ოთხი ტომარა და ერთი ტომარა, რომელშიც მსხვერპლის ტანსაცმელი და პირადი ნივთები ეწყო.

სასტიკი მკვლელობის საქმე გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადაეცა. მსხვერპლის ვინაობა თითის ანაბეჭდებით დადგინდა — ეს უგზოუკვლოდ დაკარგული რემსი სკრივო აღმოჩნდა. რამდენიმე თვითმხილველმა განაცხადა, რომ დაინახეს ქალი, რომელიც ჯიპის ფანჯრიდან ყრიდა ტომრებს. დამნაშავის დადგენა მოხერხდა ბენზინგასამართი სადგურის ვიდეოკამერის ჩანაწერის წყალობით.

ყოფილი მედდა დონა სკრივო დააკავეს. გაირკვა, რომ ერთი წლის წინ, მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაეცვალა და სახლი ხანძრის შედეგად დაეწვა, ქალი საცხოვრებლად შვილთან გადავიდა.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, აშშ-ში წელიწადში უფრო მეტი მკვლელობა ხდება, ვიდრე სხვა რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში. მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში 100 ათას მოქალაქეზე წელიწადში ერთი მკვლელობა ფიქსირდება, აშშ-ში ეს მაჩვენებელი ხუთჯერ მაღალია.**

ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური შტატი ბოლო დროს მიჩიგანი გახდა. აქ მკვლელობების რაოდენობამ 100 ათას ადამიანზე 7-ს მიაღწია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ძალადობის ზრდას განაპირობებს ეკონომიკური ვარდნა, რომელსაც მიჩიგანი განიცდის. 2013 წელს შტატის ერთ დროს უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი, დეტროიტი, გაკოტრებულად აღიარეს.

**აშშ-ში ყოველწლიურად საშუალოდ 3000 ბავშვი კვდება ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობების გამო**




**ამერიკული უფლებადამცველი ორგანიზაცია Childhelp-ის განცხადებით, აშშ-ში სასტიკი მოპყრობის გამო ყოველდღიურად 4 ბავშვი კვდება, უფრო მეტად ოთხ წლამდე ასაკისანი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ კალაი-ჯანგის ბრძოლაში ნატოს ჯარებმა 500-მდე მებრძოლი დაკარგეს. ეს ოპერაცია „უძლეველი თავისუფლების“ პირველი მსხვერპლი იყო, რომელმაც ამერიკელებს აჩვენა, რომ ომი კომპიუტერული თამაში არ არის და მას რეალური სისხლი, დედების რეალური ცრემლები მოჰყვება...**

# კალაი-ჯანგი: ამერიკელების სამარცხვინო დღე ავღანეთში

**2001 წლის ნოემბერში ავღანეთში დაიწყო სპეცოპერაცია „უძლეველი თავისუფლება“, რომლის მიზნადაც გამოცხადდა უსამა ბენ ლადენის შეპყრობა, სინამდვილეში კი — მთელი ქვეყნის ოკუპაცია. მიღებულია, ითვლებოდეს, რომ მაღალი სიზუსტის იარაღმა საკუთარი საქმე გააკეთა და ომის ცხელი ფაზა საკმაოდ სწრაფად დასრულდა თალიბების დამარცხებით. მაგრამ, როგორც ირკვევა, სინამდვილეში ჩვენ არაფერი ვიცით ამ ომის შესახებ. ამის დასტურად მხოლოდ იმ ერთი ბრძოლის სისხლისმღვრელი ეპიზოდებიც კმარა, რომელთა დროსაც თალიბების ჯგუფმა კალაი-ჯანგის ციხესიმაგრეში ამბოხი მოაწყო და ამერიკული ჯარების მთელ დაჯგუფებას გაუწია წინააღმდეგობა.**



**2001 წლის ნოემბერი.** ავღანეთში ნატოს ჯარების სარდლობა იწყებს სახმელეთო ოპერაციას „უძლეველი თავისუფლება“. 9 ნოემბერს ნატოს ჯარისკაცებმა ლამის უბრძოლველად აიღეს პირველი მსხვილი ქალაქი მაზარი შარიფი. 13 ნოემბერს თალიბებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს ნატოელებს ქაბული. ნატოს ჯარების მიმართ წინააღმდეგობის ცენტრად იქცა ქალაქი კუნდუსი. ამერიკული დაზვერვის მონაცემების თანახმად, კუნდუსში 30 ათასზე მეტი კბილებამდე შეიარაღებული თალიბი იყო გამაგრებული.

ქალაქის შტურმი ლამის მთელ კვირას გაგრძელდა. ამის შემდეგ თალიბებმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს და დანებდნენ. ეთნიკურ ავღანელებს, რომლებიც იარაღის დაყრაზე თანხმდებოდნენ, ნატოს სამხედროები ხელშეუხებლობას ჰპირდებოდნენ და სახლებში დაბრუნების ნებას აძლევდნენ. ტყვედ მხოლოდ უცხოელ დაქირავებულებს იყვანდნენ.

24 ნოემბერს ყველა დაპატიმრებული პირი გადაიყვანეს შუასაუკუნოვან ციხესიმაგრე კალაი-ჯანგში.

**იგორ ხოხლოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი:**

**— ვიცით, რომ იმ ბოევიკებს შორის, რომლებიც ციხეში იმყოფებოდნენ და რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 500 ადამიანს შეადგენდა, ფაქტობრივად არ იყვნენ ეთნიკური ავღანელები. იქ იყვნენ ჩრდილოკავკასიელები, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებიც ჩრდილოეთ ალიანსის მებრძოლებმა შეარჩიეს ცსს-ს თანამშრომლების ზედამხედველობითა და კონტროლირებით.**

ნატოს სპეცოპერაციის ხელმძღვანელი პენტაგონს ანგარიშს აბარებდა: **„უძლეველი თავისუფლება“ პრაქტიკულად დასრულებულია. თალიბები დაგვნებდნენ და ახლა მოლაპარაკებებს აწარმოებენ ნომერ პირველი ტერორისტის — უსამა ბენ ლადენის გადმოცემასთან დაკავშირებით“.** ამ დროს ამერიკელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ იმავე დღის საღამოს 600 ტყვე თალიბი კალაი ჯანგის ციხეში ნამდვილ ამბოხს მოაწყობდა.

ეს წარმოუდგენელია, მაგრამ უიარაღო პატიმრები დახოცავენ ყველა მცველს, ხელში ჩაიგდებენ კარგად დაცულ ციხეს და მასში თითქმის მთელი კვირის მანძილზე შეძლებენ გამაგრებას. ტყვე თალიბების ამბოხი კალაი-ჯანგის ციხესიმაგრეში მხოლოდ დასაწყისი იქნება გაწელილი სისხლიანი კონფლიქტის ისტორიაში.

**2001 წლის 25 ნოემბერი.** კალაი-ჯანგის ციხეში ტყვეების დასაკითხად დილაადრიან ცსს-ს აგენტები ჩავიდნენ. ისინი დაკითხვას შეუდგნენ და მცველებს უბრძანეს, სარდაფებიდან, სადაც თალიბები ჰყავდათ დამწყვდეული, 20-20 ადამიანი ამოეყვანათ. პატიმრებს მუხლებზე აყენებდნენ და ხელებს ზურგს უკან უკრავდნენ, მაგრამ თალიბები უარს აცხადებდნენ რაიმე ჩვენების მიცემაზე. მათ არ ესმოდათ, თუ რას სურდათ მათგან ამერიკელებს. დაქირავებული მებრძოლები დაკითხვებზე დუმდნენ.

ამ დუმილის საპასუხოდ **ცსს-ს აგენტებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს და ტყვეების ცემა დაიწყეს. გაიგეს რა ამის შესახებ, სარდაფებში დარჩენილმა თალიბებმა ამბოხი დაიწყეს.**

მოგვიანებით გაირკვა, რომ დაკავების დროს ერთ-ერთმა ტყვემ მოახერხა, ჯიბეში ხელყუმბარა დაემალა. როგორც კი აფეთქების ხმა გაისმა, თალიბებმა პანიკით ისარგებლეს, თავს დაესხნენ მცველებს და ავტომატები წაართვეს. ამის შემდეგ გადარეული ბრბო ქუჩაში გაიჭრა.

**ავღანეთის ნაციონალური არმიის სამხედრო მოსამსახურე:**

**— ორმა მათგანმა ქუჩაში ჩვენი ჯარისკაცი მოკლა. მას**

## ცსს-ს აგენტებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს და ტყვეების ცემა დაიწყეს. გაიგეს რა ამის შესახებ, სარდაფებში დარჩენილმა თალიბებმა ამბოხი დაიწყეს

**ჯერ ავტომატი წაართვეს, შემდეგ კი ყუმბარები ესროლეს.**

ერთი საათის შემდეგ თითქმის მთელი ციხესიმაგრე თალიბების კონტროლს ექვემდებარებოდა. მაგრამ, რაც მთავარია, მათ მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ არსენალი, სადაც ინახებოდა იარაღი — ნაღმმტყორცნები, ყუმბარმტყორცნები და ავტომატები.

თანამგზავრული კავშირის საშუალებით ცსს-ს აგენტებმა მოახერხეს, მომხდარის შესახებ აშშ-ში გადაეცათ ინფორმაცია. 15 წუთის შემდეგ კალაი ჯანგში გამოჩნდა სპეცრაზმი და არტილერია. ნატოს სამხედროებს ესმოდათ, რომ ვიდრე თალიბები იარაღის საცავს აკონტროლებდნენ, ციხესიმაგრის შტურმით აღება უაზრობა იყო. ამ შემთხვევაში შეიარაღებული ტყვეები წარმატებით მოიგერიებდნენ ნებისმიერ შეტევას.

**იგორ ხოხლოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი:**

**— ამგვარი ციხესიმაგრეები, ეს თიხით ნაგები შენობა, განსაკუთრებით რთული ბრძოლის ველია თვით სპეცდანიშნულების რაზმებისთვისაც კი. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც კარგად იცნობს ამ სახის ნაგებობებს, ასევე იმ ბოევიკებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ომობდნენ ავღანეთში, შეუძლიათ ასეთი ობიექტი მრავალი თვის განმავლობაშიც კი შეინარჩუნონ. ამ სიტუაციაში თვალნათელია, რომ შტურმი ძალზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი იქნება.**

მაშინ ნატოს სამხედროებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ჯერ გაენადგურებინათ იარაღის არსენალი ბომბის ერთი ზუსტი დარტყმით, შემდეგ კი შტურმზე გადასულიყვნენ. სპეცრაზმელებმა დაადგინეს საბრძოლო მასალებით სავსე საწყობის ზუსტი კოორდინატები და შტაბს გადასცეს. ხუთი წუთის შემდეგ ბომბდამშენმა Hornet f18-მა ციხესიმაგრეს პირდაპირი განადგურების 300-კილოგრამიანი ბომბი ესროლა.

## ბომბდამშენმა Hornet f18-მა ციხესიმაგრეს პირდაპირი განადგურების 300-კილოგრამიანი ბომბი ესროლა. ერთმანეთის მიყოლებით რვა ბომბი აფეთქდა, იარაღის არსენალს ერთი ბომბიც არ მოხვედრია



ასე გაგრძელდა 15 წუთის განმავლობაში. ერთმანეთის მიყოლებით რვა ბომბი აფეთქდა ციხესიმაგრის სამხრეთ ნაწილში. როგორც კი კვამლი გაიფანტა, ამერიკელ სპეცრაზმელებს თავზარი დაეცათ — იარაღის არსენალს ერთი ბომბიც არ მოხვედრია.

**ალექს პერი, სამხედრო ჟურნალისტი:**

**— ზოგიერთი ბომბი სამიზნესთან ახლოს ჩამოვარდა, ზოგიც — მოშორებით, ერთი კი საერთოდ ციხესიმაგრის კედლებიდან შორს აფეთქდა. საოცარია, მაგრამ თავად არსენალს არც ერთი არ მოხვედრია.**

მაშინ ნატოს ძალების სარდლობამ გასცა ბრძანება — მიწასთან გაესწორებინათ ფორტ კალაი-ჯანგი ისე, რომ იქ მყოფთაგან არავინ დაენდოთ. ციხესიმაგრისკენ გაფრინდა თვითმფრინავები AC130. მათ ციხესიმაგრეს უწყვეტი ცეცხლი გაუხსნეს. დაბომბვის შემდეგ ციხეში დარჩენილმა თალიბებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მეორე დილით, როდესაც აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა კვლავ სცადეს ციხესიმაგრეში შეღწევა, ტყვე თალიბები მათ ტყვიამფრქვევებისა და ნაღმმტყორცნების ცეცხლით შეხვდნენ.

ისინი არა მხოლოდ გადარჩნენ, არამედ განაგრძეს თავდაცვა!

ამის შემდეგ ამერიკელმა სამხედროებმა ახალი გადაწყვეტილება მიიღეს — ამჯერად კალაი-ჯანგს ესვრიან მსოფლიოში ყველაზე მძლავრ 900-კილოგრამიან ჭურვს.

**ბომბის ჩამოვარდნის შემდეგ ციხესიმაგრის მთელი ეზო მოფენილი იყო ტყვე თალიბების გვამებით. ნატოელების ვარაუდით, სამდღიანი დაბომბვების შედეგად ციხეში არანაკლებ 300 ადამიანი, ანუ თალიბების ნახევარზე მეტი დაიღუპა.**

**მაშინ მეთაურობამ ციხესიმაგრის შტურმის დაწყება გადაწყვიტა. თალიბები კი კვლავ ცეცხლით დახვდნენ სპეცრაზმელებს. ცოცხლადგადარჩენილი ტყვეები ერთ-ერთი შენობის კარგად გამაგრებულ სარდაფში ჩამალულიყვნენ. ეს სარდაფი მათთვის ნამდვილ თავშესაფრად იქცა დაბომბვებისას.**

მაშინ მეთაურობამ სპეცრაზმს უბრძანა, აეღოთ კალაი-ჯანგი ნებისმიერ ფასად. ტყვე თალიბები თითოეული კვადრატული მეტრისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ. თვითმხილველთა ნაამბობის მიხედვით, მესამე ▶

**ქაბულის ახლანდელი რეჟიმის პირველი პირები გაყიდული კორუფციონერების ჯგუფს წარმოადგენენ და პირადად არიან ჩართულნი ნარკობიზნესში. ამიტომაცა, როდესაც ნატო ჯარების გაყვანას დაასრულებს, ავღანეთში ოპიუმის წარმოება კიდევ უფრო აყვავდება, ქვეყანაში არსებული მძიმე სიტუაცია კი კიდევ უფრო დამძიმდება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ჯონ ლინდი

◀ დღის ბოლოსთვის სპეცრაზმელებს თალიბებთან ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ. მხოლოდ საღამოს მოახერხა ნატოს არტილერიამ ზუსტი დარტყმის მიყენება თალიბების თავშესაფრისთვის.

**იგორ ხოხლოვი:**

**— საქმე ისაა, რომ რაც არ უნდა თავგანწირულნი ყოფილიყვნენ თალიბები, როგორი მომგებიანი პოზიციაც არ უნდა ჰქონოდათ, მოწინააღმდეგე, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა დისტანციური განადგურების საშუალებებთან და საჰაერო დარტყმების მიყენების შესაძლებლობებთან, ადრე თუ გვიან მაინც გაიმარჯვებდა ამ დაპირისპირებაში. ელემენტარულად, ამას მისი ტექნიკური უპირატესობა განაპირობებდა.**

**28 ნოემბერი. შტურმის მეოთხე დღე.** დილით ადრე კალაი-ჯანგის ციხესიმაგრეში პირველად შეუშვეს ჟურნალისტები და ექიმები. მაგრამ, როგორც კი სანიტრებმა დანგრეულ სარდაფში შესვლა სცადეს, ტყვეებმა კვლავ ცეცხლი გახსნეს. ისინი „წითელი ჯვრის" ექიმებს ავტომატის ჯერითა და ყუმბარების აფეთქებით შეხვდნენ.

**იგორ ხოხლოვი:**

**— ბოევიკები ბოლომდე ცდილობდნენ თავდაცვას. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ ციხიდან ცოცხლები ვერ გააღწევდნენ. უფრო მეტიც, არავინ იყო დაინტერესებული მათი ცოცხლად აყვანით.**

**იმისათვის, რომ შტურმი მალე დაესრულებინათ, ნატოელმა სამხედროებმა ეშმაკობას მიმართეს. მათ სარდაფში, სადაც ტყვე თალიბები იყვნენ, ცივი წყალი ჩაუშვეს. ნატოელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დილამდე ყველა თალიბი გაიყინებოდა და სულს გააფრთხობდა.**

**29 ნოემბერი. შტურმის მეხუთე დღე.**

დილით სარდაფში კვლავ ჩაუშვეს ჟურნალისტები და ექიმები. ის, რაც მათ საკუთარი თვალით დაინახეს, წარმოუდგენელი იყო: ყველა თალიბი — დაახლოებით 70 ადამიანი — გადარჩა, თუმცა წინააღმდეგობის გასაწევად მათ უკვე ძალა აღარ შესწევდათ.

მაგრამ ყველაფერი არც ამით დამთავრებულა. **კალაი ჯანგის ციხესიმაგრის სარდაფში ამერიკელ სამხედროებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ — გადარჩენილ ტყვეებს შორის მათ აღმოაჩინეს ადამიანი, რომელიც ამბობდა, რომ ამერიკელია.**

იგი 20 წლის ჯონ ლინდი აღმოჩნდა და მართლაც ამერიკის მოქალაქე იყო. ამერიკული დაზვერვის ინფორმაციით, ლინდმა კალიფორნიაში დაამთავრა კოლეჯი, სწავლის დასრულებისთანავე მიიღო ისლამი, ექსტრემისტი გახდა და ვითომდა 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზებაშიც კი იღებდა მონაწილეობას, თუმცა თავად ლინდი ამ ყველაფერს ამ დრომდეც უარყოფს და ირწმუნება, რომ თალიბების დაქირავებულებთან არანაირი კავშირი არ აქვს, კალაი-ჯანგის ციხესიმაგრეში ძალით წაიყვანეს და ბუნტის დროს ერთი ტყვიაც კი არ უსვრია.

ექსპერტები ეთანხმებიან მას, რომ ნამდვილად არაფერ შუაშია. კალაი-ჯანგში იგი შტურმის დაწყების შემდეგ მიიყვანეს და, სავარაუდოდ, ეს თავად ამერიკელებმა გააკეთეს, რათა როგორმე გაემართლებინათ ტყვეებთან უსასტიკესი ანგარიშსწორება. ჟენევის კონვენციის მიხედვით, ნატოს სამხედროებს უფლება არ ჰქონდათ, ტყვეები დაკითხვების დროს ეცემათ და მით უმეტეს — დაებომბათ მათი სამყოფელი.

მაშ, რის წინააღმდეგ აჯანყდნენ ტყვეები სინამდვილეში? ვინაა პასუხისმგებელი ციხესიმაგრეში სისხლისმღვრელ ჟლეტაზე?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა პენტაგონს ამ დრომდეც არ შეუძლია.

**მხოლოდ კალაი-ჯანგის ბრძოლაში ნატოს ჯარებმა 500-მდე მებრძოლი დაკარგეს. ეს ოპერაცია „უძლეველი თავისუფლების" პირველი მსხვერპლი იყო, რომელმაც ამერიკელებს აჩვენა, რომ ომი კომპიუტერული თამაში არ არის და მას რეალური სისხლი, დედების რეალური ცრემლები მოჰყვება...**

**РЕН ТВ,**
**„Военная тайна с Игорем Прокопенко"**



# ავღანეთი, როგორც ცსს-ს დამხმარე მეურნეობა

**აშშ-ის სტრატეგია ავღანეთში ნარკოტიკების წარმოების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით თავიდანვე წამგებიანი იყო. მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ყაყაჩოს პლანტაციებზე ამერიკის დამარცხების შესახებ საუბარი უბრალოდ უადგილოა.**



რამდენიმე დღის წინ ავღანეთის რეკონსტრუქციების საკითხების აშშ-ის გენერალურმა ინსპექტორმა ჯონ სოპკომ ტელეკომპანია CNN-ს უამბო, რომ **100 მილიარდზე მეტი დოლარიდან, რაც ქვეყნის აღდგენაზე დაიხარჯა, დაახლოებით ათი მილიარდი სწორედ ნარკოტიკების წარმოების წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდა.** ინსპექტორის სიტყვებიდან გამომდინარე, **ეს ფული ავღანურ ქვიშაში ჩაიღვარა.** თუ ვიმსჯელებთ ნარკოკულტურას, ნარკოტიკების წარმოებასა და ბოევიკების მოქმედებას შორის კავშირების დასარღვევად გაწეული ძალისხმევის შედეგებით, „ხსენებული სამივე მაჩვენებელი იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენ მარცხი ვიგემეთ", — განაცხადა ჯონ სოპკომ.

**აშშ-ის ანტინარკოტიკული პოლიტიკის მარცხი ავღანეთში განპირობებული იყო, პირველ რიგში, იმით, რომ ამერიკელებმა დასაწყისშივე არასწორი სტრატეგია აირჩიეს.** ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნევს **თანამედროვე ავღანეთის შემსწავლელი ცენტრის ექსპერტი დიმიტრი ვერხოტუროვი:**

**„საქმე ისაა, რომ ისინი წმინდად პოლიციურ მიდგომას მიმართავენ, ანუ ცდილობენ, აკრძალონ წარმოება, გაანადგურონ ნათესები, დაიჭირონ ყველა, ვინც მონაწილეობს ნარკოტიკების წარმოებასა და გადაზიდვებში. არადა, ნარკოტიკები ყველაზე ადვილად მარცხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზით. ეს იმას გულისხმობს, რომ, რაც მეტია სამუშაო ადგილები, რაც მეტია ლეგალურად მუშაობის საშუალებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მით ნაკლებია ნარკოტიკების წარმოება.**

**ავღანეთის ეკონომიკური განვითარება არ წავიდა შვიდმილიანი ნაბიჯებით და შედეგად ამერიკელებმა მარცხი განიცადეს.**

**გლეხები, რომლებიც ცხოვრობენ ძნელად მისადგომ რაიონებში, სადაც არ არის ირიგაცია, ელექტროფიკაცია, არ არსებობს ფულის გამომუშავების რაიმე სხვა საშუალება, არ ხერხდება სხვა კულტურების მოყვანა, იქ, შესაბამისად, მოჰყავთ ნარკოტიკები, რომ იარსებონ".**

ძალზე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ავღანეთში ყაყაჩოს მოყვანიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი დიზელგენერატორებისთვის საწვავის შესაძენად იხარჯება. გენერატორები აუცილებელია ცალკეული სახლების ელექტროენერგიით მომარაგებისთვის. ამასთან, გამოვლინდა კანონზომიერება: **იმ რაიონებში, რომლებშიც ელექტრიფიკაცია განხორციელდა, ნარკოწარმოების დონემ მკვეთრად იკლო.**

## აშშ-ის ანტინარკოტიკული პოლიტიკის მარცხი ავღანეთში განპირობებული იყო, პირველ რიგში, იმით, რომ ამერიკელებმა დასაწყისშივე არასწორი სტრატეგია აირჩიეს

**იმისათვის, რომ სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალოს, ავღანეთისთვის აუცილებელია ინდუსტრიალიზაცია.** ამ მოსაზრებას იზიარებენ ექსპერტები. **თავიდან ეს განაპირობებს მოსახლეობის გადანაცვლებას სოფლებიდან ქალაქებისკენ. გაიზრდება შრომის ანაზღაურება და, შესაბამისად, ცხოვრების დონეც.**

თავის მხრივ, ქალაქები მარცვლოვანი კულტურებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მსხვილი მომხმარებლები არიან. ავღანელი გლეხებისთვის ბევრად უფრო მომგებიანი იქნება, ოპიუმის ყაყაჩოს ნაცვლად სოფლის მეურნეობის პროდუქტები მოიყვანონ, მაგრამ ასე მხოლოდ იდეალურ სცენარში წერია, სინამდვილეში კი ყველაფერი სულ სხვაგვარადაა.

**რეალურად, გაეროს მონაცემებით, დღეისათვის ავღანეთში ყაყაჩოს ნათესები ფართობით აღემატება კოკაინის პლანტაციების საერთო ფართობს კოლუმბიაში, პერუსა და ბოლივიაში. ავღანური მიწოდებები 90%-ზე მეტით აკმაყოფილებენ ოპიუმის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებებს.**

როგორც ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის რუსეთის ფედერალური სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა აღნიშნა, **2001 წელს ავღანეთში აშშ-სა და ნატოს შეჭრის მომენტიდან ჰეროინის წარმოება 40-ჯერ გაიზარდა.** მიახლოებული გათვლებით, **ავღანეთის ყაყაჩოს მინდვრები და ჰეროინის ლაბორატორიები ყოველწლიურად 18-მილიარდიან მოგებას „გამოიმუშავებენ".** ასე რომ, აშშ-ის ბიუჯეტის მიერ ავღანეთში ადგილობრივ ნარკობიზნესთან ბრძოლის 13 წლის განმავლობაში დახარჯული 10 მილიარდი არა მხოლოდ არადამაჯერებლად, უცნაურადაც კი აღიქმება. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ პერიოდულად ხან სად და ხან სად ატყდება ხოლმე სკანდალი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ნარკოტრაფიკთან აშშ-ის სპეცსამსახურების უშუალო კავშირების შესახებ.

ისტორიკოსი და პუბლიცისტი კონსტანტინე პენზევი თავის ნაშრომში „აშშ-ის როლი მსოფლიო ნარკოვაჭრობის ორგანიზებაში" განიხილავს ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის დროიდან მოყოლებულ ფაქტებს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნარკობიზნესში მონაწილეობის შესახებ. სხვა ფაქტებთან ერთად მოყვანილია 1996 წელს მომხდარი შემთხვევა, როდესაც ლოს-ანჯელესის პოლიციის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ოფიცერმა მაიკლ რუპერტმა ცსს აშშ-ის ტერიტორიაზე ნარკოტიკების მოწოდების გამო დაადანაშაულა. ამ მხილებიდან ერთი თვის შემდეგ ცსს-ს იმდროინდელი ხელმძღვანელი ჯონ დეიჩი თანამდებობიდან გადადგა.

**კანადელმა ყოფილმა დიპლომატმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა პიტერ დეილ სკოტმა La Tribune-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ საერთაშორისო ნარკოტრაფიკთან ცსს-ს კავშირი ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში, ისევე, როგორც მასმედიაში, აკრძალული თემაა.**

ამ ყველაფრის პარალელურად **ავღანეთში აშშ-ის სამხედრო დასწრებასა და ავღანური ნარკობიზნესის აყვავებას შორის უცნაურ ურთიერთკავშირს ყოველგვარი აღიარებებისა და სკანდალების გარეშე ადასტურებს მშრალი სტატისტიკა.**

**2000 წლის ივლისში თალიბებმა მოსახლეობას ყაყაჩოს დათესვა აუკრძალეს. მომდევნო წელს ქვეყანამ მსოფლიო ნარკობაზარს სულ რაღაც 185 ტონა ნედლი ოპიუმი შეჰმატა. სამაგიეროდ 2002 წელს, ანუ აშშ-ის შეჭრიდან ერთ წელიწადში, ავღანეთში უკვე 2700 ტონა ნედლი ოპიუმი მიიღეს, 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 6 ათას ტონას მიაღწია.**

რამდენიმე ხნის წინ კვლევით ცენტრ New World Strategies Coalition-ის პრეზიდენტმა ჰალილ ნურიმ გამოთქვა აზრი, რომ **ქაბულის ახლანდელი რეჟიმის პირველი პირები გაყიდული კორუფციონერების ჯგუფს წარმოადგენენ და პირადად არიან ჩართულნი ნარკობიზნესში.** ამიტომაც, როდესაც ნატო ჯარების გაყვანას დაასრულებს, ავღანეთში ოპიუმის წარმოება კიდევ უფრო აყვავდება, ქვეყანაში არსებული მძიმე სიტუაცია კი კიდევ უფრო დამძიმდება.

თუმცა ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ ამერიკელები ავღანეთში დარჩებიან. თუ ვივარაუდებთ, რომ ნარკოტიკების წარმოების „აღსაკვეთად" წარუმატებელ მცდელობებზე დახარჯული 10 მილიარდი დოლარი დაკარგული კი არა, მხოლოდ ინვესტიციის ნაწილია, მაშინ აშშ-ს აბსოლუტურად არაფერში სჭირდება ავღანეთიდან წასვლა. ამ შემთხვევაში ხომ ცსს-ს დამხმარე მეურნეობა სათანადო მეთვალყურეობის გარეშე დარჩება.

**rus.ruvr.ru**

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რომის კლუბმა“ ჯერ კიდევ 1986 წელს დაადგინა და განვითარებად ქვეყნებში ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტი შეჩერდა. ატომური ელექტროსადგურების წყალობით, რომლებიც იაფ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მექსიკა „ლათინოამერიკული გერმანია“ გახდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება კატასტროფა იქნებოდა შეთქმულთათვის, რომლებმაც 1991 წელს ბირთვული ტექნოლოგიების ყველანაირი ექსპორტი შეაჩერეს, გარდა იმისა, რომელიც ისრაელისთვის იყო განკუთვნილი.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (236-240)

**როგორც ხშირად ვამტკიცებდი, გვაიძულეს დაგვეჯერებინა, რომ ამ პრობლემის ფესვები მოსკოვშია. ტვინის გაძლიერებული გამორეცხვის შედეგად ჩვენ მართლაც დავიჯერეთ ის, რომ კომუნიზმი ამერიკისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. რეალურად საქმე სულ სხვაგვარადაა: ყველაზე დიდი საფრთხე ჩვენსავე რიგებში მყოფი მოღალატეთა მასიდან მოდის. ჩვენი კონსტიტუცია მოგვიწოდებს, მტრები ჩვენსავე სახლში გამოვავლინოთ. ჩვენი მტრები „300-თა კომიტეტის“ მოსამსახურეები არიან, რომლებიც ჩვენი მმართველობის ორგანოების სტრუქტურებში მაღალ პოსტებს იკავებენ. სწორედ შეერთებულ შტატებში უნდა შევეწინააღმდეგოთ სიბნელეს, რომელიც შთანთქმით გვემუქრება; ზუსტად აქ უნდა ვამხილოთ და გავანადგუროთ შიდა შეთქმულები.**



„რომის კლუბი“ ასევე პირდაპირ მონაწილეობდა სალვადორში 25-წლიანი ომის გაჩაღებაში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, ელიოტ აბრამსის მიერ შედგენილი, ბევრად უფრო ვრცელი გეგმის განუყოფელი ნაწილი იყო. სალვადორელ მეამბოხეთა „ბოლო შეტევას“, რომელიც, საბედნიეროდ, წარმატებით არ დასრულდა, „300-თა კომიტეტის“ წევრი, სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი და დასავლეთ გერმანიის ყოფილი კანცლერი ვილი ბრანდტი აფინანსებდა. **სალვადორი კომიტეტის მიერ ცენტრალური ამერიკის ახალი ოცდაათწლიანი ომის ზონად გადასაქცევად გამოიყენებოდა. ამ უწყინარი სახელწოდების მქონე ამოცანის — „ანდის გეგმის“ განხორციელება კისინჯერს დაევალა.**

შეთქმულთა ოპერაციებისთვის სახელმწიფო საზღვრები ბარიერი არ არის. მაგალითად, **ვილი ბრანდტის მიერ დაგეგმილი აქცია „ბოლო შეტევა“ შესაძლებელი გახდა მისი ვიზიტის შემდეგ ფელიპე გონსალესთან, რომელიც იმ დროს „რომის კლუბის“ მიერ მისთვის მიკუთვნებული ესპანეთის პრემიერმინისტრის როლისთვის ემზადებოდა.** ჩემი და ჩემი რამდენიმე კოლეგის გარდა, გონსალესის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, სანამ იგი კუბაში არ გამოჩნდა. გონსალესი „რომის კლუბმა“ გამოიყენა სალვადორში სპეციალურ დავალებათა ოფიცრად და გახდა პირველი სოციალისტი, რომელიც ესპანეთში გენერალ ფრანკოს სიკვდილის შემდეგ პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოვიდა.

1980 წლის დეკემბერში გონსალესი ვაშინგტონში „რომის კლუბის“ მიერ ორგანიზებულ, სოციალისტთა ანტირეიგანულ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. გონსალესისა და კასტროს შეხვედრას მემარცხენე მეამბოხე გილიერმო უნგო ესწრებოდა, რომელიც „პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის“ (Institute for Policy Studies (IPS)) პატრონაჟით მოქმედებდა. ეს არის მემარცხენე ორიენტაციის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ტვინის ტრესტი, რომელიც „300-თა კომიტეტის“ ეგიდით მოქმედებდა და ვაშინგტონში მდებარეობდა. უნგოს მოქმედებების უშუალო ხელმძღვანელობას IPS-ს თანამშრომელი ახორციელებდა, რომელიც იდუმალებით მოცულ ავიაკატასტროფაში დაიღუპა, როდესაც ვაშინგტონიდან ჰავანაში კასტროსთან შესახვედრად მიემგზავრებოდა.

ბევრმა ჩვენგანმა მშვენივრად იცის, რომ ყველა პოლიტიკური მიმართულება, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენეც, ერთი და იმავე ხალხის მიერ კონტროლდება, რითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ უნგო აწ განსვენებული ნაპოლეონ დუარტეს, სალვადორში მემარჯვენეთა ლიდერის, ძველი მეგობარი იყო. სალვადორელ მეამბოხეთა „ბოლო შეტევა“ ზუსტად კუბაზე ამ შეხვედრის შემდეგ მოხდა.

**სამხრეთ ამერიკისა და შეერთებული შტატების პოლარიზაცია სპეციალური დავალება იყო, რომლის შესრულებაც „300-თა კომიტეტმა“ კისინჯერს დააკისრა. მალვინის ომი (ცნობილია, ასევე, როგორც ფოლკლენდის ომი) და არგენტინული ხელისუფლების შემდგომი დამხობა, რომელსაც ეკონომიკური ქაოსი და პოლიტიკური არეულობები მოჰყვა, კისინჯერის დამხმარეთა მიერ იყო დაგეგმილი, რომლებიც ლორდ კარინგტონთან, „300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთ საკვანძო წევრთან, ერთად მოქმედებდნენ.**

„300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთი მთავარი ცენტრი აშშ-ში — „ასპენის ინსტიტუტი“ კოლორადოში, ასევე ეხმარებოდა არგენტინაში მოვლენების დაგეგმვას, ისევე, როგორც იმ მოვლენებს, რომლებმაც ირანში შაჰის დამხობა გამოიწვია. **აშშ-ისთვის ლათინური ამერიკა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ უამრავი სამხედრო შეთანხმება გვაქვს ლათინოამერიკულ ქვეყნებთან, არამედ იმიტომაც, რომ იგი ამერიკული ტექნოლოგიებისა და მძიმე სამრეწველო მოწყობილობების გასაყიდ პოტენციურ უზარმაზარ ბაზარს წარმოადგენს,** რომელსაც შეუძლია მისცეს ახალი იმპულსი ბევრ ჩვენს დასუსტებულ კომპანიას და ათასობით ახალი სამუშაო ადგილი შექმნას. არ შეიძლება ამის დაშვება, თუნდაც ოცდაათწლიანი ომი გამოიწვიოს.

იმის მაგივრად, რომ პოზიტიურად განიხილონ ეს უზარმაზარი პოტენციალი, „300-თა კომიტეტმა“ იგი აშშ-ის ნულოვანი პოსტინდუსტრიული ზრდისთვის საშიშ საფრთხედ აღიქვა და დაუყოვნებლივ მიიღო ზომები, რათა არგენტინა სხვა ლათინოამერიკული ქვეყნებისთვის საჩვენებელ მაგალითად ექცია, აეძულებინა ისინი, უარი ეთქვათ ეროვნული ცნობიერების განვითარებაზე, დამოუკიდებლობასა და სუვერენულ მთლიანობაზე. ეს არის იმის მიზეზი, რომ **ბევრმა ლათინოამერიკულმა ქვეყანამ ნარკოტიკების წარმოებას მიჰყო ხელი, როგორც ერთადერთ საარსებო საშუალებას, რაც შესაძლოა, შეთქმულთა მთავარი მიზანიც ყოფილიყო.**

ამერიკელები არაფრად აგდებენ მექსიკას, სწორედ ამას ცდილობს კომიტეტი. ჩვენ აუცილებლად უნდა შევცვალოთ ჩვენი წარმოდგენა მექსიკასა და სრულიად სამხრეთ ამერიკის შესახებ. მექსიკა წარმოადგენს პოტენციურ უზარმაზარ ბაზარს ყველა ამერიკული საქონლისთვის, რომელსაც შეუძლია შექმნას ათასობით სამუშაო ადგილი როგორც ამერიკელებისთვის, ისე მექსიკელებისთვის. ჩვენი სამრეწველო სიმძლავრეების გადატანა „საზღვრიდან სამხრეთით“ და ადგილობრივი მუშებისთვის მონური ხელფასის გადახდა არაა არც ერთი და არც მეორე ქვეყნის ინტერესებში. ეს მხოლოდ „ოლიმპიელების“ ინტერესებშია.

მექსიკა არგენტინიდან თავისი ბირთვული ტექნოლოგიების დიდ წილს იღებდა, მაგრამ მალვინის ომმა ამას ბოლო მოუღო. **განვითარებად ქვეყნებში ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტი შეჩერდა. ატომური ელექტროსადგურების წყალობით, რომლებიც იაფ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მექსიკა „ლათინოამერიკული გერმანია“ გახდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება კატასტროფა იქნებოდა შეთქმულთათვის, რომლებმაც 1991 წელს ბირთვული ტექნოლოგიების ყველანაირი ექსპორტი შეაჩერეს, გარდა იმისა, რომელიც ისრაელისთვის იყო განკუთვნილი.**

„300-თა კომიტეტი“ გეგმავს, მექსიკა დარჩეს ფეოდალური მიწათმოქმედების ქვეყნად, რაც მას საშუალებას მისცემს, იოლად გააკონტროლოს და მიითვისოს მექსიკური ნავთობი. სტაბილური და აყვავებული მექსიკა მომგებიანი შეიძლება იყოს მხოლოდ შეერთებული შტატებისთვის, მაგრამ სწორედ ამას ეწინააღმდეგებიან შეთქმულები, ამიტომ ათწლეულების მანძილზე ახდენენ სხვადასხვა ინსინუაციების ინსპირირებას, ავრცელებენ ჭორებს და აწარმოებენ პირდაპირ ეკონომიკურ ომს მექსიკის წინააღმდეგ. ყოფილი პრეზიდენტის, ლოპეს პორტილიოს, ხელისუფლებაში მოსვლამდე და მის მიერ ბანკების ნაციონალიზაციამდე მექსიკა ყოველდღიურად 200 მილიონ დოლარს კაპიტალის გაჟონვის შედეგად კარგავდა, რომელსაც ორგანიზებას უწევდნენ „300-თა კომიტეტის“ წარმომადგენლები უოლსტრიტის ბანკებსა და საბროკერო სახლებში.

**აშშ-ს რომ პოლიტიკანების მაგივრად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი მართავდეს, ჩვენ შევძლებდით ერთობლივ მოქმედებას და წინააღმდეგობას გავუწევდით მსოფლიო მთავრობის მიერ შემუშავებულ ახალი მსოფლიო წესრიგის გეგმას – უმწეო მდგომარეობაში დააბრუნოს მექსიკა.** ჩვენ რომ მექსიკის მიმართ „რომის კლუბის“ გეგმა დაგვენგრია, „300-თა კომიტეტისთვის“ ეს იქნებოდა შოკი, რომლიდანაც დიდხანს ვერ გამოვიდოდა. **ილუმინატთა მემკვიდრეები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ არა მხოლოდ მექსიკისთვის, არამედ აშშ-ისთვისაც.** მექსიკურ პატრიოტულ მოძრაობებთან საერთო პოზიციების მოძიების შემდეგ, ჩვენ აშშ-ში მძლავრი ძალა გავხდებოდით, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო, მაგრამ ამისთვის ძლიერი ლიდერებია საჭირო, ჩვენ კი სწორედ ეს არ გვყოფნის.

„300-თა კომიტეტმა“ მის კონტროლქვეშ მყოფი ორგანიზაციების დახმარებით შეძლო რეიგანის პრეზიდენტობის შედეგების ნულამდე დაყვანა. აი, რა თქვა ამის შესახებ **სტიუარტ ბატლერმა** „მემკვიდრეობის ფონდიდან“ (The Heritage Foundation): **„მემარჯვენეებს ეგონათ, რომ 1980 წელს მათ გაიმარჯვეს, მაგრამ სინამდვილეში წააგეს“.** ბატლერი საუბრობდა სიტუაციაზე, რომელშიც მემარჯვენეები აღმოჩნდნენ, როდესაც ისინი მიხვდნენ, რომ ყველა მნიშვნელოვან თანამდებობას რეიგანის ადმინისტრაციაში „მემკვიდრეობის ფონდის“ რეკომენდაციით „ფაბიანის საზოგადოების“ მიერ დანიშნული ხალხი იკავებდა. ბატლერმა შემდგომ თქვა, რომ **„მემკვიდრეობის ფონდი“ გამოიყენებს მემარჯვენე იდეებს შეერთებული შტატებისთვის რადიკალური მემარცხენე პრინციპების თავს მოსახვევად, სწორედ იმ რადიკალური იდეების, რომლებსაც სერ ვიკერს-ჰოლი, აშშ-ის პირველი ფაბიანისტი და №1 ადამიანი „მემკვიდრეობის ფონდში“, ღიად განიხილავდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე მთელი წლის განმავლობაში.**

სერ პიტერ ვიკერს-ჰოლი რჩებოდა აქტიურ ფაბიანისტად, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეთაურობდა კონსერვატიულ „ტვინის ტრესტს“. როგორც ბრიტანული ოლიგარქიული ოჯახის – ვიკერსების წევრს, რომლებსაც შეიარაღების წარმოების კომპანიები ეკუთვნის, მას ჰქონდა გავლენა და ძალაუფლება. ვიკერსების ოჯახი პირველი მსოფლიო ომის დროს იარაღს აწვდიდა ორივე მებრძოლ მხარეს და ასევე ჰიტლერს მისი ხელისუფლებაში მოსვლის დროს. პიტერ ვიკერს-ჰოლის ოფიციალურ საფარს კალიფორნიის უნივერსიტეტთან არსებული „ქალაქური და რეგიონული განვითარების ინსტიტუტი“ წარმოადგენდა. დიდი ხნის მანძილზე იგი ენტონი ვეჯვუდ ბენის, ბრიტანელი ლეიბორისტების ლიდერისა და „300-თა კომიტეტის“ წევრის, ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

**ვიკერსსა და ბენს „ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტთან“, მსოფლიოში ტვინის გამორეცხვის მთავარ დაწესებულებასთან, მჭიდრო კავშირები აქვთ. ვიკერსი** ▶

**«სამხრეთ ამერიკისა და შეერთებული შტატების პოლარიზაცია სპეციალური დავალება იყო, რომლის შესრულებაც «300-თა კომიტეტმა» კისინჯერს დაკისრა**

**ბევრმა ლათინოამერიკულმა ქვეყანამ ნარკოტიკების წარმოებას მიჰყო ხელი, როგორც ერთადერთ საარსებო საშუალებას, რაც შესაძლოა, შეთქმულთა მთავარი მიზანიც ყოფილიყო**

**ნატომ „რომის კლუბს“ სოციალური პროგრამის შემუშავება დაავალა, რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა ამერიკის განვითარების მიმართულება. „რომის კლუბმა“, ტავისტოკის მითითებით, „სტენფორდის კვლევით ინსტიტუტს“ ასეთი პროგრამის შემუშავება დაავალა არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ ატლანტიკური ბლოკის ყველა ქვეყნისთვის და ასევე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წევრი ქვეყნებისთვის.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ფრანსუა მიტერანი: კაპიტალისტური სამრეწველო განვითარება თავისუფლებასთან შეუთავსებელია. ჩვენ ამას ბოლო უნდა მოვუღოთ. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ეკონომიკური სისტემები გამოიყენებს მანქანებს ადამიანის დასაჯაბნად, პირველ რიგში ატომური ენერგიის დარგში, სადაც უკვე მიღწეულია სერიოზული შედეგები

◀ **სიტყვით გამოსვლისას საკმაოდ ეფექტურად იყენებს თავის ტავისტოკურ მომზადებას.** გთავაზობთ შემდეგ მაგალითს განსახილველად:

**„არსებობს ორი ამერიკა. ერთი — ესაა მე-19 საუკუნის საზოგადოება, რომელიც მძიმე მრეწველობაზეა დაფუძნებული. მეორე — ესაა მზარდი პოსტინდუსტრიული საზოგადოება, რომელიც ძველი ამერიკის ნანგრევებზე აშენდა. ზუსტად ამ ორ მსოფლიოს შორის ურთიერთობის კრიზისი ბადებს შემდეგი ათწლეულის ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფას. ეს ორი მსოფლიო ღრმა ურთიერთწინააღმდეგობაშია, ისინი ვერ შეძლებენ თანაარსებობას. ბოლოს და ბოლოს პოსტინდუსტრიულმა მსოფლიომ სხვა მსოფლიო უნდა გაანადგუროს“.** შეგახსენებთ, რომ ეს სიტყვა წარმოთქვა 1981 წელს და ახლა ჩვენი ეკონომიკისა და წარმოების მდგომარეობის მიხედვით ჩანს, თუ რამდენად ზუსტი იყო სერ პიტერის წინასწარმეტყველება. როდესაც ხალხი მეკითხება, რამდენ ხანს გასტანს 1991 წლის ეკონომიკური ვარდნა, მომყავს სერ პიტერის განცხადებები და ვამატებ საკუთარ აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყანა უკვე აღარ იქნება ის ამერიკა, რომელსაც 1960-იან და 1970-იან წლებში ვიცნობდით. ის ამერიკა უკვე მოკვდა.

მე გამოვაქვეყნე სერ პიტერის სიტყვა ჩემს საინფორმაციო ბიულეტენში. ეს სიტყვა წინასწარმეტყველური იყო, მაგრამ ამერიკის მომავლის წინასწარ განჭვრეტა ადვილი იყო „300-თა კომიტეტის“ მიერ დაწერილი გეგმებისა და მისი შემსრულებელი ორგანოს, „რომის კლუბის“, მეშვეობით. რის შესახებ საუბრობდა სერ პიტერი თავის ევფემისტიკურ მანერაში? ჩვენს ჩვეულებრივ ენაზე თარგმანში ეს ნიშნავს, რომ **ძველი ამერიკული ცხოვრების წესი, ჩვენი ჭეშმარიტი და საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მმართველობის კონსტიტუციური რესპუბლიკის ფორმა ახალმა მსოფლიო წესრიგმა უნდა გააუქმოს.**

როგორც უკვე ვქვი, „300-თა კომიტეტის“ წევრები ხშირად ყველას დასანახად მოქმედებენ. სერ პიტერი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ყველამ კარგად რომ გაიგოს, თუ საიდან მოვიდა იგი, სერ პიტერმა თავისი გამოსვლა ასეთი განცხადებით დაასრულა:

**„მე ძალიან მოხარული ვარ, რომ „მემკვიდრეობის ფონდთან“ და სხვა მსგავს ჯგუფებთან ერთად ვმუშაობდი. ჭეშმარიტი ფაბიანელები იმედოვნებენ, რომ „ახალი მემარჯვენეების“ დახმარებით ისინი შეძლებენ ზოგიერთი თავისი რადიკალური იდეის გატანას. ბრიტანულ საზოგადოებას 10 წელზე მეტხანს შთააგონებდა პროპაგანდა, რომ მრეწველობა მას უფსკრულისკენ ექაჩება. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ამ პროპაგანდის საბოლოო შედეგი მოსახლეობის დემორალიზაცია იყო“** (სწორედ ამას გეგმავდნენ „ახალი მეცნიერების“ სპეციალისტები ტავისტოკიდან.)

**„ეს მოხდება შეერთებულ შტატებში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების კვალდაკვალ. ეს (დემორალიზაციის პროცესი) აუცილებელია იმისთვის, რომ ხალხს მძიმე არჩევანის გაკეთება ვაიძულოთ. თუ არ იქნება მომავლის დაგეგმარება ან თუ ამომრჩევლები პროგრესს შეეწინააღმდეგებიან, დადგება ისეთი საზოგადოებრივი ქაოსი, რომლის მასშტაბებიც ახლა რთული წარმოსადგენია. ქალაქურ ამერიკას ძალიან ბნელი პერსპექტივები აქვს. ჯერ კიდევ არის საშუალება, რომ რაღაც გაკეთდეს დიდ ქალაქებში, ქალაქის მოსახლეობა შემცირდება და სამრეწველო ბაზა დაეცემა. შედეგად ეს სოციალურ კონვულსიებს გამოიწვევს.“**

იყო თუ არა სერ პიტერი მედიუმი, დიდი მაგი თუ მკითხავ-შარლატანი, რომელსაც უმართლებდა? — რა თქმა უნდა, არა. სერ პიტერმა, უბრალოდ, ხმამაღლა წაიკითხა „300-თა კომიტეტისა“ და „რომის კლუბის“ გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა შეერთებული შტატების ოდესღაც ძლიერი მრეწველობის ნელ სიკვდილს. როგორც სერ პიტერმა იწინასწარმეტყველა, შეიძლება თუ არა, ვინმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ „300-თა კომიტეტის“ გეგმები აშშ-ის მრეწველობის ნგრევის შესახებ რეალობად იქცა?

სერ პიტერის წინასწარმეტყველებები საოცრად ზუსტი აღმოჩნდა, ბოლო სიტყვამდე. უნდა აღინიშნოს, რომ სერ პიტერ ვიკერსი (სერ პიტერ ვიკერს-ჰოლის სიმამრი) „სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის“ ანგარიშზე „ადამიანის იერსახის ცვლილება“-ზე მუშაობდა. ამ ანგარიშის 3000-გვერდიანი საკვანძო რეკომენდაციების დიდი ნაწილი რეიგანის ადმინისტრაციაში გადაგზავნეს. მეტიც, **სერ პიტერ ვიკერსი ბრიტანული დაზვერვის „მი 6“-ის მაღალი რანგის ოფიცერი იყო და „მემკვიდრეობის ფონდისთვის“ ბევრი საიდუმლო ინფორმაციის მიწოდება შეეძლო. როგორც „300-თა კომიტეტისა“ და ნატოს წევრმა, მან იცოდა, რომ ნატომ „რომის კლუბს“ სოციალური პროგრამის შემუშავება დაავალა, რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა ამერიკის განვითარების მიმართულება.** „რომის **კლუბმა“, ტავისტოკის მითითებით, „სტენფორდის კვლევით ინსტიტუტს“ ასეთი პროგრამის შემუშავება დაავალა არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ ატლანტიკური ბლოკის ყველა ქვეყნისთვის და ასევე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წევრი ქვეყნებისთვის.**

სტიუარტ ბატლერმა, სერ პიტერის პროტეჟემ, პრეზიდენტ რეიგანს გადასცა 3000-გვერდიანი „რეკომენდაციები“, რომლებიც უთუოდ შეიცავდა ენტონი ვეჯვუდ ბენის, ბრიტანული პარლამენტისა და „300-თა კომიტეტის“ წევრის, მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. ბენმა 1980 წლის 8 დეკემბერს ვაშინგტონში შეკრებილ სოციალისტური ინტერნაციონალის წევრებს განუცხადა: **„თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ ვოლკერის საკრედიტო კოლაფსის პირობებში, თუ თქვენ ხელს შეუწყობთ რეიგანს საკრედიტო კოლაფსის დაჩქარებაში“.**

ბატლერის რეკომენდაციები რეიგანის ადმინისტრაციამ მიიღო და გამოიყენა. ეს ფაქტი მტკიცდება შემნახველ-დანაზოგებისა და საბანკო სფეროების კრახით, რომელიც რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში გაძლიერდა. როდესაც ბენი ამბობდა „ხელი შევუწყოთ“, სინამდვილეში გულისხმობდა, რომ რეიგანისთვის ტვინი უნდა გამოერეცხათ. უნდა აღინიშნოს, რომ ფონ ჰაიეკმა — „მემკვიდრეობის ფონდის“ ერთ-ერთმა ფუძემდებელმა — თავისი მოსწავლე მილტონ ფრიდმანი ამერიკის დეინდუსტრიალიზაციის „რომის კლუბის“ გეგმების განხორციელების ხელმძღვანელად დანიშნა, რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის გამოყენებით, რათა დაეჩქარებინა კოლაფსი, უპირველეს ყოვლისა, მეტალურგიის და ასევე საავტომობილო და სამშენებლო მრეწველობის სფეროებში.

გარდა ამისა, **აშშ-ის მეტალურგიის მრეწველობის რღვევის ამოცანა ასევე იდგა „300-თა კომიტეტის“ წევრის — ეტიენ დავინიონის (ETIENNE D’AVIGNON) წინაშე, რომელიც ასევე ფრანგული „შავი არისტოკრატიის“ წევრი იყო.** საეჭვოა, რომ დავინიონის შესახებ გაეგო თუნდაც ერთ მეტალურგს და გემთმშენებელს იმ ათასებიდან, რომლებმაც ბოლო ათი წლის მანძილზე სამუშაო დაკარგეს. დავინიონის გეგმა მე სრულად გამოვაქვეყნე 1981 წელს, Economic Review-ს აპრილის ნომერში. **„რომის კლუბის“ 1980 წლის 10 დეკემბრის იმ საბედისწერო კრებას ვაშინგტონში ესწრებოდა იდუმალი ადამიანი ირანიდან. გაირკვა, რომ ეს იყო ბანი სადრი, აიათოლა ჰომეინის სპეციალური წარმომადგენელი.**

1980 წლის 10 დეკემბრის სამიტზე ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა სიტყვამ, უმთავრესად იმიტომ, რომ იგი წარმოთქვა **ფრანსუა მიტერანმა** — ადამიანმა, რომელიც ფრანგულმა ისტაბლიშმენტმა უარყო და „ჩამოწერა“. მაგრამ დაზვერვაში ჩემმა წყარომ ადრე შემატყობინა, რომ უკვე მუშაობენ მიტერანის „სკივრიდან ამოსაღებად“, მტვრის ჩამოსაფერთხად და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, ამიტომ მისი სიტყვები ჩემთვის დიდად საინტერესო იყო:

**„კაპიტალისტური სამრეწველო განვითარება თავისუფლებასთან შეუთავსებელია. ჩვენ ამას ბოლო უნდა მოვუღოთ. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ეკონომიკური სისტემები გამოიყენებს მანქანებს ადამიანის დასაჯაბნად, პირველ რიგში, ატომური ენერგიის დარგში, სადაც უკვე მიღწეულია სერიოზული შედეგები“.**

მიტერანის დაბრუნება ელისეს სასახლეში სოციალიზმის დიდი ტრიუმფი გახდა. ამან დაამტკიცა, რომ „300-თა კომიტეტი“ გახდა საკმაოდ გავლენიანი იმისთვის, რომ ჯერ ეწინასწარმეტყველა მოვლენები, ხოლო შემდეგ ან ძალით განეხორციელებინა ისინი, ან სხვა საშუალებებით, რომლებიც, შესაძლოა, საჭირო გახდეს დასახული მიზნების მისაღწევად; რომ კომიტეტს შეუძლია ყველანაირ წინააღმდეგობას გაუმკლავდეს, თუნდაც ისეთ სიტუაციაში, როგორც მიტერანის შემთხვევაში, რომელიც პარიზში ძალაუფლების პოლიტიკური ჯგუფისგან სრულიად უარყოფილი იყო.

**1980 წლის დეკემბრის შეხვედრაზე ვაშინგტონში „დამკვირვებლის სტატუსით“ იყო ჯონ გრეჰემი, ასევე ცნობილი, როგორც ირვინ სუალი, ანტიდიფამაციური ლიგის (Anti-Defamation League (ADL) საგამოძიებო კომიტეტის უფროსი. ADL-ს პირდაპირ აკონტროლებს ბრიტანული დაზვერვა და მისი სამი განყოფილება მართავს, ანუ მი-6 და JIO. თავისი ბინძური ხრიკების ფართო ნაკრები სუალმა ლონდონური ისტენდის სანიაღვრე არხებიდან შეიწოვა. სუალი დღესაც სრულიად საიდუმლო მმართველობის SIS-ის — ჯეიმს ბონდის მსგავსი ოპერაციებით დაკავებული ელიტური სპეცქვედანაყოფის შტატშია. სათანადოდ უნდა შევაფასოთ ADL -ის ძლიერება და მისი გრძელი ხელებიც.**

## «რომის კლუბის» იმ საბედისწერო კრებას ვაშინგტონში ესწრებოდა იდუმალი ადამიანი ირანიდან. გაირკვა, რომ ეს იყო ბანი სადრი, აიათოლა ჰომეინის სპეციალური წარმომადგენელი



## აშშ-ს რომ პოლიტიკანების მაგივრად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი მართავდეს, ჩვენ შევძლებდით ერთობლივ მოქმედებას და წინააღმდეგობას გავუწევდით მსოფლიო მთავრობის მიერ შემუშავებულ ახალი მსოფლიო წესრიგის გეგმას — უმწეო მდგომარეობაში დააბრუნოს მექსიკა

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**16 თვის ლოდინის შემდეგ სრული უფლება გვაქვს, დავადანაშაულოთ „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის მოტყუების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში და მოვითხოვოთ ხელისუფლების გადადგომა!**

# გამოსავალი ერთია – ხელისუფლება უნდა შეიცვალოს!

**არავითარი ჩრდილოეთი თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი, არავითარი ისტორიული წარსული, მეზობლობა, ერთმორწმუნეობა, სამეცნიერო-კულტურული კავშირები და ქართველი ერის ფიზიკურად გადამრჩენი გეორგიევსკის ტრაქტატის დადებითი მხარეები – ყველა და ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ უარყოფითი ვახსენოთ და ჩვენი მზერაც მხოლოდ დასავლეთს, ეროვნული სახელმწიფოების მზის ჩასვენების მხარეს უნდა მივაპყროთ!**
**რატომ ასეთი სიბეცე? ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ რუსეთის უღელქვეშ 200 წლის განმავლობაში ყოფნით არა მხოლოდ ფიზიკურად გადავრჩით, არამედ ავყვავდით კიდეც – საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან საქართველო ტოლს არავის უდებდა და ჩვენს ეკონომიკურ სიძლიერეს ბევრი შენატროდა! ახლა? ახლა რა გვჭირს, რას მივაღწიეთ ამერიკის (იმავე დასავლეთის) პატრონაჟის ქვეშ 20 წლის განმავლობაში? ვართ რამეში პირველები, ვინმე შენატრის ჩვენს ბედს? — არავინ!**



**ამერიკამ ქართველი ერის გადაგვარების ესტაფეტა ისე ოსტატურად გადასცა უსუფაშვილ-ალასანიას ივანიშვილის ხელით, რომ ბევრი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს**

ვინ, რომელი ჭკუათმყოფელი ისურვებს იმას, რასაც დასავლეთის „დახმარებით“ მივაღწიეთ, კაბალური სესხებითა და „რჩევებით“ – ყველაზე დაბალ ხელფასებსა და პენსიებს, ყველაზე მაღალ უმუშევრობას, მოსახლეობის 80%-ის სიღარიბის ზღვარზე ან მის მიღმა ყოფნას, განათლების სამარცხვინო დონეს და დანგრეულ მეცნიერებას, 5-ჯერ გაზრდილ საგარეო ვალს, შრომისუნარიანი(!) მოსახლეობის ერთი მესამედის სამშობლოდან გადახვეწას, სხვის ომებში თავის გამოჩენას და საკუთარი მიწების 20 %-ის უბრძოლველად დათმობას, ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობიდან ყოველი მეათის პრობაციონერობას, ზნეობრივ გადაგვარებას და კიდევ ბევრ „სიკეთეს“?! ამ „წარმატებების“ დაუნახაობა ხომ შეუძლებელია?! მაშ, რა ხდება, **რატომ ვაძაგებთ და მიწაში ვდებთ რუსეთთან ყოფნით მიღწეულ უამრავ დადებით მოვლენას, რატომ აგვყავს ცაში „მეგობარი“ დასავლეთის მიერ შევარდნაძე-სააკაშვილის ხელით განხორციელებული მართლაც რომ მიწაში ჩასადები „მიღწევები“?!** თითქოს მთელი ევროპა და ამერიკა ჩვენზე ზრუნავს — ფულით, რეკომენდაციებით, მაგრამ ახლოსაც ვერ მივალთ ჩვენსავით უგაზო და უნავთობო ბელარუსთან, რომელსაც დიქტატორად წოდებული პრეზიდენტი მართავს და რომელსაც ლამის ბლოკადა გამოუცხადა „დემოკრატმა“ დასავლეთმა; ან იქნებ მეზობელ სომხეთს ვაჯობეთ რამეში? ბოლოს და ბოლოს, **იქნებ ვინმემ დაასახელოს ერთადერთი წარმატება მაინც, რომელსაც საქართველომ დასავლეთის დახმარებით მიაღწია (დასავლეთიდან დაფინანსებული ე. წ. არასამთავრობოების სოკოებივით მომრავლებას თუ არ ჩავთვლით წარმატებად და კიდევ — ამ ორგანიზაციების მიერ გაჩაღებულ კამპანიას მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისა და სოდომ-გომორის ცოდვის(!) ნორმად დაკანონებისკენ მიმართულს)!**

ჩვენი უბედურება არის ის, რომ **ამერიკამ ქართველი ერის გადაგვარების ესტაფეტა ისე ოსტატურად გადასცა უსუფაშვილ-ალასანიას ივანიშვილის ხელით** (ღვთით მოვლენილი რომ გვეგონა, თურმე ამერიკის მოვლენილი ყოფილა და რუსეთს სულ ტყუილად ვაბრალებდით),

რომ ბევრი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების შესაძლებლობაზე (თანაც — ახლო მომავალში!) „ქართული ოცნებაც“ ზუსტად ისევე წარბშეუხრელად გვარწმუნებს, როგორც ამას „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა, და იმაშიც ცდილობს, დაგვარწმუნოს, თითქოს ან ნატო, ან ევროკავშირი აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების გარანტი იყოს. ამ თემაზე **დისკუსიას ვინლა ჩივის, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში (რომელსაც ზაფხულზე ან შემოდგომაზე უნდა მოაწეროს ხელისუფლებამ ხელი) რა პირობებია ჩადებული, იმასაც კი არ გვიმხელენ** – ხელს რომ მოვაწერთ, მერე გაგაცნობთ, თანაც ჩვენ მიერ შერჩეულ მუხლებსო! მთელ ქვეყანას ძალით გვექაჩებიან იქ, სადაც რა ცხოვრების წესი გველოდება, რა მოუტანა ევროკავშირში გაწევრებამ **ჩვენზე უფრო განვითარებული აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობას, არ გვეუბნებიან. და ჩვენც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ცხვრის ფარასავით მივყვებით „ქოც-ნაცების“ პოლიტიკურ დინებას. მეტი დაგლახავება ერისა რაღა უნდა იყოს?!**

უკრაინისთვის შემუშავებული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში ჩადებული ვალდებულებები, არა მგონია, დიდად განსხვავდებოდეს საქართველოსთვის გამიზნული ხელშეკრულებისგან, ამიტომ რამდენიმე საინტერესო პუნქტს მოვიყვან უკრაინის ვალდებულებების ჩამონათვალიდან:

**მსუბუქი და მძიმე მრეწველობის შემცირება, რათა ევროპულ საწარმოებს არ გაეწიოს კონკურენცია;**

**საბაჟო გადასახადების გაუქმება ან შემცირება ევროპულ საქონელზე;**

**ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ყველანაირ კრედიტზე დათანხმება;**

**ნატოს მიერ წამოწყებულ ომებში მონაწილეობა;**

**ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებისთვის ხელშეწყობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.**

ჰოდა, საქართველოს მიერ ამ და კიდევ ბევრი სხვა პუნქტის შესრულებას თურმე რუსეთი გაგებით მოეკიდება და თავზე ხელს გადაგვისვამს! ხომ ცდილობენ, დაგვაჯერონ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება ხელს არ შეუშლის რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობასო! ამის მთქმელს ან პოლიტიკისა არაფერი გაეგება, ან ულმერთოდ ცრუობს!

ერთი რამ უდავოა — **„ნაცებთან“ შეამხანაგებული ქოცებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ მართლმადიდებლობასა და რუსეთთან კეთილმეზობლობაში კი არ უნდა ვეძებოთ საყრდენი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები, არამედ — ცხრა მთას იქით, ნატოსთან დაახლოებაში, ჰომოსექსუალიზმის ფრთების გაშლაში და ერთსქესიანთა ქორწინებაში!** ეს აშკარად გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილის პრემიერობამდელ პერიოდში, პრემიერობის დროსაც და პრემიერობიდან ნებაყოფლობით(?!) გადადგომის შემდეგაც.

ივანიშვილს, პოლიტიკაში შემოსვლის (თუ შემოყვანის) დროს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გეგმები რომ ჰქონოდა გუნებაში, მაშინ რუსეთში 1.3-მილიარდიან ბიზნესს არ გაყიდდა და რუსული ბაზრიდან, სადაც 20 წელი ფული აკეთა და მილიარდები იშოვა, ფეხს არ ამოიკვეთდა! **იმ ქვეყნიდან, რომელთანაც ნორმალურ ურთიერთობას აპირებენ, არ გარბიან!**

ამ ხერხით საქართველოს მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ივანიშვილი ეროვნული ინტერესების დამცველი კაცია და არა კრემლის პროექტი, პიარტექნოლოგების მიერ კარგად გათვლილი, ხალხის შეცდომაში შესაყვანი ფანდი იყო, რითაც ამერიკამ ორი კურდღელი დაიჭირა – ქართველი ხალხიც „დაგვაბა“ და ივანიშვილის ქონების (აწ უკვე მთლიანად დასავლეთში გადატანილის) უფრო ეფექტიანი კონტროლის საშუალებაც მიეცა, რითაც მას დამოუკიდებლად გაფხაკურების საშუალება მოუსპო. **ახლა ივანიშვილს საფიქრალი მხოლოდ ერთი აქვს – ხუთიანზე შეასრულოს დასავლეთის ახალი დავალებები, როგორც ძველი შეასრულა** (პოლიტიკაში მოსვლა, პრემიერობიდან წასვლა, ხელისუფლებაში რესპუბლიკელების გაყვანა და მათი პირველ ვიოლინოდ წარმოჩენა, „ნაცებთან“ კოაბიტაცია, სამართლის „აღდგენა“, ჰომოსექსუალების დაცვა და ეკლესიის, პატრიარქის კრიტიკისთვის მწვანე შუქის ანთება). **შეასრულებს დავალებებს, მილიარდებს მილიარდები დაემატება, არა? — საგრძნობლად მოაკლდება!**

პრემიერის რანგშიც რომ არ ჰქონდა ივანიშვილს რუსეთთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ნორმალიზება მიზნად დასახული, თავიდანვე გამოჩნდა, როცა სააკაშვილისდროინდელი „ნატო-ნატოს“ რიტორიკა ესტაფეტასავით აიტაცა;

და დღეს, როგორც რიგით მოქალაქეს არ აქვს მსგავსი გეგმები, მისი პირველივე პრესკონფერენციიდან გამოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციისას, რომელიც, ნუ იტყვით და, თურმე იმისთვის დაუარსებია, რომ ქართულ მედიას კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმაროს და... ▶

**ახლა ივანიშვილს მხოლოდ ერთი საფიქრალი აქვს – ხუთიანზე შეასრულოს დასავლეთის ახალი დავალებები, როგორც ძველი შეასრულა. შეასრულებს დავალებებს, მილიარდებს მილიარდები დაემატება, არა? – საგრძნობლად მოაკლდება!**

## ვირჯინიას გეიქორწინებების აკრძალვა აუკრძალეს

**ერთსქესიანთა ქორწინება აშშ-ის კიდევ ერთ შტატში გახდება ლეგალიზებული. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვირჯინიით შტატში ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვა არაკონსტიტუციურ ქმედებად იქნა აღიარებული.** გეიქორწინებები ვირჯინიაში 2006 წლიდანაა აკრძალული. იმხანად ამ საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდა და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ ხმა მოსახლეობის 57 პროცენტმა მისცა. ახლანდელი გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი გეიოჯახების წინააღმდეგი მხოლოდ 36 პროცენტია.

„სასიყვარულო ურთიერთობების ხანგრძლივად შენარჩუნების თვალსაზრისით, გეებსა და ლესბოსელებს ისეთივე შესაძლებლობები აქვთ, როგორიც ჰეტეროსექსუალებს. ასეთი ურთიერთობები ხელშეუხებელი პირადი არჩევანის საფუძველზე ყალიბდება და ამ ურთიერთობებში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს“, — მოჰყავს გაზეთ USA Today-ის მოსამართლე **არენდა რაიტ ალენის** სიტყვები.

ვირჯინია დაადგა იმ გზას, რომელიც უკვე გაიარა 17 შტატმა და კოლუმბიის ოლქმა, რომლებშიც ჰომოსექსუალთა ქორწინება ნებადართულია. ესენია: **მასაჩუსეტსი, კალიფორნია, კონექტიკუტი, აიოვა, ვერმონტი, ნიუ-ჰემფშირი, ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, მენი, მერილენდი, როდ-აილენდი, დელაკერი, მინესოტა, ნიუ-ჯერსი, ჰავაი, ილინოისი და ნიუ-მექსიკო.**



**„ნაცებთან“ შეამხანაგებული ქოცებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ მართლმადიდებლობასა და რუსეთთან კეთილმეზობლობაში კი არ უნდა ვეძებოთ საყრდენი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები, არამედ – ცხრა მთას იქით, ნატოსთან დაახლოებაში, ჰომოსექსუალიზმის ფრთების გაშლაში და ერთსქესიანთა ქორწინებაში!**



# თუ კარდინალურად არ შეიცვალა საარჩევნო სისტემა, არავითარი აზრი არ ექნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს

◀ გააკონტროლოს! მაგრამ ვინმეს რამეს სრულყოფაში რომ დაეხმარო, მასზე მაღლა უნდა იდგე ან გუნდი უნდა გყავდეს შესაბამისი დონის. რაც შეეხება მედიის გაკონტროლებას, ცოტა ძნელი გასაგებია, რა იგულისხმა ივანიშვილმა — ცენზორობა თუ „სხვა რაღაც, უფრო წმინდა...“, მაგრამ ყველაზე მთავარი მინიშნება ამ ახალი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებლისა არის ის, რომ იგი იმ ორგანიზაციებთან ითანამშრომლებს, იმ ორგანიზაციებს დაეხმარება და წაახალისებს, რომლებიც ქვეყნის ევროპული სივრცისკენ (დასავლეთისკენ) სვლას უწყობენ ხელს, ვინც თანამედროვე ევროპულ „ღირებულებებს“ შეგვაყვარებს და არა ეროვნულ ტრადიციებს. აბა, **სხვას რას უნდა მივაწეროთ „მოქალაქის“ აღმასრულებელ დირექტორად „ფალოსის ტორტისმჭამელი“ გიორგი საბანაძის დანიშვნა?! ვინ დაიჯერებს, რომ ივანიშვილი ბრმად ენდო ვიღაცას და ასეთი საპასუხისმგებლო პოსტი საკუთარ(!) ორგანიზაციაში სახელგატეხილ პიროვნებას ჩააბარა?!**

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებაზე წარმოუდგენლად დიდი გავლენა აქვს ივანიშვილს (ჩემის აზრით, იგი ამერიკის მეორე ელჩის ფუნქციას შეასრულებს), ძნელი მისახვედრი არ არის — **ამ ხელისუფლების ხელში რუსეთთან ურთიერთობაში ძირეული ცვლილებები არ მოხდება.** ისე კი, უნდა ითქვას, რომ **ხელისუფლების ბირთვს – უსუფაშვილისა და ალასანიას გუნდებს არავითარი მითითება არ სჭირდებათ, მათ იმდენჯერ აქვთ გავლილი ე.წ. ტრენინგი ოკეანის გაღმა, რომ ივანიშვილის გარეშეც იციან, რა პოლიტიკის გატარებას ითხოვს დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებისგან!**

ვფიქრობ, **გამოსავალი ერთია — ხელისუფლება უნდა შეიცვალოს!** და იგი უნდა შეიცვალოს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად ყველა მიმართულებით, პირველ რიგში კი, რუსეთის მიმართ, რათა ხელისუფლების გაუთვლელმა საგარეო პოლიტიკამ კიდევ უფრო მეტ დაქუცმაცებამდე არ მიგვიყვანოს. **ვერავითარი დასავლური, უკვე ირონიული ღიმილის მომგვრელი „შეშფოთებები“ საფრთხეს ვერ აგვარიდებს!**

როგორ არ დაგწყდება კაცს გული, როცა ხედავ, როგორ გაბედულად იქცევა და თავის ქვეყანაზე ფიქრობს უნგრეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ორბანი, რომელიც, ნატოს და ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, არც რუსეთთან ახლო ურთიერთობას ერიდება და არც — ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვას(!), რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაამტკიცა! **ჩვენს ხელისუფლებას კი რუსეთისკენ გახედვისაც ეშინია — პრეზიდენტად დანიშნული მარგველაშვილს პუტინის მიერ შემოთავაზებული წინადადებისთვისაც კი ვერ გაუკეთებია ადეკვატური კომენტარი. სამაგიეროდ, დასავლეთის საამებლად, ჰომოსექსუალურ ცოდვასთან მებრძოლი მღვდლების(!) დაჭერას ბედავენ და ჭკუასაც გვარიგებენ – პატრიარქიც გააკრიტიკეთ, ხელშეუხებელი არავინ არისო!**

**თუ კარდინალურად არ შეიცვალა საარჩევნო სისტემა, არავითარი აზრი არ ექნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს.** წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ შედეგები, საპრეზიდენტო არჩევნების ანალოგიური იქნება. ამიტომ აუცილებელია არა მოლაპარაკებებში დროის ფუჭად დაკარგვა, არამედ ულტიმატუმი, რომელსაც ულტიმატუმი პირობითად თუ დაერქმევა, რადგანაც ახალს არაფერს ვითხოვთ, ვითხოვთ „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შესრულებას და მეტს არაფერს. **16 თვის ლოდინის შემდეგ სრული უფლება გვაქვს, დავადანაშაულოთ „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის მოტყუების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში და მოვითხოვოთ ხელისუფლების გადადგომა!**

ვინაიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა არჩევნებში სამართლიანი პროცენტული ბარიერის არსებობაა, ამიტომ **ყოველ მიზეზგარეშე, უკლებლივ ყველა არჩევით პოზიციაზე (მაჟორიტარების, მერებისა და სხვების) არჩევა უნდა მოხდეს ერთი წესით — 50% + 1 ხმის პრინციპით! ნებისმიერი სხვა, უფრო დაბალი ბარიერი (30 ან 40%-იანი) კატეგორიულად მიუღებელია!**

ყველაზე სასაცილო (ალბათ, უფრო სატირალი) არის ის, რომ ეს გუშინდელი ოპოზიციონერები, დღეს კი ხელისუფლების გაბღენძილი წევრები, თავიანთი ჭკუით, არგუმენტირებულ, სინამდვილეში კი დებილებისთვის, ანუ ლოგიკასთან მწყრალად მყოფთათვის დამახასიათებელ პასუხს იძლევიან კითხვაზე — რატომ არ შეიძლება საარჩევნო ბარიერის გაზრდა ნორმამდე, ანუ 50% + 1 ხმამდე? თურმე იგი „მეორე ტურის დანიშვნას გამოიწვევს ბევრგან“! და რა მერე?! დავიღუპებით? თვითონ ეშინიათ დაღუპვის – არჩევნებში დამარცხებისა და სკამების შესანარჩუნებლად ისეთ რაღაცებს კადრულობენ, სინდისის ნატამალი რომ ჰქონდეთ შერჩენილი, ქართველ ამომრჩეველს კი არა, საკუთარი ოჯახის წევრებს ვერ უნდა უყურებდნენ თვალებში!

მათ რომ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის სურვილი ჰქონდეთ, ამას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აღასრულებდნენ. ისე, **პატიოსან ხელისუფლებას რატომ უნდა სთხოვდეს ოპოზიცია ნორმალურ საარჩევნო გარემოს ან სამართლის აღდგენას, ეს ხომ ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა!**

**დღევანდელი გადასახედიდან გასასამართლებელია არა მარტო „ნაცმოძრაობა“, არამედ „ქართული ოცნების“ არაერთი პარლამენტარი და მთავრობის წევრი, რომლებმაც დამნაშავეებს, დასჯის ნაცვლად, ხელი დააფარეს.** „ნაცებთან“ ჩახუტების გამამართლებელ ათას საბაბს გამოძებნიან ქოცები, მაგრამ **დანაშაულზე თვალის დახუჭვას და, მით უფრო, დამნაშავეებთან გარიგებას გამართლება არ აქვს, იგი კიდევ უფრო დიდი დანაშაულია და უმკაცრესად უნდა შეფასდეს,** დღეს თუ არა — ხვალ მაინც!

**იაკობ ლეჟავა**

## გასასამართლებელია არა მარტო «ნაცმოძრაობა», არამედ «ქართული ოცნების» არაერთი პარლამენტარი და მთავრობის წევრი, რომლებმაც დამნაშავეებს, დასჯის ნაცვლად, ხელი დააფარეს

მოკლედ

## ქართველი მოჭადრაკის გამარჯვება მოსკოვში



**მოსკოვში 30 იანვრიდან 9 თებერვლამდე მიმდინარეობდა საჭადრაკო ფესტივალი Moscow open, რომელშიც ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ, მერი არაბიძემ, გაიმარჯვა (სტუდენტთა შორის).** აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ანალოგიურ ტურნირში კიდევ ერთმა ქართველმა მოჭადრაკემ, ნინო ბაციაშვილმა, მოიპოვა წარმატება.

# რაც მოგივა, დავითაო... ანუ ვინ უნდა მოუხადოს ბოდიში გოგი ქავთარაძეს?



**თეატრალურ საგამომცემლო სივრცეში რომ, ჰამლეტის ცნობილი ფრაზის არ იყოს, „Something is rotten“ („რაღაც დალპა“), კარგა ხანია, ცნობილია ყველასთვის, გარდა... საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა (თავმჯდომარე — გ. ქავთარაძე) და მისი „ფლაგმანი“ ჟურნალისა „თეატრი და ცხოვრება“ (მთ. რედაქტორი — გ. ბათიაშვილი).**



ქართული თეატრის ისტორიის 1500-გვერდიან მონოგრაფიაში რომ აკაკი ხორავას აკაკი ვასაძისაგან ვერ გაარჩევ, გრიგოლ რობაქიძის, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის პირველივე ერთობლივ ნამუშევრებს („ლონდა“, „მალშტრემ“) რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან ამოყრი, შემდეგ კი გრიგოლ რობაქიძეს საერთოდ წაართმევ ერთ პიესას („მალშტრემ“) და ვიღაც გადამთიელს (ირლანდიელ ჯ. სინგს) გადაულოცავ, ამასთანავე, მსოფლიოს უპირველეს რომანს („დონ კიხოტი“) პიესად გამოაცხადებ, ქართული თეატრის მშვენება ლადო მესხიშვილზე (1857-1920) კი დაწერ, დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945) კინოში გადაიღესო, და ა. შ., მერე კი ყოველივე ამის შემოქმედ თეატრმცოდნეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (გოგი ქავთარაძე) „ქართული თეატრის პატრიარქად“ გამოაცხადებს, ხოლო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ამ მოწოდებას ლოზუნგად აიტაცებს, რა ჰქვია ასეთ, გურულად რომ მოვუქციო, აბდლობებს (თუნდაც ამგვარ ზოგად შტრიხებში მოცემულს), ამის პასუხი თქვენთვის მომინდია, ძვირფასო მკითხველო!

ეს ყველაფერი გასაგებია, იტყვის მავანი, მაგრამ დავითას თავგადასავალი და გოგი ქავთარაძე როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს? რა, ამ ჩვენს საყვარელ მსახიობს მიუძღვისო ბრალი, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თეატრალურ საგამომცემლო სივრცის აბდლობებში?!

დიახ, დიახ, თქვენ ზუსტად ჩაავლეთ, მაღალფარდოვნად თუ ვიტყვით, ჩემთა ფიქრთა სავალს, ძვირფასო მკითხველო! **რაც თეატრალურ საზოგადოებას ჩაუდგა სათავეში ეს ჩვენი ძვირფასი გოგი ქავთარაძე და ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეგობარი, სულ ჩავჩიჩინებ შინ და გარეთ (ანუ პირადი შეხვედრებისას თუ საჯარო გამოსვლებში), მიხედე-მეთქი ამ საქმეს, მაგრამ ამაოდ. ვინმეს ეს რომ ლიტონ სიტყვად არ მოეჩვენოს, იძულებული ვარ, ორიოდე ფაქტი მოვიშველიო:**

როცა სამი წლის წინათ შემთხვევით გადავაწყდი სრულიად ინკოგნიტოდ გამოსულ **სამარცხვინო** ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) ბუკლეტს რუსთაველის თეატრის რეპერტუარისა და გასტროლებზე, უმალ პრესით მივმართე ჩემს ძვირფას გოგი ქავთარაძეს, თანაც მეტად სიმპტომატური სათაურით („ღია წერილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს, ანუ აქა ამბავი ერთი უავტორო, ურედაქტორო, უკორექტორო, უმთარგმნელო, უსტილისტო, უგამომცემლო და ა. შ. და ა. შ. წიგნისა“, გაზ. „24 საათი“, 07.X.2011) და მეგონა, აი, ახლა ნახეთ, რა ამბებს დაატრიალებს-მეთქი ჩემი მეგობარი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მაშინ, ერთი თვის თავზე მეორე ღია წერილი გავუშანშალე („ევრიკა! ღია წერილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, ბ-ნ გ. ქავთარაძეს“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 14.XI.2011), ამჯერად უკვე მეორე **სამარცხვინო** გამოცემაზე (ვ. კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“) და შევახსენე, რომ **შენ ახლა კოჭოიას როლის შემსრულებელი კი არ ხარ, ჩემო ძმაო, არამედ შალვა დადიანისა და აკაკი ხორავას სავარძელში ზიხარ და გიმეორებ, მიხედე ამ საგამომცემლო საქმეს, თორემ ცუდ დღეში ჩავარდები-მეთქი** და ა.შ.

ისემც ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ეს ვარაუდი გამართლდა — მომდევნო (ანუ, 2012) წელსვე თავად მასზე გამოვიდა (დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით) საიუბილეო კრებული (შემდგენელი და რედაქტორი კ. ნინიკაშვილი) და რა ნახეს ჩემმა დასაფსებმა თვალებმა! ყველაფერი მშვენიერია: დიზაინი (მადლობა ხვიჩა ყალაბეგაშვილს), ყდა, თანაც ფერადი, ცარცის ქაღალდი, ილუსტრაციები, მაგრამ ტექსტი — მტრისას! ვიღაც ჩიტირეკიას მოუნდომებია კომპიუტერზე „გლახაობა“ და ჰაიდა! ჩამოურაკრაკებია, რაც კი თითებს მოეპრიანა, თითებს და არა გონებას, რადგან ეს უკანასკნელი, ვაი, რომ აქ არ ჩანს — არსად, არც ერთ კომპონენტში... ამის მაგალითები რომ მოვიტანო, მთელი ჩვენი 32-გვერდიანი გაზეთი კი არა, სქელტანიანი ჟურნალიც არ ეყოფა და, მოდი, ასე შევთანხმდეთ — **ეგებ თვით ბატონი გოგი ან ამ უწიგნური გამოცემის მესვეურები შევხვდეთ, გნებავთ, ჩვენთან — რედაქციაში, გნებავთ, თქვენთან — თეატრალურ საზოგადოებაში და ერთად გადავხედოთ, რა უბედურება დაგვატყდა თავს, რატომ გამოვიდა ასე უპატრონოდ ეს ძვირფასი** (პირდაპირი გაგებით), **საიუბილეო გამოცემა ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მსახიობსა და რეჟისორზე, ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე** იმდენად უვარგისი, რომ, როგორც ვიცი, საერთოდ არც გაუტანიათ ბაზარზე... **შარშან, როცა გოგი ქავთარაძეს პირადად ჩამოვუწიკწიკე ეს ყველაფერი და ჩემი ვრცელი სტატიაც გადავეცი კრებულის ღირსება-ნაკლოვანებებზე, მითხრა, მოდი, ამ შენს რეცენზიას ჩავდებ თითოეულ ეგზემპლარში და ისე დავარიგებო...** გავიდა ერთი წელი და სად გაქრა ის ჩემი 12-გვერდიანი სტატია, დღემდე არ ვიცი.

ასე რომ, ჯერჯერობით, სხვა გზა არ არის, ისევ თქვენმა მონა-მორჩილმა უნდა მოუხადოს ბოდიში ბატონ გოგი ქავთარაძეს, რაკი ჩემი მახვილი ისე ბასრი არ აღმოჩნდა, რომ აქამდე არ მივსულიყავით და თეატრალურ საგამომცემლო სივრცეში ასეთი ბაქანალია არ გამეფებულიყო...

**გოგი დოლიძე,**
**საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კონსულტანტი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი**

**P.S. ჩემს წინა სტატიაში (12.II.2014) ერთი უზუსტობა გაიპარა — პირველსავე სვეტში უნდა ყოფილიყო არა ჩვეულებრივი Z, არამედ მავანის მიერ გამოგონილი Z, რომელიც ინგლისურ ენაში საერთოდ არ არსებობს და საგანგებოდ იყო მოსაძებნი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ თუ ვერ მოხერხდა, რის გამოც ბოდიშს ვიხდი მისი უდიდებულესობა მკითხველის წინაშე.**

უზენაესი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოსოს უეჭველმა წარმატებამ სწავლაში გააძლიერა სკოლაში არსებული დაძაბულობა მდიდარი და ღარიბი ოჯახების შვილებს შორის. კლასიდან კლასში იგი გადადიოდა, როგორც საუკეთესო მოსწავლე; სკოლა 1894 წელს 14 წლის ასაკში დაამთავრა და მიიღო წარჩინების დიპლომი, რომელსაც იშვიათად გასცემდნენ ღარიბი ოჯახებიდან მისულ მოსწავლეებზე.**

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (236-240)

**იოსებ სტალინი ანალიტიკოსების მიერ მიჩნეულია მსოფლიო პოლიტიკოსებს შორის უგანათლებულეს ადამიანად: ფილოსოფია (და არა მხოლოდ მარქსიზმი), მსოფლიო ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ეკონომიკის, ტექნიკის კარდინალური საკითხები, ლიტერატურა, ხელოვნება, თეოლოგია და ა. შ. ასეთია არასრული ჩამონათვალი იმ ლიტერატურის, რომლითაც იგი ინტერესდებოდა. ეს ინტერესი კი ჭაბუკობიდან მოჰყვებოდა — წიგნის სიყვარული, ცოდნის წყურვილი მას იმთავითვე მოსდევდა, შეიძლება ითქვას, მისი პიროვნების არსებითი მახასიათებელი იყო. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი თავად დარწმუნდება ამ დასკვნის სისწორეში, როცა დღევანდელ ჩვენს პუბლიკაციას გაეცნობა.**



**სოსომ დაირქვა კობა და მოითხოვდა, რომ ჩვენც მხოლოდ ასე მიგვემართა მისთვის. სოსოს სახე სიამაყითა და სიხარულით გაბრწყინდებოდა ხოლმე, როცა კობას დავუძახებდით**

**როგორც კი ბერები ჩააქრობდნენ ლამფებს და წავიდოდნენ, იოსები ამოიღებდა სანთელს და მის სუსტ სინათლეზე იწყებდა კითხვას, არცთუ იშვიათად ღამეებს წიგნზე ათენებდა**

**ანომალიაა თუ კანონზომიერება, ვინ იტყვის, როცა ამ მრავალმხრივ განათლებულ ადამიანს, მართალია, გარდაცვალების შემდეგ შეებრძოლება სრულიად გაუნათლებელი, ტლუ ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელსაც ცხოვრებაში ერთი წიგნიც არ ჰქონდა წაკითხული (უტყუარი ფაქტია!) და წარმატებასაც მიაღწევს.**

**ბოროტების ჩადენას ჭკუა არ სჭირდება!**

**ასეთი იყო რეალობა სააკაშვილის მმართველობის წლებშიც და ამაში საქართველოს მოსახლეობა საკუთარ მაგალითზე დარწმუნდა.**

**სოსო ჯუღაშვილი ღამით, სანთლის შუქზე კითხულობდა სასულიერო სემინარიაში აკრძალულ ლიტერატურას და ეზიარებოდა კაცობრიობის გენიოსთა ნააზრევს.**

„როგორც კი ბერები ჩააქრობდნენ ლამფებს და წავიდოდნენ, იოსები ამოიღებდა სანთელს და მის სუსტ სინათლეზე იწყებდა კითხვას. არცთუ იშვიათად ღამეებს წიგნზე ათენებდა...“

— წერს მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი ნ. იაკოვლელი.

როგორ და რანაირად მოიპოვებდა ამ წიგნებს, ეს ცალკე საკითხია. ამას ჩვენი პუბლიკაციიდან შეიტყობთ.

## განსაკუთრებული ნიშნები

გადახდა მას ბიჭური თავგადასავლების თავისი წილიც...

**Такер Р. с. 75.**

ათი წლის ასაკში იგი ავტომობილის ქვეშ მოყვა. ცუდად დამუშავებული ჭრილობების გამო სისხლი მოეწამლა და შედეგად მარცხენა ხელი იდაყვში აღარ ეხრებოდა...

**Ноймайр А. с. 331.**

ნათლობის დღეს მტკვარზე გადებული ხიდის მახლობლად უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ვერავინ შენიშნა, რომ მთიდან მოჰქროდა მართვადაკარგული ფაეტონი. ფაეტონი შეიჭრა ხალხში, დაეტაკა სოსოს... მიწაზე დასცა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბიჭს მხოლოდ ფეხებზე გადაუარა. შეჯგუფდა ხალხი და ატატებული შინ მიიყვანა. დასახიჩრებული შვილის დანახვაზე დედამ იკივლა. ექიმმა გამოაცხადა, რომ შიდა ორგანოები დაუზიანებელი იყო. რამდენიმე კვირაში იგი სასწავლებელს დაუბრუნდა.

**С. Гоглидзе.**
**Цит. по: Радзинский Э. с. 36.**

თვითონ სტალინმა ხელის „მარცხენა მხარის“ დამბლა ოფიციალურად ახსნა უბედური შემთხვევით, რომელიც ბავშვობაში თავს გადახდა.

**Ноймайр А. с. 446.**

ხელი ნორმალური ჰქონდა, მაგრამ ასე ეჭირა. რაღაც ოპერაცია, როგორც ჩანს, ბავშვობაში გაიკეთა. იგი ფაეტონის ქვეშ მოჰყვა.

**В. Молотов**
**Цит. по: Чуев Ф.1. с. 362.**

სისხლის მოწამვლა მის მარცხენა ხელს დაეტყო. ხელი გაუხმა და მარჯვენაზე ოდნავ მოკლე იყო.

**Грей Я. с. 22.**

სტალინი ჯარისთვის 1916 წელს დაიწუნეს.

**— ჩათვალეს, იქ მე არასასურველი ელემენტი ვიქნებოდი,** — გვიყვებოდა ჩვენ, — **შემდეგ ხელი მოიმიზეზეს.**

სტალინს მარცხენა ხელი იდაყვში ძნელად ეხრებოდა. მან იგი ბავშვობაში დაიზიანა. დაზიანებისგან დაუჩირქდა იმიტომ, რომ ბავშვის მკურნალობა არავის შეეძლო, დაჩირქება სისხლის მოწამვლად იქცა. სტალინი სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდა.

**— არ ვიცი, მაშინ რამ გადამარჩინა, ჯანსაღმა ორგანიზმმა თუ სოფლის მალამომ, მაგრამ გამოვჯანმრთელდი,** — იხსენებდა იგი.

თუმცა დაზიანების კვალი ხელზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან გაჰყვა.

**Аллилуева А.С. (სტალინის ცოლის და).**
**Воспоминания. М., 1946. с. 29.**

პროფესორი პლეტნევი, რომელიც არაერთხელ დაკვირვებია ამ ხელს, თვლიდა, რომ დამოკლება და ფუნქციური შეზღუდვა არის შედეგი ბავშვობაში გადატანილი ინფექციური დაავადების, შესაძლებელია, პოლიომიელიტის, ანუ ბავშვთა პარალიჩის. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქალიშვილმა სვეტლანამ განაცხადა, რომ მამამისის მარცხენა ხელის დამოკლების და ფუნქციური შეზღუდვის მიზეზი მშობიარობისას მეანის მიერ დაშვებული შეცდომა იყო. ვანდერბერგი მიუთითებს, თითქოს რაღაც კავშირი არსებობს ამ ნაკლისა და კლინიკური გამოკვლევებისას აღმოჩენილ ათაშანგურ ინფექციას შორის, მაგრამ ასეთი ვარაუდი უკიდურესად ნაკლებსარწმუნოა.

**Ноймайр А. с. 446.**

სტალინმა ხელი დაისახიჩრა ერთ-ერთი ექსის განხორციელებისას **(ექსს რევოლუციონერები ხუმრობით უწოდებდნენ ექსპროპრიაციას. — ე. გ.),** იგი მარჯვე და გაბედული იყო. თბილისში ფულის გატაცების დროს იგი ეკიპაჟზე თავდამსხმელთა შორის იმყოფებოდა.

**П. Павленко.**
**Цит. по: Радзинский Э. с. 64.**

მაგრამ როგორც გინდა ყოფილიყო, სტალინის მარცხენა ხელი მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში არასრულფასოვანი რჩებოდა და მარჯვენა ხელზე ოთხი სანტიმეტრით მოკლე იყო.

**Ноймайр А. с. 331.**

სახე ნაყვავილარი ლაქებით, თვალები თაფლისფერი, ულვაშები შავი, ცხვირი ჩვეულებრივი. განსაკუთრებული ნიშნები: მარჯვენა წარბის ქვეშ — ხალი, მარცხენა ხელი სახსარში არ იშლება.

**Из полицейского донесения.**
**Цит. по: Такер Р. с. 123.**

ვკითხულობ „ი. ბ. სტალინის სამედიცინო ისტორიას“. ერთ-ერთ გვერდზე წერია: „მარცხენა ფეხის თითების შეზრდა“.

**Радзинский Э. с. 36.**

მისი მრავალრიცხოვანი დაპატიმრებებიდან ერთი — 1901 წელს ბათუმში — განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან პოლიციის არქივებში შენახულია მისი ნიშნები, რომელთა შორის, კერძოდ, ასეთიც არის: „უმნიშვნელო თანდაყოლილი სიმახინჯე — მეორე და მესამე თითების შეზრდა მარჯვენა ფეხზე“.

**Ноймайр А. с. 342.**

დიდი თეატრის ყოფილი კომენდანტი, ფაქტობრივად კი სტალინის ერთ-ერთი მცველი ა. რიბინი მომიყვა, როგორ ჩავიდნენ სტალინთან ერთად რიწის ტბაზე. წავიდნენ სრულიად დარწმუნებულები, რომ აგარაკზე ყველაფერი მზად იყო ბელადის მისაღებად. მაგრამ, როგორც ჩვენთან ჩვეულებრივ ხდება, აღმოჩნდა, რომ ასე არ არის — დაძინებაც კი არსად და არაფერზე შეიძლებოდა. დავწექით პირდაპირ ნაპირზე — საძილე ტომრებში. ღამით სტალინმა გაიღვიძა.

**— ისე ხვრინავთ, ნუ იტყვით!** — უთხრა მცველებს, აიღო თავისი საძილე ტომარა და წავიდა, ძილი მარტოს რომ გაეგრძელებინა.

**— წარმოუდგენლად უბრალო იყო ეს სტალინი!** — სიტყვასიტყვით დამახსომდა ა. რიბინის წინადადება.

ზოგჯერ სტალინი თავის ლამპასებიან შარვალს მუხლებამდე აიკაპიწებდა და წყალში შედიოდა. ამიტომ იყო, რომ ა. რიბინს ვკითხე, ჰქონდა თუ არა სტალინს ფეხზე ექვსი თითი, რის შესახებაც წავიკითხე ერთ „დემოკრატიულ“ გამოცემაში გაგანია პერესტროიკის დროს. რიბინი სახტად დარჩა:

— რომ ჰქონოდა, ჩვენ უეჭველად მივაქცევდით ყურადღებას.

**Чуев Ф.И. Солдаты империи. Воспоминания.**
**Документы. М.: 1998. с. 544 (შემდეგი ციტირება: ჩუევ ფ.2).**

## სემინარიაში

**სოსოს უეჭველმა წარმატებამ სწავლაში გააძლიერა სკოლაში არსებული დაძაბულობა მდიდარი და ღარიბი ოჯახების შვილებს შორის. კლასიდან კლასში იგი გადადიოდა, როგორც საუკეთესო მოსწავლე; სკოლა 1894 წელს 14 წლის ასაკში დაამთავრა და მიიღო წარჩინების დიპლომი, რომელსაც იშვიათად გასცემდნენ ღარიბი ოჯახებიდან მისულ მოსწავლეებზე.**

**Такер Р. с. 81.**

1894 წელს იოსებმა დატოვა გორი და თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. ამ სასწავლო დაწესებულების თითქმის 600 სტუდენტის უმრავლესობა აქ სწავლას განიხილავდა არა როგორც სასულიერო კარიერისთვის მზადებას, არამედ როგორც საერო საუნივერსიტეტო განათლების საფეხურს.

საქმე ის იყო, რომ რუსმა მეფემ ნება არ დართო, თბილისში გაეხსნათ უნივერსიტეტი, ნაციონალისტურ კრამოლად რომ არ გადაქცეულიყო. ამ დროს ხორციელდებოდა საყოველთაო რუსიფიკაციის ღონისძიებები და სემინარიაში სწავლების ენად შემოიღეს რუსული ქართულის ნაცვლად. ეს ღონისძიება, რომელიც შეხამებული იყო სემინარიაში გამეფებულ მკაცრ დისციპლინასთან, იქ ცხოვრებას უფრო ყაზარმულს ხდიდა, ვიდრე სასულიერო სასწავლებლისთვის შესაფერისს და სტუდენტთა და სემინარიის უფროსობას შორის არაერთი კონფლიქტის მიზეზი გახდა.

**Ноймайр А. с. 333.**

**თავს სრულიად უდანაშაულო პატიმრებად ვგრძნობდით, რომლებსაც აქ უნდა გაგვეტარებინა ჩვენი ახალგაზრდული წლები.**

**Иремашвили И. с. 120.**

თბილისის მართლმადიდებლური სემინარია მაშინ ახალგაზრდებს შორის გამათავისუფლებელი იდეების გავრცელების კერა იყო, როგორც ნაროდნიკულ-ნაციონალისტური, ასევე, მარქსისტულ-ინტერნაციონალისტურის. იგი სხვადასხვა საიდუმლო წრით იყო სავსე.

**Иосиф Виссарионович Сталин.**
**Краткая биография. с. 7.**

**სემინარიაში ყოფნის პირველსავე წლებში (იოსები) შესამჩნევად შეიცვალა. იგი უფრო გულჩათხრობილი და საკუთარ თავში ჩაღრმავებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სწრაფად ისწავლა შეუღწეველი ფარდის იქით საკუთარი აზრებისა და გრძნობების გარშემო მყოფთაგან დამალვა, რაც მომავალში მისი ტაქტიკის განმსაზღვრელი ელემენტი გახდა.**

**Ноймайр А. с. 335.**

ირემაშვილი წერდა, რომ იმ დროს სოსო გამხდარი და ძარღვიანი იყო. არწივისებრი ცხვირით, ნაყვავილარი სახით, მუქი, ცოცხალი და მოუსვენარი თვალებით. იგი დაბალი ტანის, მაგრამ ღონიერი იყო და ყველაზე უკეთ ჩხუბობდა. მაგრამ **„იოსები სხვებს არ ჰგავდა“...** როგორც ყველა ნიჭიერი ადამიანი, რომლებიც განიცდიან საკუთარ სიღარიბეს, მდაბიურ წარმოშობას ან ფიზიკურ ნაკლს, იგი აგრესიული იყო. თავს ასე იმკვიდრებდა. იგი **„კარგი მეგობარი იყო იქამდე, სანამ შენ ემორჩილებოდი მის ძალაუფლებისმოყვარულ ნებას“.**

**Грей Я. с. 22.**

სემინარიაში მიღების მომენტისთვის იოსები მხოლოდ 14 წლისა იყო. სხეულის აღნაგობით იგი უფრო სუსტი და უძლური გახლდათ, მაგრამ **ძალიან მალე არა მხოლოდ თანაკლასელებმა, არამედ მასწავლებლებმაც მიაქციეს ყურადღება მისთვის დამახასიათებელ საკუთარი ღირსების ძლიერ გრძნობას, რაც** უჩვეულო იყო ასეთი ▶

## სემინარიაში ყოფნის პირველსავე წლებში (იოსები) შესამჩნევად შეიცვალა. იგი უფრო გულჩათხრობილი და საკუთარ თავში ჩაღრმავებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სწრაფად ისწავლა შეუღწეველი ფარდის იქით საკუთარი აზრებისა და გრძნობების გარშემო მყოფთაგან დამალვა, რაც მომავალში მისი ტაქტიკის განმსაზღვრელი ელემენტი გახდა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ნორჩი ასაკისთვის. შეიძლება აქ დედის გავლენა იგრძნობოდა... რომელმაც სემინარიაში შვილის ჩარიცხვით უზრუნველყო მისი უკეთესი მომავალი.** დედის გაუტეხელმა რწმენამ დედისერთა და უეჭველად ჭკვიანი შვილის მიმართ, დაარწმუნა, რომ მან, როგორც დედის „დელეგატმა“, უეჭველად მნიშვნელოვანი რამ უნდა ჩაიდინოს.

**Ноймайр А. с. 333.**

600 მოსწავლე, რომლებიც პრაქტიკულად მთელი დროის მანძილზე (სადილის შემდეგ დაახლოებით ერთი საათის გამოკლებით) ჩაიკეტნენ ყაზარმის ტიპის ნაგებობაში, რომელსაც ზოგიერთმა „ქვის ტომარა“ უწოდა, მკაცრად რეგლამენტირებულ ცხოვრებას ეწეოდა: 7:00 — ადგომა, დილის ლოცვა, ჩაი, საკლასო მეცადინეობა 14:00-მდე, 15:00 — სადილი, 17:00 — სიის ამოკითხვა, საღამოს ლოცვა, ჩაი — 20:00, შემდეგ დამოუკიდებელი მეცადინეობა, 22:00 — დაძინება.

**Такер Р. с. 85.**

**როგორც კი ბერები ჩააქრობდნენ ლამფებს და წავიდოდნენ, იოსები ამოიღებდა სანთელს და მის სუსტ სინათლეზე იწყებდა კითხვას, არცთუ იშვიათად ღამეებს წიგნზე ათენებდა.** შედეგმა არ დააყოვნა: მას ავადმყოფის ელფერი დაედო. ზოგჯერ მეგობრები წაართმევდნენ წიგნს და აქრობდნენ სანთელს.

**Яковлев Н.Н. с. 25.**

**15-16 წლისა რომ იყო, სოსომ მოიფიქრა, საკუთარი განათლება... ბუკინისტურ მაღაზიებში წიგნების კითხვით შეევსო — დიდხანს იდგა დახლთან და გატაცებით კითხულობდა წიგნის „დათვალიერების“ საბაბით.**

როცა ეს ეშმაკობა გაუგეს და მას კინაღამ აუკრძალეს წიგნის მაღაზიებში შესვლა, ახალგაზრდა ჯუღაშვილმა მოიფიქრა სხვა ხერხი: იგი მაღაზიიდან ქირაობდა წიგნს დღე-ღამეში 10 კაპიკად. მაგრამ კი არ კითხულობდა ამ წიგნებს, არამედ რამდენიმე მეგობარი დაარწმუნა, კოლექტიურად გადაეწერათ. გადაიწერდა ერთ ჯერზე ორი ადამიანი — თითოეული თითო გვერდს, ისინი გაშლილი წიგნის ორივე მხარეს ისხდნენ. ამ ხერხმა იმდენად დააჩქარა გადაწერის პროცესი, რომ საკმაოდ სქელი წიგნის, რომელიც სამი მანეთი ღირდა, გადაწერას სამ დღეში ასწრებდნენ, რაც მათ მხოლოდ 30 კაპიკი (სამივეს) უჯდებოდა, ანუ — ათჯერ იაფი. ხელნაწერებს ყდაში ჩასვამდნენ. **ამ გზით შედარებით მოკლე დროში სოსოს საკმაოდ ნორმალური ბიბლიოთეკა გაუჩნდა.** როცა სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ მან ობსერვატორიაში დაიწყო მუშაობა, ეს „ბიბლიოთეკა“ მის ოთახში ინახებოდა. მოგვიანებით, როცა იოსებ ჯუღაშვილი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა (1901), „ბიბლიოთეკა“ მეგობრებში გაანაწილეს... **ამ ბიბლიოთეკაზე მიახლოებითი წარმოდგენა გვექმნება ლადო კეცხოველისა და სხვა ქართველი რევოლუციონერების (სტურუა, ჯიბლაძე) მოგონებების წყალობით. იქ იყო მარქსის, ენგელსის, გოეთეს, შილერის, არისტოტელეს, შექსპირის, დარვინის, ჰაინეს, ადამ სმიტის, ტუგან-ბარანოვსკის, სტრუვეს, პლეხანოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პისარევის, ტურგენევის, დობროლიუბოვის, სალტიკოვ-შჩედრინის და ქართველი მწერლების — ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, ყაზბეგის, ნინოშვილის, იოსელიანის, აკაკის წერეთლისა და სხვათა წიგნები.**

**Похлебкин В. с. 73-74.**

### კობა

იმავე ასაკში სტალინმა წაიკითხა ყაზბეგის წიგნი „მამის მკვლელი“, რომელმაც შეძრა იგი. რომანის მთავარმა გმირმა კობამ მთელი თავისი ცხოვრება რუს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა.

**Иванов Я. Еще одна загадка Сталина.**

**Независимая газета. 1996. 21 дек.**

მთაში დაბადებული მხურვალე ქართველი პატრიოტი ყაზბეგი თხზავდა ადამიანის წარმოსახვის ამაფორიაქებელ მოთხრობებს კავკასიის მთიელთა ბრძოლის შესახებ მათ მიწაზე შემოჭრილი რუსული ჯარების წინააღმდეგ. არსებითად ეს იყო მოგონილი ისტორიები, რომლებიც ძალიან ჰგავდა ინდიელების პოზიციებიდან გადმოცემულ ინდიელებისა და თეთრკანიანების შეტაკებებს...

რომანში სიყვარული, ინტრიგები და თავგადასავლები გადახლართულია 1845 წლის ნამდვილ ისტორიულ მოვლენებთან, როცა მთიელთა რაზმები იმამ შამილის ხელმძღვანელობით ბრძოლით დაუპირისპირდნენ რუსეთის საექსპედიციო კორპუსს, რომელსაც კავკასიაში მეფის ნაცვალი, გრაფი ვორონცოვი ედგა სათავეში. წიგნი მოგვითხრობს ახალგაზრდა სოფლელების — იაგოსა და ნუნუს შესახებ, რომელთაც ბედისწერა დროდადრო ერთმანეთს გაჰყრის, მათ ერთგულ მეგობარ კობაზე, რომელიც, რაც ძალა შესწევს, ცდილობს, დაეხმაროს მათ. ამ ძალისხმევაში იგი უმთავრესად ეყრდნობა თავის სიმამაცეს, საზრიანობას, ნათელ გონებას და ყველა სიტუაციიდან ღირსეულად გამოსვლის უნარს. იაგო ციხეშია მოთავსებული, ნუნუ გატაცებულია სოფლის მოღალატის — გირგოლას ხრიკების მეშვეობით, რომელიც რუსებთან თანამშრომლობს. კობა ნუნუს გამტაცებლებს წინ აღუდგება, ერთ-ერთს კლავს და ყაჩაღად გავარდება, შემდეგ კი იაგოს გაქცევას უზრუნველყოფს. ორივე ახალგაზრდა, რობინ ჰუდის მსგავსად, ტყეში ცხოვრობს, მეგობრობენ გლეხებთან, ებრძვიან კაზაკებს და ხელთ იგდებენ რამდენიმე რუს ოფიცერს, რომლებსაც შამილს მიჰგვრიან. სწორედ იმ მომენტში, როცა ისინი უკვე მზად არიან, გაათავისუფლონ ნუნუ და შეუერთდნენ შამილს, მათ ბედი უმტყუნებს. გირგოლას და მისი კაცების მახეში მოხვედრილები, ისინი ებრძვიან მოწინააღმდეგის აღმატებულ ძალებს. იაგოს კლავენ, ნუნუ კვდება მას შემდეგ, რაც საკუთარი მამის მკვლელობას დასწამებენ და მხოლოდ კობა გადარჩება.

ეპილოგში კობას შურისძიების გასროლა გაისმის და სასიკვდილოდ დაჭრილი გირგოლა თავის ყველა დანაშაულს აღიარებს.

**Такер Р. с. 82-83.**

**კობა სოსოსთვის დაკარგული ღმერთის სანაცვლო გახდა. იგი მისთვის ცხოვრების აზრად იქცა.**

**Иванов Я.**

**Независимая газета. 1996. 21 дек.**

სოსოსთვის იდეალი და ოცნების საგანი არის კობა. მას სურდა, დამსგავსებოდა კობას, მებრძოლსა და გმირს... მასში უნდა აღმდგარიყო კობა. ამ მომენტიდან **სოსომ დაირქვა კობა და მოითხოვდა, რომ ჩვენც მხოლოდ ასე მიგვემართა მისთვის. სოსოს სახე სიამაყითა და სიხარულით გაბრწყინდებოდა ხოლმე, როცა კობას დავუძახებდით.**

**Иремашвили И. с. 12.**

ჩვენთვის საინტერესო პიროვნების ცხოვრებაში კობას სიმბოლური სახის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, ღირს, უთუოდ დაწვრილებით შევჩერდეთ იმაზე, თუ რამ მიიპყრო იმთავითვე ამ სახეში სოსოს ყურადღება. **კობა „მამის მკვლელიდან“ სულაც არ არის რთული და დახვეწილი ბუნების, არამედ საკმაოდ სწორხაზოვანი, იდეალიზებული გმირის ტიპია, რომელიც ყოველთვის გვხვდება ამ ჟანრის რომანებში, — ძლიერი, ჩუმი, უშიშარი რაინდი, სახელოვანი ბრძოლაში, ჩუბინი, მოქნილი და მძიმე სიტუაციებში გამოსავლის მპოვნელი. ასეთი თვისებები, რასაკვირველია, უნდა მოსწონებოდა ჩხუბისთავ მოზარდს, რომელსაც სურდა საკუთარი თავის გმირად წარმოდგენა. მაგრამ ყაზბეგის მიერ მოთხრობილ ამბავში კობამ გამოამჟღავნა კიდევ ერთი თვისება, რომელმაც იგი სოსო ჯუღაშვილისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი გახადა: იგი შურისმაძიებლად წარმოჩნდა.**

შურისძიების თემა წითელ ხაზად გასდევს მთელ რომანს. მაგალითად, კავკასიელი მთიელების სისხლის აღების წესი მრავალჯერ მოწონებითაა მოხსენიებული. რომანში უბრალო ქართველ ადამიანებს ერთი სურვილი წვავს — შური იძიონ რუს დამპყრობლებზე, რომლებმაც ხელთ იგდეს ქვეყანა, გაძარცვეს და დაამცირეს მისი ხალხი. თვით შამილი — „რკინის ადამიანი“, მამაცი სარდალი, რომელსაც აღმერთებენ მისი მომხრენი — წარმოდგენილია, როგორც სახალხო შურისმაძიებელთა მოძრაობის ხელმძღვანელი, „სახალხო რისხვის განსახიერება“. იაგოსა და კობას გულმხურვალედ სურთ, შური იძიონ არა მხოლოდ უშუალო მჩაგვრელზე (გირგოლასა და სამაზრო პოლიციის უფროსზე), არამედ, ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რომლებიც ასეთ არამზადებს მხარს უჭერენ. შამილისთვის მსახურებაში ისინი ხედავენ ზეცის მიერ ბოძებულ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ შურისძიების კოლექტიურ აქტში. ამრიგად, **რომანმა „მამის მკვლელმა“ სოსოს არა მარტო იდეალიზებული გმირი წარუდგინა შურისმაძიებლის როლში, არამედ დაარწმუნა — შურისძიების განხორციელებული აქტის ზეიმი, ღირსეული საქმეა, რომელსაც შეიძლება მიუძღვნა ცხოვრება.**

**Такер Р. с. 83-84.**

რას ნიშნავდა სინამდვილეში სახელი კობა?

როგორც გინდა განვმარტოთ ეს სიტყვა, რა ვერსიებიც გინდა ჭეშმარიტებად ვაღიაროთ, რაგინდ უცნაური იყოს, ყოველთვის ერთსა და იმავე დასკვნამდე მივდივართ: ამ ფსევდონიმს ახალგაზრდა ჯუღაშვილისთვის სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, თანაც ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა.

მაგალითად, **თუ ვირწმუნებთ, რომ კობა (კობე, კოვა, კობ) საეკლესიო-სლავური ენიდანაა აღებული, იგი ნიშნავს მოგვობას, მომასწავლებლობას, ავგურს, მოგვს, წინასწარმეტყველს, რომელიც ახლოა სტალინის წინარე ფსევდონიმთან — კ. კატო, მაგრამ უფრო ფართო და უფრო განზოგადებული აზრით.**

**თუ გამოვალთ იქიდან, რომ ეს სიტყვა ქართულია და სახელს ნიშნავს, მაშინ იგი არის სპარსთა მეფის, კობადესის, სახელის ქართული ეკვივალენტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ისტორიაში.**

მეფე კობამ დაიპყრო აღმოსავლეთ საქართველო, მის დროს საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში იქნა გადატანილი (V საუკუნის ბოლო), სადაც 1500 წლის მანძილზე დღემდე რჩება.

**მაგრამ კობა მხოლოდ მეფე არ არის სასანიდების დინასტიიდან, იგი, ბიზანტიელი ისტორიკოსის — თეოფანეს აზრით, დიადი ჯადოქარია.** მან თავისი ტახტი ადრეკომუნისტური სექტის ჯადოქრების წყალობით დაიმკვიდრა. ეს სექტა ყველა ქონების თანაბრად განაწილებას ქადაგებდა. კობამ სექტანტები მმართველობაში მიიზიდა, რითაც მაღალ კლასებს თავზარი დასცა, რამაც მათ გადააწყვეტინა, მოეწყოთ ამბოხი კობას წინააღმდეგ და ჩამოაგდეს კიდეც ტახტიდან. მაგრამ ციხეში დამწყვდეული მეფე-კომუნისტი გაათავისუფლა მისმა ერთგულმა ქალმა და მან კვლავ დაიბრუნა ტახტი. **მეფე კობას ბიოგრაფიის ეს დეტალები** (კომუნისტური იდეალები, ციხე, გაქცევაში ქალის დახმარება, ტახტზე ტრიუმფალური დაბრუნება) **რაღაცნაირად ემთხვევა სტალინის ბიოგრაფიის ფაქტებს. უფრო მეტიც, ისინი ემთხვევა მაშინაც კი, როცა სტალინმა ეს ფსევდონიმი მოიცილა, რადგან 1904-1907 წლებში სტალინი, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა 1936-1937 წლებს, მაგრამ მან იცოდა, რომ მისი სეხნია — მეფე კობა 529 წელს (გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე) მხეცურად გაუსწორდა თავის ყოფილ მოკავშირეებს — კომუნისტ-მაზდაკიტებს.**

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის ზოგიერთი უცხოელი ბიოგრაფი, მათ კვალზე კი მათი მიმბაძველი მშობლიური ბიოგრაფები, რომლებიც ეფუძნებიან ზოგიერთ თავიანთ ქართველ ზედაპირულ ინფორმატორებს, მიიჩნევენ, რომ სტალინმა ფსევდონიმი კობა თითქოს ისესხა ქართველი კლასიკოსის — ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი რომანიდან „მამის მკვლელის“ გმირის სახელიდან, რომელსაც ასევე კობა ერქვა და რომელიც რომანში თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მთიელ-ყაჩაღად არის წარმოდგენილი. მხედველობაშია მისაღები, რომ ა. ყაზბეგთანაც სახელი კობა მეორადია, გადმოღებულია მეფე კობადან, რის შემდეგაც გავრცელდა საქართველოში.

**Похлебкин В. с. 47-48.**



## 15-16 წლისა რომ იყო, სოსომ მოიფიქრა, საკუთარი განათლება... ბუკინისტურ მაღაზიებში წიგნების კითხვით შეევსო — დიდხანს იდგა დახლთან და გატაცებით კითხულობდა წიგნის «დათვალიერების» საბაბით

## რომანმა «მამის მკვლელმა» სოსოს არა მარტო იდეალიზებული გმირი წარუდგინა შურისმაძიებლის როლში, არამედ დაარწმუნა — შურისძიების განხორციელებული აქტის ზეიმი, ღირსეული საქმეა, რომელსაც შეიძლება მიუძღვნა ცხოვრება

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე მგრძნობიარე წიგნი

**MIT's Media Lab-ის მკვლევარებმა შექმნეს პროექტი „მგრძნობიარე ბელეტრისტიკა“.** ეს არის წიგნი, რომელიც სპეციალური სენსორებისა და განათების წყალობით მკითხველს ფიზიკურად გადასცემს პერსონაჟის გრძნობებს. ჯგუფმა შექმნა ჟილეტი, რომელიც სენსორებით ფუნქციონირებს. მაგალითად, თუ მთავარი გმირი შეშინებულია, ჟილეტში მოთავსებული ჰაერის წნევის ჩანთები იკუმშება. თუ გმირი აღელვებულია, ჟილეტს შეუძლია ვიბრირება მანამდე, სანამ მკითხველის გული უფრო სწრაფად არ დაიწყებს ცემას. თუ პერსონაჟს რცხვენია, ჟილეტი იკუმშება, თბება და კანის ტემპერატურა იცვლება.






# საუკეთესო ონლაინ-თამაში

**2013 წლის საუკეთესო ონლაინ თამაშად ლონდონის ოტელ პლაზა ვესტმინსტერ ბრიჯში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ბელორუსი ავტორების „World of Tanks“-ი აღიარეს. თამაშმა ეს სტატუსი ზედიზედ მეორედ მოიპოვა და პრესტიჟული პრემია „Golden Joystick“-იც მიიღო.** პრიზიორების სამეულში შევიდა ონლაინ-თამაშები „DotA 2“ და „League of Legends“. საუკეთესო კომპიუტერულ თამაშად დასახელდა „Grand Theft Auto V“. პრიზიორები მსოფლიოს ყველა ქვეყნის გეიმერებმა გამოავლინეს ონლაინში ხმის მიცემით.



# ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი

**მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტია ტანიშკ აბრაამი, რომელიც წარმატებით სწავლობს ამერიკან რივერ კოლეჯის პალეონტოლოგიისა და ასტროლოგიის ფაკულტეტზე და მალე ბაკალავრის სტატუსსაც მიიღებს. ბიჭი უნივერსიტეტში 7 წლის ასაკში ჩაირიცხა საერთოფედერალური ინტელექტუალური ტესტის „ხუთიანზე“ ჩაბარების შედეგად.**

ამერიკულ კანონმდებლობაში დადგენილი არ არის სასკოლო ატესტატის მიღების ასაკი, ამიტომ ბიჭს არაფერი უშლიდა ხელს, უნივერსიტეტში სხვებზე ბევრად ადრე ჩაებარებინა.

მშობლების განცხადებით, 2 წლის ასაკში ბავშვმა უკვე გამოავლინა ფენომენალური შესაძლებლობები, ხუთი წლისა კი სტენდფორდის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებისთვის განკუთვნილ ამოცანებს ხსნიდა.

# ჯიმი ექიმი 20 წელი უსახლკაროებს უფასოდ კურნავს

**აშშ-ში, ქალაქ პიტსბურგში ექიმი ჯიმ უიტერსი 20 წელი ადგილობრივ უსახლკაროებს სრულიად უანგაროდ ეხმარება.**



ექიმი ყოველ ღამე ქუჩაში გადის და ადამიანებს, რომლებსაც სამედიცინო დახმარება სჭირდებათ, კონსულტაციას უწევს და ხშირად მედიკამენტებსაც აწვდის.

მას ადგილობრივები „ქუჩის ექიმის“ სახელით იცნობენ. იმისათვის, რომ უსახლკაროებმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნონ, ჯიმი ძველმანებს იცვამს.

1994 წლიდან დღემდე მან 1 200-ზე მეტი უსახლკარო განკურნა და ქუჩაში სიკვდილისგან იხსნა. დღეს უკვე საკუთარ კამპანიას კურირებს, რომელშიც მოხალისეები და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები მუშაობენ — მედიკოსთა ჯგუფი მთელი ღამე უსახლკარო ადამიანთა განკურნებაზე ზრუნავს.

უსახლკაროების თქმით, მათ მშვიდად სძინავთ, რადგანაც იციან, რომ „ქუჩის ექიმი“ მათ გვერდითაა.




# ყველაზე ელასტიური კანი

**გერი „სტრეტჩ“ ტერნეტრი გინესის რეკორდების წიგნის მიერ აღიარებულია, როგორც ყველაზე ელასტიური კანის მქონე ადამიანი.** მის გარდა დედამიწაზე არავის შეუძლია, ამდენად გაწელოს საკუთარი კანი. ბრიტანელს იმდენად ელასტიური კანი აქვს, რომ მუცლის კანით შეუძლია საწერი მაგიდა დაფაროს, ან ხელებიდან კანი 15,8 სანტიმეტრზე გაწელოს. ამასთან, 41 წლის გერი არანაირ ტკივილს არ განიცდის. მას ელარს-დანსონის უცნაური სინდრომი აქვს. ეს გენეტიკური დაავადებაა, რომელიც ასუსტებს და წელავს კანს.



# ყველაზე უცნაური ატრაქციონი

**ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ატრაქციონების პარკში მძაფრი შეგრძნებების მოყვარულები „ტიტანიკით“ იმგზავრებენ, აისბერგის დარტყმას იგრძნობენ და წყალში ჩაიძირებიან.** ჩინეთში „ტიტანიკის“ ზუსტ ასლს აშენებენ. მშენებლობის დასრულების შემდეგ, ხომალდის ბილეთების გაყიდვას აპირებენ, შემდეგ კი მას მგზავრებთან ერთად ჩაძირავენ. ყველაფერი ისე მოხდება, როგორც 1912 წლის ტრაგედიისას. მაგრამ ამჯერად პროცესი უმსხვერპლოდ დასრულდება. „ტიტანიკს“ ოკეანეშიც კი არ გაუშვებენ — მას სიჩუანის ატრაქციონების ახალ პარკში დადგამენ. ატრაქციონი ლეგენდარული საკრუიზო ლაინერის ზუსტი ასლი იქნება და მას მდინარის ნავმისადგომთან განათავსებენ. მის აგებას მილიარდი იუანი მოხმარდება.



# ყველაზე მძლავრი მორევი

**მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მორევი ნორვეგიაში, ქალაქ ბუდედან 33 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და მას სალტშტრაუმენი ჰქვია.**

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მორევი დაახლოებით 2500 წლისაა და იგი გამყინვარების შემდგომ პერიოდში დედამიწის ზედაპირის შეცვლის შედეგად გაჩნდა.



# ყველაზე პატარა მებრძოლი

**იგი ჯერ მხოლოდ 4 წლისაა და სასტიკ სამოქალაქო ომში იბრძვის.** „ჯიჰადის ლეკვი“ სირიაში მიმდინარე სისხლიანი ომის ახალწვეულია. ვიდეოზე, რომელიც დასავლურმა გამოცემებმა გაავრცელეს, ჩანს, როგორ ხსნის ბავშვი ცეცხლს ავტომატიდან. ეს არის დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ როგორ ამზადებენ ჯიჰადის წევრები ბავშვებს, რათა მომავალში მებრძოლებად გამოზარდონ. გავრცელებული ინფორმაციით, ბიჭუნა ჯიჰადის ერთ-ერთი წევრის ვაჟია, რომელიც ალბანეთიდანაა და სირიაში „ალ-ქაიდასთან“ ერთად იბრძვის. პატარას შავი ნიღაბი უკეთია და AK-47-დან ისვრის. ბიჭუნა ისეთი პატარაა, რომ იარაღი ქუჩაში სახელდახელოდ გაკეთებულ ბლოკებზე დევს, რათა ავტომატის სიმძიმეს გაუმკლავდეს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ყველაზე დიდხანს თოვლში

**ხეილუნცზიანის პროვინციის მცხოვრებნი ცზინ სუნხაო და ჩელ კეცაი ახალი რეკორდის ავტორები გახდნენ. მათ დაამარცხეს დანიელი ვიმ ხოფა, რომელმაც ყინულის კუბებით სავსე მინის კოლბაში 115 წუთი გაძლო.**

ახალი რეკორდი, რომლის ავტორიც გახდა ცზინ სუნხაო, ქალაქ იანცზიში, ჩინეთში დამყარდა და 120 წუთი შეადგინა. მისმა მეწყვილემ ორ საათამდე სულ რაღაც ორი წუთი ვერ გაძლო — მან შეჯიბრი 119-ე წუთზე შეწყვიტა.

# ყველაზე ძვირადღირებული ნივთიერება



**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ნივთიერებად ითვლება ანტინივთიერება, რომელიც ანტინაწილაკებისგან შედგება. ეს დედამიწაზე ყველაზე ძვირადღირებული სუბსტანციაა და მისი ერთი გრამი 62,5 ტრილიონი დოლარი ღირს.**

# ყველაზე ძვირადღირებული მეტალი



**კალიფორნიუმი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მეტალია. შეფასებების მიხედვით, მისი ერთი გრამის ღირებულება შეადგენს 10-დან 27 მილიონამდე დოლარს.** კალიფორნიუმი ხელოვნური გზით იქნა მიღებული 1950 წელს ბერკლში მდებარე კალიფორნიის უნივერსიტეტში გლენ თეოდორ სიბორგის ჯგუფის მიერ. ყველაზე ძვირადღირებული მეტალი აქტინოიდია, აქვს ატომური ნომერი 98 და მენდელეევის პერიოდული სისტემის მეშვიდე პერიოდშია განთავსებული.



# ყველაზე ხანდაზმული ჯუჯა

**ინდოელი ქალი აცხადებს, რომ მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ჯუჯაა. იგი 113 წლისაა.** ზინატ ბი ინდოეთში, ბხოპალეში ცხოვრობს და აქვს სახელმწიფო საპენსიო ჩანაწერები იმის შესახებ, რომ მისი ასაკი 101 წელია, მაგრამ თავად ჯიუტად ირწმუნება, რომ სინამდვილეში მისი ასაკი ამ ჩანაწერებში 12 წლითაა შემცირებული.



# ყველაზე დიდი საპნის ბუშტი

**39 წლის ბრიტანელმა სემ ჰიტმა მეშვიდედ დაამყარა გინესის რეკორდი ყველა საპნის ბუშტთან დაკავშირებით.**

ახლახან მან კვლავ გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი და ერთი გიგანტური ბუშტის შიგნით 56 პატარა ბუშტი გაბერა. ბოლო რეკორდისას პატარა ბუშტების რაოდენობა 46-ს შეადგენდა.

# ყველაზე მაღალი იროკეზი



**ეს ფაქტი ოფიციალურად დაფიქსირდა გინესის რეკორდების წიგნში ნიუ იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე.** ღონისძიება ახალი წიგნის გამოცემას ეძღვნებოდა და სწორედ იქ წარუდგინა იაპონელმა საზოგადოებას საკუთარი მიღწევა. ვატანაბეს იროკეზის სიმაღლე 125 სანტიმეტრს შეადგენდა.

40 წლის რეკორდმსმენი წარმოუდგენლად გახარებული იყო საკუთარი მიღწევით, რადგან კაცუხირო ვატანაბეს იროკეზზე სამი პროფესიონალი პარიკმახერი მუშაობდა.

# ყველაზე ძლიერი თითი



**პლანეტაზე ყველაზე ძლიერი თითის მფლობელი კუნგ-ფუ-ს ოსტატი ფუ ბინგლია.** 7 წლის ასაკიდან იგი დაკავებული იყო საბრძოლო ხელოვნების შესწავლით და 32 წლის შემდეგ შეძლო, თავდაყირა დადგეს ისე, რომ მხოლოდ ერთ საჩვენებელ თითს ეყრდნობოდეს. ფუ ოფიციალურად გინესის რეკორდების წიგნში მას შემდეგ მოხვდა, რაც ერთ თითზე 12 აზიდვა გააკეთა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვილა «Leopolda»

**ღირებულება 506 000 000 ამერიკული დოლარი**
ვილა მდებარეობს ფრანგულ რივიერაზე. 1929-1931 წლებში ვილა დააპროექტეს და ააგეს მამულში, რომელიც წარსულში ეკუთვნოდა ბელგიის მეფე ლეპოლდ II-ს.
სასახლე დეკორაციის სახით გამოიყენეს ალფრედ ჰიჩკოკის ფილმის „დაიჭირე ქურდი“ გადაღების დროს.



# ყველაზე ძვირადღირებული ნივთები



## ჰერმესის ჩანთა – (Hermes Birkin)

**ღირებულება — 203 150 ამერიკული დოლარი**
30-სანტიმეტრიანი წითელი ნიანგის ჩანთა თეთრი ოქროს ბალთებით და 18- კარატიანი ბრილიანტებით ღია აუქციონზე დალასში 2011 წელს გაიყიდა.
ჰერმესის ჩანთა საშუალოდ 8000 ამერიკული დოლარი ღირს და მის შესაძენად „ლოდინის“ ფურცელზე უნდა ჩაეწეროთ.



## მკვდარი ვეფხვი-ზვიგენი აკვარიუმში

**ღირებულება – 12 000 000 აშშ დოლარი**
ყველაზე საშიში ზვიგენი ვეფხვი-ზვიგენია. ზოგჯერ მას „ზღვის ნაგვის ყუთს“-აც ეძახიან, რადგან, თუ მოშივდა, ყველაფერს ყლაპავს....
ცნობილმა კოლექციონერმა ჩარლზ საატჩიმ სწორედ ამ ფასად მიჰყიდა ექსპონატი (ვეფხი-ზვიგენი) ამერიკელ კოლექციონერ სტივ კოენს.



## Chopard-ის საათი ინკუსტრირებული ბრილიანტებით

**ღირებულება – 25 000 000 ამერიკული დოლარი**
გულის ფორმის სამი დიდი ბრილიანტი (თითო — 38 კარატი) გარშემოვლებულია ყვითელი და თეთრი ბრილიანტებით (163 კარატი). საათი 2000 წელს დიდ ბრიტანეთში გაიყიდა.



## სამეფო ბრილიანტების ჭადრაკი

**ღირებულება – 5 000 000 ამერიკული დოლარი.**
მთლიანად ხელნაკეთი ნამუშევარია. შექმნილია ცნობილი ფრანგი მხატვარის და იუველირის — ბერნარ მაკვინის მიერ 2005 წელს. მის შექმნას 45 000 სამუშაო საათი, 1168,75 გრამი 14-კარატიანი თეთრი ოქრო და 9900 თეთრი და შავი ბრილიანტი (საერთო მასით 186,09 კარატი) დასჭირდა.



## ბროლის როიალი

**ღირებულება – 3 220 000 ამერიკული დოლარი**
მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც ცნობილი პიანისტი Lang Lang-ი უკრავდა ოლიმპიური თამაშების გახსნაზე პეკინში (2008 წელს), აუქციონზე გაიყიდა 3 220 000 აშშ დოლარად.



## ვილის სამაჯური

**ღირებულება 12 400 000 აშშ დოლარი**
სამაჯური ეკუთვნოდა ვინძორის (ბერკშირის საგრაფო) ჰერცოგის ცოლს – ვილის სიმპსონს.
ავაზას სახიანი სამკაული ეკუთვნოდა ქალს, რომელთანაც ქორწინების გამო მეფე ედუარდ VIII-მ უარი თქვა ტახტზე. სამაჯური, რომელიც ინკუსტრირებულია ცირკონებითა და ბრილიანტებით, გაიყიდა „Sothebys“-ის აუქციუონზე 2010 წელს.



## ავტომობილი – Ferrari 250 GTO (1962)

**ღირებულება – 35 000 000 ამერიკული დოლარი**
ყველაზე ძვირადღირებული მანქანა შეიძინა კოლექციონერმა კრეიგ მაკკავმა, რომელმაც 1993 წელს 11,5 მილიარდ დოლარად გაყიდა სატელეკომუნიკაციო კომპანია AT & T.



## ფოტოაპარატი «Susse Freres»

**ღირებულება – 775 000 ამერიკული დოლარი**
ძველი კამერა, რომელიც გამოჩნდა 1839 წელს, ითვლება უძველეს კომერციულ ფოტოკამერად მსოფლიოში. კამერა გაიყიდა ლონდონის „Christies“-ს აუქციონზე 2007 წელს.



## მაგნიტის «მფრინავი» საწოლი

**ღირებულება – 1 600 000 ამერიკული დოლარი**
2006 წელს დამზადებული საწოლი უძლებს 900 კილოგრამს და დაკიდულია იატაკიდან 40 სანტიმეტრზე.



## ვარდისფერი ბრილიანტის ბეჭედი

**ღირებულება – 23 200 000 ამერიკული დოლარი**
ბეჭედი მართკუთხა ვარდისფერი 14,23-კარატიანი ბრილიანტით გაიყიდა „Christies“-ის აუქციონზე ჰონ-კონგში 2010 წელს. უძვირფასესი თვლის მფლობელი ანონიმური მყიდველი გახდა.



## XVIII საუკუნის ანტიკური ბუფეტი

**ღირებულება – 36 700 000 ამერიკული დოლარი**
3,5-მეტრიანი კარადა დამზადებული იყო შავი აბაზონის ხისგან 19 წლის ჩარლზ ჰენრი სომერსეტისთვის — ბოფორტის მე-3 ჰერცოგისათვის. რთული კონსტრუქციის კარადა, რომელსაც 30 კვალიფიციური ოსტატი 7 წლის განმავლობაში ქმნიდა, აუქციონზე 2004 წელს გაიყიდა.

## ყველაზე იშვიათი ფერის თვალი

როგორც გაირკვა, პლანეტაზე ადამიანების უმეტესობას ყავისფერი თვალები აქვს, ყველაზე იშვიათი კი მწვანე თვალებია. სტატისტიკის მიხედვით, მწვანე ფერის თვალები დედამიწაზე მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს აქვს. ასეთ ფერს განაპირობებს ორგანიზმში მელანინის რაოდენობა. მწვანე ფერის თვალების მქონეთ მელანინი ცოტა აქვთ, ყავისფერთვალებიანებს კი — ბევრი. მწვანე ფერის თვალები ძალზე იშვიათია შუასაუკუნოვანი ინკვიზიციის წყალობითაც. მაშინ მწვანეთვალება წითურ გოგოებს ჯადოქრებად თვლიდნენ და კოცონზე წვავდნენ.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოქროს ლამბორჯინი

**ინჟინერმა რობერტ გულპენმა გადაწყვიტა, Lamborghini Aventador-ის მასშტაბური მოდელი მთლიანად ოქროსგან გამოჩარხოს და ის პლატინისა და ბრილიანტების ელემენტებით მორთოს.**





ასეთი მოდელის პროტოტიპი, რომელიც ნაკლებად ფასეული მასალებითაა გაკეთებული, დუბაიში გამოფინეს. იქვე გამოცხადდა, რომ ოქროს „ლამბო“ აუქციონზე 7,5 მილიონ დოლარად შეფასდება. ამ თანხიდან 650 000 დოლარი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. ოქროს ლამბორჯინის შესაქმნელად გამოყენებული მასალების ჯამური ღირებულება 2,64 მილიონ დოლარს მიაღწევს.

მანქანას ოქროს ნახევარტონიანი მასალისგან გამოჩარხავენ. წამოწყებაში Lamborghini-ც მონაწილეობს, რომელიც გულპენს ავტომობილის ნახაზებს, კომპიუტერულ მოდელსა და ზომებს მიაწვდის. ავტომობილს ხუთგანზომილებიან სახარატო ჩარხზე გამოჩარხავენ.

ოქრო ერთადერთი მასალა არაა, რომელიც უცნაური მასშტაბური მოდელის შესაქმნელად შეირჩა. ბორბლების, კაბინის შუშებისა და ინტერიერის დეტალების დასამზადებლად სხვადასხვა ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვებსა და მეტალებს გამოიყენებენ.

გულპენი ამბობს, რომ მასალებს შემკვეთი თავად შეარჩევს. უკვე ცნობილია, რომ ოქროსა და პლატინის გარდა, მოდელი სხვადასხვა ზომის 700 ცალი ბრილიანტითაც აღიჭურვება. საბოლოო პროდუქტის წონა დაახლოებით 25 კილოგრამი იქნება.

აღსანიშნავია, რომ გულპენმა ორი წლის წინ, Lamborghini Aventador LP 700-4-ის მასშტაბური (1X8) მოდელი შექმნა. ის ავტომობილი კარბონისგან დამზადდა და მისი ზედაპირი 0.001 მილიმეტრის სისქის ოქროს ფენით დაიფარა. ოქროს გარდა, ავტომობილში პლატინა და ძვირფასი ქვებიც გამოიყენეს. ის 3.5 მილიონ ევროდ შეფასდა.



## პაბლო პიკასოს ფერწერული ტილო «ბიჭი ჩიბუხით»

**ღირებულება – 104 200 000 ამერიკული დოლარი**

მხატვრის ყველაზე ძვირადღირებული სურათი „ბიჭი ჩიბუხით“ 2004 წელს გასაყიდად გაიტანეს Sothebys-ის აუქციონზე, ნიუ იორკში.



## პოლ სეზანის სურათი «კარტის მოთამაშეები»

**ღირებულება – 259 000 000 ამერიკული დოლარი**

სურათი აუქციონზე იყიდა ყატარის სამეფო ოჯახმა 2011 წლის აპრილში.

## ყველაზე უცნაური საათი

**თანამედროვე საათების დიზაინერები ხშირად იგონებენ უცნაურ მოწყობილობებს დროის გასარკვევად. მაგალითად, Time-Touching Watch-ი მომხმარებელს საშუალებას მისცემს, გაარკვიოს დრო მხოლოდ მაჯის გარკვეულ წერტილებზე შეხებით.**



მოწყობილობა დამუშავებულია ჩინელი დიზაინერების მიერ და შექმნილია ინვალიდებისთვის და მხედველობაშეზღუდული ადამიანებისთვის. Time-Touching Watch-ი ქმნის აბსტრაქტულ ციფერბლატს ადამიანის ხელზე და ატყობინებს მას დროს ორი გამომავალი წერტილით. გრძელი ისარი აჩვენებს საათს, ხოლო უფრო მოკლე — წუთებს.

„12 საათი“ ამოკვეთილია რგოლის მაღლა, ამიტომაც მომხმარებელს არ უნდა გაუჩნდეს საათის გარჩევის პრობლემა. იმას თქმაც არ უნდა, რომ მომხმარებელი დროს ზუსტად ვერ განსაზღვრავს, მითუმეტეს ის მომხმარებელი, რომელსაც არ აქვს განვითარებული ტაქტიკური გრძნობები, ხოლო ზოგ მხედველობაშეზღუდულ ადამიანს გაუმარტივდება დროის გარკვევა.



## კოშკი «Antilia»

კოშკი „Antilia“ წარმოადგენს მთელ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ კერძო საკუთრებას, რომელიც მუმბაის ნავთობქიმიური გიგანტის ხელმძღვანელს ეკუთვნის. სახლში დასაქმებულია 600 კაცი. 27-სართულიანი შენობა (ჯამში საერთო ფართობით 37 ათასი კვ.მ) გამოირჩევა 3 სავერტმფრენო მოედნით და 168 მანქანისთვის ულამაზესი და უსაფრთხო სადგომით.

# ყველაზე მტკიცე ნივთიერება



**მეცნიერებმა არსებულ ორგანულ მასალათა შორის ყველაზე მდგრადი შექმნეს. იგი უჟანგავ ფოლადზე უფრო მჭიდროა და მდგრადობით ტყვიაგაუმტარი კევლარის მაჩვენებლებსაც აღემატება.**

მიღებული ნივთიერების გამოყენებას ინჟინრები არა მხოლოდ ჯავშნის დასამზადებლად (უფრო იაფი და მსუბუქია, რაც ჯარისკაცებისთვის არც ისე უმნიშვნელო დეტალია) აპირებენ, არამედ იგეგმება მრავალგვარი „სამშვიდობო“ პროექტების განსახორციელებლად კომპოზიტური მასალების მდგრადობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, ზემდგრადი შუშის ახალი ტიპების შემუშავება.

აღმოჩნდა, რომ ახალი ნივთიერებისგან დამზადებულ ფირფიტაში ხვრელის გაკეთება მხოლოდ ალმასს შეუძლია. ძალისხმევა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მასალის ზედაპირი შეიღუნოს, ორჯერ მეტი უნდა იყოს კევლარის მაჩვენებელზე. ნივთიერების მნიშვნელოვანი უპირატესობებია ის, რომ მისი წარმოება და მასთან მოპყრობა ადვილია. ამას გარდა, მასალა აბსოლუტურად გამჭვირვალეა.

კიდევ ერთი პერსპექტიული მიმართულება, სადაც ზემდგრადი ნივთიერების გამოყენებაა შესაძლებელი, თავად ლითონის მაჩვენებლების გაუმჯობესებაა. სამწუხაროდ, მეცნიერები სიჩქარესა და უახლოეს მომავალზე გეგმების დაწყობას არ გვირჩევენ. კევლარი 1960-იან წლებში იყო აღმოჩენილი, მაგრამ წარმოებაში მისი გამოყენება მხოლოდ 1980-იან წლებში დაიწყეს.

ახლა ახალ ნივთიერებას იდეალური ჯავშნის სახელისთვის ბრძოლა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური მკვლევარების ნამუშევართან მოუწევს. რომ ზემდგრადი მასალის შესაქმნელად მათ scaly-foot gastropod-ის აგებულების თავისებურებების გამოყენება გადაწყვიტეს.





# მამა გაბრიელის საფლავი 22 თებერვალს გაიხსნება



**მამა გაბრიელის საფლავი, სავარაუდოდ, 22 თებერვალს გაიხსნება, — განაცხადა სამების საკათედრო ტაძარში მეუფე იაკობმა.**

მეუფე იაკობის განცხადებით, ყველა იმ ადამიანს, რომელსაც სურს მიახლოება მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან, შეეძლება მივიდეს და მიიღოს ლოცვა-კურთხევა.

მისივე თქმით, ძალიან ბევრი ხალხი მოგროვდება და იმის გამო, რომ მომლოცველებს ხელი არ შეეშალოთ, გარკვეული ტერიტორია გადაკეტილი იქნება, ამიტომ მომლოცველებს ფეხით მისვლა მოუწევთ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, მამა მიქაელ ბოტკოველის განცხადებით, საფლავის გახსნისას ასევე შემოწმდება, უხრწნელია ბერის სხეული თუ წმინდა ნაწილები ძვლების სახითაა შემორჩენილი.

# «ჭამე, ნოდარი!»

**ასე უწოდეს აქციას, რომელიც „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ" გამართა ფინანსთა სამინისტროს შენობასთან.** აქციის მონაწილეები ფინანსთა სამინისტროს მიერ ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის შეწყვეტას მოითხოვდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალური პრობლემებია და ფინანსთა სამინისტრო ამ პრობლემების მოგვარებაზე არ მუშაობს. ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრის — ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრო უნდა გამოფხიზლდეს და შეეშვას ცინიზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინამორბედების მსგავსად, პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდებიან.

**„არიან ისეთები, რომლებსაც ლუკმაპურის შოვნის საშუალებაც კი არ აქვთ. ამ სიდუხჭირის ფონზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს არ აქვთ მორალური უფლება იმისა, რომ ასიათასობით ლარი ხარჯონ რესტორნებსა და ჯიპების შეძენაში",** — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ნიკა მემანიშვილმა.






# 16 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს

საბავშვო ტელევიზია „ინკოგნიტოს" კურსდამთავრებულის, თბილისის მე-20 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის — **თაკო ყურშავიშვილის** ცხედარი ორხევის დასახლებაში, საკუთარ სახლში იპოვეს. მას ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული. პედაგოგები თაკო ყურშავიშვილს დადებითად ახასიათებენ და მისი გარდაცვალების ფაქტით შეძრწუნებულები არიან. თაკო ყურშავიშვილის გარდაცვალებაზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ალ ბუსტანის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.**




**წელს ფესტივალი 18 თებერვალს დაიწყება და 23 მარტამდე გასტანს. ამჯერად ფესტივალი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნება.** შესრულდება ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში" და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან", ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული" და „ქარბუქიანი ზამთარი"; სოლისტის ამპლუაში წარსდგება მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდება 20 თებერვალსაც.

**22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი სცენაზე ფრანგ მევიოლინესთან, ალექსანდრა სუმთან, ერთად გამოვა.** პროგრამაშია ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰიბრიდები", ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

**ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს.** ამჯერად შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი", პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას".

**ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება** — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს, პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი", „სევილიელი დალაქი", „კონკია" და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი".

**ხუთივე კონცერტს ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.**

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის, მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), **რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.**

**წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა" და „მარგარიტა და არმანი", სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.**

**ალ ბუსტანის ფესტივალზე წლეულს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკნელი** — ის 19 მარტს იასკო ფუჯიისთან, კლეარ პრისლენდთან, საშა ჩანოსთან, ლიბანის კონსერვატორიისა და ანტონინის უნივერსიტეტის გუნდებთან, სომხეთის სახელმწიფო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.

ქ. თბილისის საკრებულო, საქართველოს ადამიანის ეკოლოგიის ინსტიტუტი, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია, საქართველოს ბიომედიცინის ასოციაცია, ქ. თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფო და ჯანმრთელობის სახლი „ნატუროპათი" ატარებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე:

## „ეკოლოგიური მედიცინის პერსპექტივები საქართველოში".

კონფერენციაზე განხილული იქნება ეკოლოგიური მედიცინის მეთოდები და საშუალებები, როგორც პრიორიტეტული რიგი დაავადებების მკურნალობასა და პრევენციაში; ასევე იმსჯელებენ ეკოლოგიური მედიცინის, როგორც დარგის, დანერგვისა და სახელმწიფოს მიერ რეგულირების აუცილებლობაზე.

კონფერენცია ჩატარდება 2014 წლის 22 თებერვალს თბილისში, თსსუ საკონფერენციო დარბაზში (ადმინისტრაციული კორპუსი), ვაჟა-ფშაველას №33.

დასაწყისი 12 საათზე.

## საუკეთესო მალამო ძვალ-სახსრის დაავადებათა სამკურნალოდ

ნანა პაიჭაძე ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის მენჯ-ბარძაყის სახსრების ართროზს, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს, ფეხის ტერფისა და ქუსლის ტკივილს და ყველა იმ დაავადებას რაც ძვალ სახსარს უკავშირდება.

მარინა გაბიდაძე, ექიმი: წლების მანძილზე მაწუხებდა ხერხემლის დისკოზი და კისრის მალების ოსტეოქონდროზი, ტკივილის გამო მიჭირდა მოძრაობა. კლასიკურმა მედიცინამ რომ ვერ მიშველა, მივმართე ქალბატონ ნანას, შვება ვიგრძენი პირველივე კვირაში, მეორე კურსის მერე კი ტკივილები საერთოდ გამიქრა.

ტელ. 599-54-64-81, 593-00-08-26

## გახდომა უმადობით

რეგულარულად ვიცავდი დიეტას, მაგრამ ჭარბი წონისაგან ვთავისუფლდებოდი მხოლოდ მცირე ხნით. გაზეთიდან გავიგე ქალბატონ ნუნუს მიერ კენკრაზე დამზადებული უნიკალური ნაყენის შესახებ, რომლის მიღებამაც ერთ თვეში 12 კილო დამაკლებინა, სახის კანზე გამიქრა გამონაყარი დამირეგულირდა ციკლი, მადა, ნივთიერებათა ცვლა.

ნაყენი არის აქტიური ბიოგამწმენდი თითოეული ორგანოსი, ამიტომ წონის მატება აღარ ხდება.

ტელ. 599-25-11-58, 2-93-47-51

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ. მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;
ტ. 218-46-08 ოფისი

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

საქართველო & მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894